გოჩა საითიძე

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან

(XVII საუკუნის 40-50-იანი წლები)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 2001

ნაშრომში არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГАДА) მოპოვებული ახალი მასალების საფუძველზე შესწავლილია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XVII საუკუნის 40-50-იან წლებში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი

რეცენზენტები: პროფ. ვალერიან მაჭარაძე
პროფ. ვახტანგ გურული

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

ს 0503000000
608(06)-01

ISBN 99928-33-22-x

შესავალი

XV საუკუნეში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დიდი ძნელბედობის ხანა დაიწყო. მთელ რიგ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს საუკუნეების მანძილზე ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდა იმ სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც გარს ერტყა. მუსლიმური ირანი და თურქეთი დიდის გულმოდგინებით ცდილობდნენ დაეჩოქებინათ ქართველი ხალხი და თავისი ბატონობის ქვეშ მოექციათ იგი. ერთიან მმართველობას მოკლებულ ქვეყანას უჭირდა ამ შემოტევების მოგერიება. მდგომარეობა განსაკუთრებით XVI ს-ის შუა ხანებიდან გართულდა, როდესაც 1555 წლის ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ჯერ კიდევ დაუპყრობელი ტერიტორია შუაზე გაიყვეს და გავლენის სფეროებად დაინაწილეს: აღმოსავლეთ საქართველო ირანს ხვდა წილად, ხოლო დასავლეთ საქართველო — თურქეთს. ამიერიდან აგრესორები ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ და ხელს უშლიდნენ ქართველი ხალხის სამართლიან მისწრაფებას, მიმართულს ქვეყნის გაერთიანებისაკენ.

XVI ს-ის II ნახევარში კავკასიის სამოქმედო არენაზე კიდევ ერთი დიდი სახელმწიფო გამოჩნდა მართლმადიდებლური რუსეთის სახით. ყაზანისა და ასტრახანის სახანოების შემოერთების შემდეგ იგი უშუალოდ დაუმეზობლდა ირან-ოსმალეთის სამფლობელოებს. ამ პერიოდიდან მოყოლებული, სწორედ ეს სამი დიდი სახელმწიფო ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს კავკასიაში და აქ არსებული პატარა ქვეყნების ბედსაც თავისი ნება-სურვილის მიხედვით წყვეტდა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად ფართო დაპყრობითი გეგმებისა, რუსეთს იმ დროისათვის არ შესწევდა ძალა ჯეროვანი კონკურენცია გაეწია მეტოქეებისათვის და ამიტომაც ცდილობდა კავკასიის პოლიტიკური ერთეულების, მათ შორის, საქართველოს სამეფო-სამთავროების, თავისი გავლენის ქვეშ მოქცევით შეექმნა პლაცდარმი მომავალი, უფრო ხელსაყრელი პერიოდისათვის.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ XVI ს-ის შუა ხანებში გადაიდგა, როცა რუსეთის ხელმწიფე ივანე IV-სა

და ლევან კახთა მეფეს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დამყარდა, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში თურქეთმა ჩაშალა. XVI ს-ის 80-იან წლებში კახეთ-რუსეთის ურთიერთობა განახლდა, მაგრამ XVII ს-ის დასაწყისში მას ირანმა მოუღო ბოლო, და მაინც, მეტ-ნაკლები ინტენსივობით იგი მთელი XVII ს-ის მანძილზე გრძელდებოდა. გარდა ამისა, რუსეთი საქართველოს სხვა კუთხეებსაც რთავდა აღნიშნულ ურთიერთობაში. კერძოდ, XVII ს-ის 50-იანი წლების დამდეგს მისი მფარველობის ქვეშ იმერეთის სამეფოც მოექცა.

წინამდებარე ნაშრომში უმთავრესი აქცენტი სწორედ XVII ს-ის 40-50-იან წლებში იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის ურთიერთობის შესწავლაზე გაკეთდა. ეს ქრონოლოგიური ზღვარი შემთხვევით არ აგვირჩევია: ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას 1649 წელს ჩაეყარა საფუძველი (მანამდეც იყო მცდელობა რუსეთთან იმერეთის დაკავშირებისა, რომლის შესახებაც შესაბამის ადგილას ვისაუბრებთ), 1660 წელს კი ამ კავშირის დამყარების ინიციატორი, იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660 წწ.) გარდაიცვალა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XVII ს-ის 50-60-იანი წლების მიჯნაზე ზედიზედ წავიდნენ ამ ქვეყნიდან ქართულ სამეფო-სამთავროთა ის მესვეურები, რომელთა საქმიანობა და ურთიერთ-დამოკიდებულება ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საქართველოს ბედს. თავად განვსაჯოთ: 1657 წელს – სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.), 1658 წელს – ქართლის მეფე როსტომი (1632-1658 წწ.), 1660 წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, – ალექსანდრე III, ხოლო 1663 წელს – კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1663 წწ.), ანუ მათი გარდაცვალებით დასრულდა დიდი და მნიშვნელოვანი ეპოქა და დაიწყო ახალი, სრულიად განსხვავებული ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ჩვენი არგუმენტაციის გასამყარებლად პროფ. ნ. ნაკაშიძის ერთ მოსაზრებას დავესესხებით: "С уходом Теймураза I-го с политической арены в грузино-русских отношениях наступает сравнительное затишье. Этому способствовало, с одной стороны, утверждение на престолы Картли и Кахети царей – магометан, и, с другой стороны, насту-

пившая после смерти Александра III-го продолжительная смута в Западной Грузии"[1]

ამიტომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1649-1660 წლებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც მკაფიოდ გამოკვეთილ და სპეციალურად შესასწავლ ეტაპს იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის ურთიერთობაში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ არსებული წყაროებიდან, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ 1861 წელს აკად. მ. ბროსეს მიერ გამოცემული "Переписка",[2] რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთა მესვეურების დიპლომატიურ მიმოწერას.

მ. ბროსეს ნაშრომმა თაყის დროზე დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურა, მაგრამ შემდგომში თანდათანობით მოძველდა. XX ს-ის მკვლევრებმა იგი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. მაგალითისათვის მოვიტანთ გამოჩენილი მეცნიერის, პროფ. მ. პოლიევქტოვის სიტყვებს: "В археографическом отношении далеко не удовлетворительное даже для своего времени, это издание Броссе теперь уже совершенно устарело, к тому же оно охватывает лишь одну категорию документального материала – грамоты и письма и оставляет в стороне другие – наказы послам, посольские донесения, материалы по переговорам и т. п., т. е. как раз все то, где основные пружины дипломатии вскрываются в гораздо большей степени, чем в полных дипломатической условности и официозности грамотах".[3]

1965 და 1970 წლებში პროფ. გ. პაიჭაძემ გამოაქვეყნა ქ. მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГАДА) დაცული მასალები, რომლებიც XVII ს-ის II ნახევრის

---

[1] Н. **Накашидзе**, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, გვ. 203.

[2] Мари **Броссе**, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 год, СПб., 1861.

[3] М. **Полиевктов**, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615-1640 гг.), Тб., 1937, გვ. I-II.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობას შეეხება.[4] თუ რა სახის დოკუმენტებთან გვაქვს საქმე, ამის შესახებ თავად მკვლევარი მიუთითებს: „წარმოდგენილი მასალა ფრაგმენტია ერთი დიდი წიგნისა, რომელსაც ეწოდება: "Выписки о приезде в Москву грузинских послов, отпуск в Грузию российских посланников с порученными им разными делами (ЦГАДА, ф. 110, 1586-1700 гг., д. 15). ეს ხელნაწერი, როგორც საცნობარო მასალა, შეადგინა საგარეო საქმეთა საგანგიოს მოსკოვის არქივმა, და 1769 წ. რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში ინფორმაციის სახით გაგზავნა. ამიტომაც აღნიშნულ საქმეს გარკვეული თავისებურება ახასიათებს. მაგალითად, ის შეიცავს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის მხოლოდ იმ დოკუმენტების პირებს, რომლებიც წიგნის შემდგენელმა ურთიერთობის ისტორიული სურათის ასახვისათვის საჭიროდ მიიჩნია".[5]

პროფ. გ. პაიჭაძე 1970 წელს გამოცემული ნაშრომის შესავალშიც ეხება ამ საკითხს და წერს: „ზემოხსენებული საარქივო საქმე, როგორც ეს ადრე გვქონდა აღნიშნული, ფაქტიურად, დოკუმენტების კრებულია, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივმა საგანგებოდ შეადგინა, რათა საქართველოსთან რუსეთის სახელმწიფოს დამოკიდებულების ისტორია მთავრობისათვის მოეხსენებინა".[6]

იმისთვის, რომ უფრო ნათელი შეიქნეს ჩვენი მსჯელობის მიმართულება, ორიოდე სიტყვით მიმოვიხილავთ ქ. მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონდში (№110) დაცული დოკუმენტების კატეგორიებს: ერთ-ერთი მათგანის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი; რაც შეეხება მეორეს, მას ასეთი სათაური აქვს: "Реестр грузинских царей старых лет делам в столпцах (ხაზი ჩვენია – გ. ს.), содержащихся с 1586 года по 1700 год". გარდა

---

[4] გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658 წწ.), „საისტორიო მოამბე", ტ. 19-20, თბ., 1965; მისივე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), „საისტორიო მოამბე", ტ. 23-24, თბ., 1970.

[5] მისივე, მასალები... (1652-1658 წწ.), ..., გვ. 439.

[6] მისივე, მასალები... (1660-1685წწ.), ..., გვ. 149.

ამისა, იმავე ფონდში სხვადასხვა დროს გაგზავნილი სიგელებიცაა შემონახული, მაგრამ ძირითადი მაინც ზემოთ დასახელებული 2 სახის მასალებია: 1) სვეტებად აკინძული საქმეები (მათ მოვლენათა თანამედროვე მოხელეები ადგენდნენ რუსეთის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებაში — საელჩო პრიკაზში), რომლებშიც დაცულია დიპლომატიური მოლაპარაკებების ჩანაწერები, რუსი დესპანებისთვის გაცემული საგანგებო ინსტრუქციები (наказ) და მათ საფუძველზე შექმნილი „მუხლობრივი აღწერილობები“ (статейный список), სიგელები, ელჩობათა მარშრუტები, ზუსტი ქრონოლოგიური მონაცემები და ა. შ.; 2) მათ საფუძველზე XVIII ს-ში შედგენილი წიგნი-კრებული.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ XVII ს-ის 40-50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობების შესწავლისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობა იმ პერიოდის დოკუმენტებს უნდა მივანიჭოთ და ძირითადად მათზე დაყრდნობით შევეცადოთ აღვადგინოთ ისტორიული სინამდვილის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათი.

მიუხედავად იმისა, რომ პროფ. გ. პაიჭაძის მიერ გამოცემულ „მასალებში“ „ნაჩვენებია რუსეთსა და საქართველოს (აქ, რასაკვირველია, იმერეთიც იგულისხმებოდა — გ. ს.) შორის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის ძირითადი მომენტები, აღნუსხულია, თუ როდის და ვისი შემადგენლობით იგზავნებოდნენ ელჩობები, რას აღწევდნენ ისინი და სხვ., ერთი სიტყვით, ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ჩონჩხია მოხაზული“,[7] მასში ბევრი რამ მაინც გამოტოვებულია.

აზრი რომ ზოგადი არ გამოგვივიდეს, კონკრეტულ მაგალითებს მოვიტანთ: „მასალებში“ ასახვა ვერ ჰპოვა 1653 წელს იმერეთის მეფის ელჩის მიერ რუსეთის პატრიარქ ნიკონისთვის ალექსანდრე III-ის სიგელის გადაცემის ფაქტმა; 1656 წელს რუსი დესპანების — ჟიდოვინოვისა და პროშინის ელჩობის დროს როსტომ ქართლის მეფის წარგზავნილის იმერეთში ყოფნამ და ალექსანდრეს საინტერესო მოქმედებამ; ამ უკანასკნელის ელჩის — ივანე ლუკინის მიერ ლევან დადიანის გარდაცვალების ცნობის შემცველი სიგელის მოსკოვში ჩატანის ფაქტმა; სიტყვაც არ არის ნათქვამი 1658

[7] გ. პაიჭაძე, მასალები... (1660-1685 წწ.), ..., გვ. 149.

წელს როსაბ არეშიძისა და 1659 წელს მარკოზ თომაევის ელჩობების შესახებ. მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია.

პროფ. გ. პაიჭაძე, ერთგან, როცა ერთმანეთს უდარებს ფრანსისკ პლოენის რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის მოკლე მიმოხილვასა (ამ ნაშრომის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი) და მის მიერ გამოცემულ დოკუმენტებს, აღნიშნავს: „... ფ. პლოენის მიმოხილვა ძალზე სქემატურია. ხშირ შემთხვევაში ის იმდენად ზერელედ ეხება ამა თუ იმ დოკუმენტს, რომ მხოლოდ რომელიმე ელჩობის, პიროვნების აღნიშვნით ან თარიღის დასახელებით კმაყოფილდება. ამ დოკუმენტის შესწავლით კი ჩვენ გაცილებით მეტს ვიგებთ, ვიდრე ამას ფ. პლოენის მოკლე მიმოხილვა იძლევა".[8]

ჩვენის მხრივ კი დავუმატებთ, რომ სვეტებად აკინძული საქმეების შესწავლის გარეშე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ურთიერთობების აღდგენა და ჯეროვნად შესწავლა XVII ს-ის 40-50-იან წლებში ყოვლად შეუძლებელია.

სწორედ ზემოთ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურებოდა ჩვენი ხანგრძლივი, მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობა მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. მის ფონდებში მოვიძიეთ, დავამუშავეთ, ქსეროასლების სახით ჩამოვიტანეთ და სამეცნიერო ბრუნვაში შემოგვაქვს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ყველა სვეტებად აკინძული საქმე, რომლებსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ მოვლენების შემსწრე რუსი მოხელეები ადგენდნენ საგარეო საქმეთა უწყებაში — საელჩო პრიკაზში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ნაშრომი მთლიანად პირველწყაროების მონაცემებზეა დაფუძნებული.

აღნიშნულ პერიოდზე მუშაობისას, რასაკვირველია, ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის პროფ. მ. პოლიევქტოვისა და პროფ. ი. ცინცაძის ნაშრომებს, რომლებიც რუსეთის დიდი ხელმწიფის დესპანების ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და დიაკ ალექსი იევლევის იმერეთში 1650-1652 წლების ელჩობას შეეხება.[9]

---

[8] გ. პაიჭაძე, მასალები... (1660-1685 წწ.), ..., გვ. 149.

[9] М. **Полиевктов**, Посольство столника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию в1650-1652 гг., Тифлис, 1926; ი. ცინცაძე, ტოლოჩანოვისა და

1973 წელს პროფ. გ. პაიჭაძემ გამოაქვეყნა „რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“, რომელშიც სხვა დოკუმენტებთან ერთად ალექსანდრე III-ის მიერ მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი სიგელის თარგმანიცაა დაბეჭდილი.[10]

დასასრულს, წყაროების მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ XVI-XVII ს-ის I ნახევრის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი მასალები ს. ბელოკუროვისა და მ. პოლიევქტოვის წყალობით უკვე შემოტანილია მეცნიერულ მიმოქცევაში,[11] XVII ს-ის II ნახევრის საარქივო დოკუმენტები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოცემული, რაც, ვფიქრობთ, საშური და აუცილებელი საქმეა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვას ზემოთ უკვე ნახსენები ფრანსისკ პლოენის ნაშრომის განხილვით დავიწყებთ, რომელიც აკად. მ. ბროსემ შესავლის სახით წარუმძღვარა თავის პუბლიკაციას.[12]

მკვლევრებს „მიმოხილვის“ მიმართ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნიათ. პროფ. ნ. ნაკაშიძის აზრით: "Предисловие публикации М. Броссе, составленное, как

იველევის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. XXX ბ., 1947; მისივე, ალექსი იველევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის „საანგარიშო აღწერილობა“ (1650-1652 წწ.), თბ., 1969; მისივე, ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივი აღწერილობა“ (1650-1652 წწ.), თბ., 1970.

[10] გ. პაიჭაძე, რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVII ს-ის მეორე ნახევარში, „საისტორიო მოამბე“, ტ. 27-28, თბ., 1973.

[11] С. А. **Белокуров**, Сношения России с Кавказом, Чоидр, вып. I, 1587-1613 гг., М., 1889; მისივე, Посольство дьяка Федота Елчина и св. Павла Захарьева в Далианскую землю 1639-1640 гг., Чоидр, II, 1887; М. А. **Полиевктов**, Материалы... (1615-1640 гг.), Тб., 1937; მისივე, Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640-1643 гг., Тифлис, 1928.

[12] პროფ. გ. პაიჭაძის აზრით, ფრანსისკ პლოენის მიმოხილვა იმ საქმის მიხედვით უნდა იყოს დაწერილი, რომელიც მან გამოაქვეყნა (იხ. გ. პაიჭაძე, მასალები... (1660-1685 წწ.), ..., გვ. 149.

известно, архивариусом Ф. Плоэном, содержит поверхностное перечисление фактов этих отношений."[13] კიდევ უფრო ნეგატიურ განწყობილებას ამჟღავნებს პროფ. მ. პოლიევქტოვი: "Это – одно из самых неудачных произведений такого рода. Отдельные документы пересказываются здесь без всякой внутренней связи между собою, но зато нередко с большими искажениями, в своих комментариях к ним автор ограничивается общими банальными рассуждениями, многие весьма существенные документы обойдены полным молчанием; немало прямых грубых ошибок. Следует совершенно избегать пользоваться этим обзором".[14]

იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის ურთიერთობას, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას XVII ს-ის 40-50-იან წლებში თავიანთ ნაშრომებში შეეხნენ ცნობილი მკვლევრები: შ. მესხია, ი. ციწცაძე, ნ. ნაკაშიძე, გ. ჯამბურია, ნ. ასათიანი, თ. ტივაძე და სხვ. (მათი ნააზრევის შესახებ შესაბამის ადგილას გვექნება საუბარი),[15] მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღემდე აღნიშნული საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა, იგი ყოველთვის რუსეთ-კახეთის ურთიერთობის ჩრდილში რჩებოდა და განიხილებოდა, როგორც, გარკვეულწილად, თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, თუმცაღა, ჩვენი აზრით, ალექსანდრე III-ის ურთიერთობა რუსეთთან ნამდვილად იმსახურებს საგანგებო შესწავლას.

რასაკვირველია, ვერც იმერეთის მეფის საგარეო პოლიტიკის არსს ჩავწვდებით თეიმურაზ I-ის რუსეთთან ურთიერთობის შესწავლის თვინიერ; ეს არც არის გასაკვირი: ისინი ხომ წლების მანძილზე ერთი ტერიტორიიდან აწარმოებდნენ თავიანთი ქვეყნების

---

[13] Н. **Накашидзе**, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, გვ. 4.

[14] М. **Полиевктов**, დასახ. ნაშრ. გვ. II.

[15] Ш. **Месхия** и Я. **Цинцадзе**, Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв., Тб., 1958; Н. **Накашидзе**, Грузино-русские политические отношения в I половине XVII века, Тб., 1968; დ. ჯაჭარავა,

საგარეო პოლიტიკას და მათი ინტერესები ხშირად თანხვდებოდა ერთმანეთს.

გარდა ზემოთ უკვე დასახელებული წყაროებისა და ლიტერატურისა, იმერეთ-რუსეთის ურთიერთობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს ქართულმა და უცხოურმა წყაროებმა, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილმა გამოკვლევებმა, რომელთა შესახებაც კონკრეტულ თავებში გვექნება საუბარი.

საკვლევი თემის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, ჩვენი აზრით, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

1) რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობა და მათი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები XVI-XVII სს-ში.

2) საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში (XVI ს-ის 90-იანი – XVII ს-ის 60-იანი წლები).

3) იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის ურთიერთობა XVII ს-ის 40-50-იან წლებში.

არქიტექტონიკის თვალსაზრისით, სწორედ ასეთი თანმიმდევრობითაა აგებული ჩვენი გამოკვლევა, რომლის შედეგები თავის შემჯიდროებულ ასახვას ნაშრომის დასკვნაში პოვებს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს-ის 50-იან წლებში, „მაცნე", 1968, №1; გ. ჯამბურია, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973; თ. ტივაძე, იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 60-იანი წწ.), კრებულში: ივ. ჯავახიშვილი – 100, თბ., 1976; მისივე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977; მისივე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990; ნ. ასათიანი, გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ (რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე), თბ., 1983.

თავი I.

რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობა და მათი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი XVI-XVII სს-ში (ზოგადი მიმოხილვა)

შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოს მეზობელი სამი დიდი სახელმწიფო ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს კავკასიაში და მათი ურთიერთობა ახდენდა გადამწყვეტ გავლენას ამ რეგიონში მოსახლე ხალხების შემდგომ ბედზე. გამომდინარე აქედან, საკვლევი თემის ჯეროვნად შესწავლისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ რიგში, განვიხილოთ რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი ასპექტები და, საერთოდ, მათი პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებანი XVI-XVII სს-ში.

რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტასაც იგი XV ს-ის მიწურულიდან ისახავდა მიზნად:

1) „ოქროს ურდოს“ ნაშთების ლიკვიდაცია და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა;

2) დასავლეთში რუსული, უკრაინული და ბელორუსული მიწების შემოერთება და ქვეყნის კონსოლიდაცია;

3) ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება და ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირურთიერთობის დამყარება.

პროფ. ნ. ნაკაშიძის აზრით, "эти задачи должны были быть решены именно в такой последовательности, что так и случилось".[16]

XVI ს-ის 50-იან წლებში რუსეთის მეფე ივანე IV-მ ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) სახანოების დაპყრობით და ციმბირში კაზაკთა ლაშქრობით წარმატებით გადაჭრა პირველი ამოცანა.

---

[16] Н. **Накашидзе**, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, გვ. 12.

ვოლგისპირეთის შემოერთებით მოსკოვის სახელმწიფოს ხელში გადავიდა მდ. ვოლგის მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი მთელ მის სიგრძეზე.[17]

ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცების საქმეში რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგე ოსმალეთის იმპერია იყო, რომელიც XVI ს-ის II ნახევარში თავად ცდილობდა ასტრახანისა და ვოლგისპირეთისკენ გაჭრას[18] (გავიხსენოთ თუნდაც ოსმალთა წარუმატებელი ლაშქრობა ასტრახანის წინააღმდეგ 1569 წელს).

ამ პერიოდისათვის თურქეთმა განუწყვეტელი ომების წარმოების შედეგად თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია: მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო სამ კონტინენტზე: უნგრეთიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე, ერაყიდან — მაროკომდე, შავი და მარმარილოს ზღვები ბრწყინვალე პორტას შინაურ წყლებად იქცა.[19]

1529 წლის ვენის პირველი წარუმატებელი ალყის შემდეგ ოსმალეთმა თანდათანობით შეცვალა შეტევის მიმართულება — ავსტრიის დედაქალაქი სამუდამოდ დარჩა მისი აგრესიის უკიდურეს წერტილად დასავლეთ ევროპაში. ამიერიდან იმპერიის მახვილი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის, ამიერკავკასიისა და ირანისკენ იყო მიმართული.[20]

იმ დროს,როცა რუსეთმა ვოლგისპირეთი დაიპყრო და უშუალოდ დაუმეზობლდა კავკასიის ხალხებს, ამ რეგიონში პირველობის მოპოვებისათვის გააფთრებული ბრძოლა უკვე ჰქონდა გაჩაღებული ორ ძლიერ მუსლიმურ სახელმწიფოს — ირანსა და თურქეთს. ეს უკანასკნელი ბატონობდა მცირე აზიასა და კავკასიის დასავლეთ ნაწილში და ახლა ცდილობდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიისკენ გაჭრილიყო: ჩრდილოეთიდან ყირიმ-აზოვ-

---

[17] იხ. М. **Полиевктов**, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640 гг., Тб., 1937, გვ. XI.

[18] იხ. იქვე, გვ. XI; იხ. აგრეთვე, Н. А. **Смирнов**, Россия и Турция в XVI-XVII вв., Ученые записки МГУ им. М. Ломоносова, т. I, М., 1946, გვ. 45.

[19] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 24.

[20] იხ. Н. А. **Смирнов**, დასახ. ნაშრ. გვ. 6.

ტამან-ყაბარდო-დაღესტნის, ხოლო სამხრეთიდან – საქართველო-შაქ-შირვან-ბაქო-დარუბანდის გზით.[21]

თუ თურქეთი წარმატებით გადაწყვეტდა ამ ამოცანას და ხელში ჩაიგდებდა კასპიის ზღვისპირეთს და ჩრდილო კავკასიას, ამით იგი გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებდა ირანსა და რუსეთს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ნ. სმირნოვი წერდა: "Стратегическая задача турок состояла в том, чтобы образовать через Азов и Северный Кавказ сплошную линию своих владений, которые, начиная с Крыма, опоясывали бы с юга Русское государство. При успешном выполнении этой задачи турки могли не только пресечь всякие сношения России с Грузией и Ираном, но и держать эти страны под ударом и вечной угрозой неожиданного нападения".[22]

სწორედ ამ მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა ომი, რომელიც 1578 წელს დაიწყო თურქეთმა ირანის წინააღმდეგ. მისმა სამხედრო ძალებმა ომის დასაწყისიდანვე მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვეს. მათ ხელიზედ დაიპყრეს ერევანი, თბილისი, ბაქო, განჯა, შემახა, დარუბანდი და სხვა სტრატეგიული პუნქტები.

ოსმალეთის გაჭრა კასპიის ზღვისკენ, როგორც აღვნიშნეთ, საფრთხეს უქადდა რუსეთსა და ირანს, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით: ვოლგის სატრანზიტო მაგისტრალის დაუფლების შემდეგ რუსეთი თავად ცდილობდა განემტკიცებინა პოზიციები მის პირდაპირ გაგრძელებაზე – კასპიისპირეთში, კავკასიის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრ შემახაში და კიდევ უფრო სამხრეთით – ირანში, რაც აძლიერებდა ამ უკანასკნელის მნიშვნელობას, როგორც მოსკოვის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი კონტრაგენტისა ალმოსავლეთთან ვაჭრობაში.[23]

თავის მხრივ, ირანიც უაღრესად იყო დაინტერესებული რუსეთთან ეკონომიკური კავშირით, რამეთუ იგი „წარმოადგენდა სავაჭრო-სატრანზიტო გზას ირანსა და ევროპას შორის. ირანიდან ძირითადად

---

[21] იხ. გ. ფორფოლიანი, საქართველო XVII ს-ის 30-50-იან წლებში, თბ., 1987, გვ. 7.

[22] Н. А. **Смирнов**, დასახ. ნაშრ. ტ. I, გვ. 127.

[23] იხ. М. **Полиевктов**, Материалы..., გვ. XII; Н. Накашидзе, დასახ. ნაშრ. გვ. 17; მისივე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 75-76.

შემოჰქონდათ აბრეშუმი. ამავე დროს, ირანი რუსეთისა და ევროპისათვის წარმოადგენდა გასაღების ბაზარს".[24]

როგორც ვხედავთ, ირან-რუსეთის ურთიერთობაში უდიდესი ადგილი ეკავა საგარეო ვაჭრობას, რომელსაც ორივე ქვეყნის ბიუჯეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.[25]

ოსმალეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობის შემდეგ მთელი სპარსული აბრეშუმი, რომელიც ასტრახან-ვოლგა-არხანგელსკის სავაჭრო-სატრანზიტო გზით გაჰქონდათ, ამიერიდან თურქეთის სამფლობელოების – მცირე აზიისა და სმირნის პორტის საბაჟოების გაელით უნდა გასულიყო ევროპაში.[26]

მოსკოვის სახელმწიფოს ინტერესები ირანის მიმართ მარტოოდენ ეკონომიკური ფაქტორებით არ შემოიფარგლებოდა, ისევე როგორც, პირიქით, ამ უკანასკნელისა რუსეთის მიმართ: მათ დაკავშირებას საერთო მტრის – თურქეთის არსებობაც უწყობდა ხელს.[27]

რუსეთი რომ უაღრესად იყო შეშფოთებული კავკასიაში თურქთა მიერ მოპოვებული წარმატებებით, ამას პროფ. ნ. სმირნოვის შემდეგი მოსაზრებაც ადასტურებს: "Война, которую вели турки в Закавказье, не могла не тревожить Русское государство. Оно справедливо усматривало в упорном стремлении турок пробиться из Закавказья на север, в Дербент и Кабарду, угрозу своим южным владениям".[28]

სწორედ თურქეთის აგრესიისაგან თავდაცვა კარნახობდა მოსკოვს XVI ს-ის ბოლო მეოთხედში უფრო აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა და ეძებნა მოკავშირეები მის წინააღმდეგ, რათა ოდნავ მაინც შეერყია ოსმალეთის იმპერიის პოზიციები კავკასიაში. ირანი მისთვის მხოლოდ სავაჭრო პარტნიორი კი არ იყო, არამედ კავკასიის რეგიონში თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური მოკავშირეც. პროფ. ნ. ნაკაშიძის აზრით, "Возможность русско-иранской торговли и наличие общего врага – Турции

---

[24] დ. კაჭარავა, ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1970, გვ. 139.

[25] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 34.

[26] იხ. М. **Полиевктов**, Материалы..., გვ. XIII.

[27] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 13.

[28] Н. А. **Смирнов**, Россия и Турция..., ტ. I, ..., გვ. 126-127.

и Крыма создавали довольно длительную и надежную основу для мирного развития русско-иранских отношений".[29]

კავკასიაში ოსმალთა პოზიციების შესუსტებასვე ემსახურებოდა რუსების მიერ 1588 წელს თერგის ციხე-სიმაგრის აგება. გამაგრებული ქალაქის აშენება მოსკოვის კავკასიური პოლიტიკის დიდი წარმატება იყო. პროფ. ნ. სმირნოვის დაკვირვებით, რუსები რომ დროულად არ დამკვიდრებულიყვნენ თერგზე, 80-იან წლებში იქ თურქული ციხე-სიმაგრეები იქნებოდა და მთელი კავკასია ბრწყინვალე პორტას ბატონობის ქვეშ მოექცეოდა, რაც, თავის მხრივ, გაუადვილებდა მას ბრძოლას ირანის წინააღმდეგ, შეტევას რუსეთის სამხრეთ რაიონებზე, ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის საბოლოოდ დაპყრობას.[30]

ყაზან-ასტრახანის დაპყრობა და მდ. თერგზე ციხის აგება მოწმობდა რუსეთის სახელმწიფოს რეალურ ინტერესებს კავკასიაში.[31]

პროფ. მ. პოლიევქტოვის აზრით, რუსეთის მიზანი სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში გაბატონება იყო, მაგრამ რადგანაც მისი ექსპანსიის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს ოსმალეთის იმპერია წარმოადგენდა, ყველა ხერხებითა და საშუალებებით უნდა შეეწყო ხელი ამ უკანასკნელის გავლენის შესუსტებისათვის კავკასიის ხალხებში: "Сбить Турцию с ее кавказских позиций и утвердиться на кавказском прикаспийском пути, сохраняя добрососедские отношения к Ирану, и были те главные задачи, какие ставила себе Москва на Кавказе, по крайней мере, до начала XVIII века".[32] XVI ს-ის 80-იან წლებში აღნიშნულ ვითარებაში წარმოიქმნა მოსკოვ-კახეთის კავშირი. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში რუსეთი არ ისახავდა მიზნად ამიერკავკასიაში გაბატონებას, იგი ჯერ კიდევ ვოლგისპირეთის სამფლობელოებშიც კი არ იყო საფუძვლიანად დამკვიდრებული და ამიტომაც მისი საგარეო პოლიტიკა ამ ფაქტორებიდან გამომ-

---

[29] Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 34-35.

[30] იხ. Н. А. **Смирнов**, Политика России на Кавказе в XVI-XIX веках, М., 1958, გვ.35.

[31] იხ. გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 7.

[32] М. **Полиевктов**, Материалы..., გვ. XII.

დინარეობდა — რუსეთისათვის უმთავრეს ამოცანას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენდა როგორმე შეერყია თურქეთის პოზიციები ჩრდილო კავკასიაში და გაენელებინა ის საფრთხე, რომელიც მის ახლად შემოერთებულ ტერიტორიებს ემუქრებოდა.

ამით იყო გამოწვეული ის დიდი ინტერესი, რომელიც რუსეთმა გამოიჩინა კახეთის სამეფოსთან დაკავშირების საქმეში. მიზანი ამ კავშირისა იყო თურქული ორიენტაციის მქონე საშამხლოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, რადგანაც ეს უკანასკნელი მოსკოვისთვის მთავარ ბარიერს წარმოადგენდა კასპიისპირეთისაკენ მიმავალ გზაზე. სწორედ „შამხლის საკითხი“ იყო უმთავრესი რუსეთ-კახეთის ურთიერთობაში XVI-XVII სს-ის მიჯნაზე.

გარდა ამისა, უკავშირდებოდა რა კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს, რუსეთი უფრო შორს იხედებოდა და საუკუნეებზე გათვლილ ამოცანებს ისახავდა მიზნად: მოსკოვი მფარველობაში მიღების პირობად კავკასიის მფლობელებს უყენებდა "учиниться в верности великому государю, царю и великому князю – всея Руссии самодержцу и многих государств государю и обладателю", რომლის ნამდვილი არსიც, პროფ. მ. პოლიევქტოვის სამართლიანი დაკვირვებით, შემდეგში მდგომარეობდა. "Цепкая ко всякого рода прецедентам, московская дипломатия, по видимому, уже в ту пору понимала такое требование гораздо серьезнее, чем простую дипломатическую формальность".[33]

მიუხედავად რუსეთ-ირანის მცდელობებისა, XVI საუკუნე ოსმალეთის დიდი უპირატესობით დასრულდა: 1590 წელს სპარსეთის ახალგაზრდა შაჰმა აბას I-მა ხელი მოაწერა მისი სახელმწიფოს ინტერესების შემლახველ ზავს, რითაც დააკანონა თურქეთის ბატონობა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. უკეთესი ბედი არც რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას რგებია: XVII ს-ის დასაწყისში მისი არმია თურქთა მოკავშირე ყალმუხებმა გაანადგურეს, ხოლო კახეთ-რუსეთის კავშირი ირანის გაძლიერებულმა შაჰ აბასმა ჩაშალა.

მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, რადგან XVII ს-ის დასაწყისში რუსეთში მომხდარმა მოვლენებმა თავისი დაღი დაასვა შემდგომში მის არა მარტო კავკასიურ, არამედ, საერთოდ საგარეო პოლიტიკასაც.

1605-1613 წლების არეულობის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო ძლიერ დასუსტდა, „რომანოვების დინასტიას სამემკვიდრეოდ ერგო ჩამორჩენილი, ხაზინადაცლილი, ევროპას მოწყვეტილი და ტერიტორიულად უაღრესად შევიწროებული ქვეყანა“,[34] რომლის აღორძინება მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

XVII ს-ის 10-იან წლებში რუსეთის მდგომარეობა უმძიმესი იყო, უცხოელ დამპყრობთა ინტერვენციის სავალალო შედეგები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იჩენდა თავს: იმისათვის, რომ როგორმე ქვეყანა მშვიდობიან რელსებზე გადაეყვანა, მოსკოვის ახალმა მმართველმა ელიტამ საზავო ხელშეკრულებები გააფორმა შვეციასა და პოლონეთთან, რომლებიც დიდად ლახავდა სახელმწიფოს ინტერესებს: 1617 წლის სტოლბოვოს ზავით შვედებმა რუსეთს ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოუსპეს, პოლონეთმა კი 1618 წლის დეულინოს ზავით მას სმოლენსკი, ჩერნიგოვი და სხვა რუსული ტერიტორიები წაართვა.

რასაკვირველია, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, ასე ვთქვათ, სტრატეგიული უკანდახევა, რამეთუ საჭირო იყო მშვიდობიანი პერიოდი კრიზისის დასაძლევად. რუსეთის მთავრობას ქვეყნის აღორძინების საქმეში 30-წლიანი ომიც დაეხმარა, რომელიც სწორედ 1618 წელს დაიწყო.

პროფ. ნ. ნაკაშიძის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დახასიათება საერთაშორისო ცხოვრებისაგან მოწყვეტით არ შეიძლება, იგი უეჭველად მასთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევისწავლით და ობიექტურად შევაფასებთ მის დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებთან.[35]

XVI-XVII საუკუნეებში მსოფლიო პოლიტიკაში მკაფიოდ გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება: 1) ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის სავაჭრო-კოლონიალური წინააღმდეგობა; 2) აღმოსავლეთის საკითხი — ევროპის ქვეყნების ურთიერთობა თურქეთთან; 3) ბალტიის საკითხი — ბრძოლა ბალტიის ზღვაზე გაბატონებისათვის.

---

[34] ნ. ნაკაშიძე, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის პერიოდიზაციის საკითხისათვის, „მაცნე“, №2, 1964, გვ. 60.

[35] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 27.

ეს სამი პრობლემა ამა თუ იმ სახით გადაჯაჭვული იყო ერთმანეთთან, რაც სრული სიცხადით გამოვლინდა 30-წლიანი ომის დროს, რომელშიც ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო იყო ჩაბმული.

აღნიშნულ ომს აწარმოებდა ევროპის სახელმწიფოთა (ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეცია, დანია, ვენეცია, სავოია) კოალიცია ავსტრო-ესპანელი ჰაბსბურგებისა და მათი მოკავშირე პოლონეთის სამეფოს წინააღმდეგ. რუსეთი მასში არ მონაწილეობდა, მაგრამ, ცხადია, მსოფლიო მნიშვნელობის ეს მოვლენა მასზეც ახდენდა გავლენას. რადგანაც პოლონეთი და შვეცია ომში მონაწილეობდნენ, "это позволило русскому народу сократить размеры тех жертв, которые он должен был понести ради спасения своей национальной и государственной независимости".[36]

როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რუსეთს სულის მოთქმასა და გაძლიერებაში 30-წლიანმა ომმა შეუწყო ხელი.

დეულინოს ზავის შემდეგ, XVII ს-ში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად პოლონეთთან ომის განახლება და რუსული მიწების შემოერთება იქცა, რომელსაც შემდგომში უკრაინა-ბელორუსიისათვის ბრძოლაც დაემატა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის ბრძოლას. ერთადერთი პუნქტი, რომლის მეშვეობითაც მოსკოვის სახელმწიფოს დასავლეთ ევროპასთან დაკავშირება შეეძლო – არხანგელსკი იყო – აქ თავს იყრიდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის 75%, მიუხედავად იმისა, რომ ზამთრობით მისი ნავსადგომი იყინებოდა.

მესამე ძირითადი ამოცანა თურქეთისა და მისი ვასალის – ყირიმის ხანის განუწყვეტელი შემოსევების მოგერიება გახლდათ.[37]

---

[36] О. **Вайнштейн**, Россия и Тридцатилетняя война, М., 1947, გვ. 42.

[37] იხ. Очерки истории СССР (XVII век), под ред. А. А. Новосельского и Н. В. Устюгова, М., 1955, გვ 457; История дипломатии, т. I, М., 1959, стр. 293-294; Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 16, 37-38; 168; ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII სს-ში, თბ., 1983, გვ. 31-32.

საუკუნის დასაწყისში მიყენებული უძლიერესი დარტყმებისაგან დასუსტებულ რუსეთს საერთაშორისო ასპარეზზე სხვა ამოცანების გადაწყვეტა არ შეეძლო. ასეთ ვითარებაში "становится ясным и приемлемым тезис о том, что на "других фронтах" Московское государство еще долго придерживалось оборонительной тактики. Это относится, в первую очередь, к Кавказу".[38]

რუსეთის კავკასიური პოლიტიკა გამომდინარეობდა მისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანებიდან და XVII ს-ში არ მიდიოდა თურქეთ-ყირიმის აგრესიისაგან თავის დაცვისა და XVI ს-ში მოპოვებული პოზიციების განმტკიცების იქით. პირველი ამოცანა მას ირანთან აახლოებდა, როგორც თურქეთის მოწინააღმდეგესთან; მეორე ამოცანის გადაწყვეტა მოსკოვს კავკასიის ხალხებში მორალურ-პოლიტიკური საყრდენის ძიებას კარნახობდა.[39] ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოსა და ამიერკავკასიასთან მისი დამოკიდებულების საკითხიც.

მართალია, XVII საუკუნეშიც რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ქვაკუთხედად რჩება ხელი შეუწყოს თურქეთის გავლენის შესუსტებას ამ რეგიონში და განამტკიცოს კავშირები ირანთან, მაგრამ თუკი ადრე მისი კავკასიური ინტერესები მხოლოდ ყაბარდოსთან და კახეთთან ურთიერთობით ამოიწურებოდა, ახლა საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ამიერკავკასიაში პოზიციების გაფართოებაც დგება: რუსეთი კავშირებს კრავს სომხურ სავაჭრო კომპანიებთან აბრეშუმით ვაჭრობის განვითარების თაობაზე, მისი ვაჭრები უკავშირდებიან შემახისა და ირანის სხვადასხვა ქალაქების ბაზრებს, ცდილობს მოიმხროს საქართველოს მესვეურები.[40]

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საქართველო-მოსკოვის ურთიერთდამოკიდებულება XVII ს-ში მნიშვნელოვნად რთულდება.[41] განსხვავებით XVI საუკუნისაგან, როცა რუსეთს მარტო კახეთთან ჰქონდა კავშირი, XVII ს-ში მან საქართველოს სხვა სამეფო-

---

[38] Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 31; იხ. აგრეთვე, მისივე, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის პერიოდიზაციის საკითხისათვის, ..., გვ. 60.

[39] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 198.

[40] იხ. Н. А. **Смирнов**, Политика России..., გვ. 47.

[41] იხ. М. **Полиевктов**, Материалы..., გვ. XXII.

სამთავროებთან, მათ შორის იმერეთთანაც, დაამყარა კონტაქტები. შესაბამისად, დიპლომატიურ ურთიერთობათა ქსელი გაცილებით გაიზარდა და გართულდა.

მოსკოვი, რომლის მიზანი კავკასიაში გაბატონება იყო, ცდილობდა აღნიშნულ პერიოდში მოემზადებინა საფუძველი მომავალი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებისათვის, როდესაც ის აშკარა შეტევას დაიწყებდა ამ მიმართულებით, მაგრამ ნიადაგი ასეთი შეტევისათვის უკვე XVII ს-ში მზადდება. რუსეთის სახელმწიფოს ვერაგული პოლიტიკა კავკასიის და, სახელდობრ, საქართველოს სამეფო-სამთავროების მიმართ შესანიშნავად დაახასიათა პროფ. მ. პოლიევქტოვმა: "Усилия отдельных грузинских правителей более тесно сплотиться для отпора внешним врагам и создавали для Москвы благоприятную обстановку для внедрения ее собственного влияния. Московские посольства появляются теперь не только в Кахетии, но и в Западной Грузии – в Имеретии и Мингрелии. Москва богато одаривает грузинскую феодальную аристократию высокоценными на малоазиатских рынках собольими мехами. Она подчеркнуто интересуется церковною стариною, радеет о благолепии храмов и о чистоте в Грузии христианской веры, не упуская в то же время случая осмотреть укрепленные пункты, подсчитать военные силы, собрать сведения об естественных богатствах страны и ознакомиться с конъюнктурами местного рынка. Все это пригодится русскому царизму в будущем, когда в 20-х годах XVIII века он начнет свое открытое наступление на Кавказ. Но почва для такого наступления подготовляется уже в XVII веке".[42]

XVII ს-ის 10-იან წლებში რუსეთ-კავკასიის ურთიერთობა თვისობრივად ახალ ვითარებაში განახლდა: მართალია, ირან-ოსმალეთის ომი, რომლის მთავარ მიზანსაც წინა პერიოდის მსგავსად „ამიერკავკასიის დაპყრობა და მასზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების ხელში

[42] М. **Полиевктов**, Материалы... გვ. XXIII.

ჩაგდება შეადგენდა“,[43] გრძელდებოდა, მაგრამ XVII საუკუნეს თურქეთი საკმაოდ დასუსტებული, ხოლო ირანი შესამჩნევად გაძლიერებული შეხვდა,[44] ირანის „ლომმა“ შაჰ აბას I-მა XVI ს-ის მიწურულში დიდი საშინაო რეფორმები გაატარა და აღადგინა სახელმწიფოს ძველი ძლიერება. მან თავად წამოიწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ და წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, რაც მთავარია, მოახერხა ეს უკანასკნელი შეევიწროებინა აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და კასპიისპირეთში, თუმცა მთლიანად კავკასიიდან განდევნა ვერ შეძლო, მის დასავლეთ ნაწილში თურქებმა გავლენა კვლავ შეინარჩუნეს.

ირან-ოსმალეთის ომის დროს ბრწყინვალე პორტას მესვეურთ სურდათ რუსეთი შაჰის წინააღმდეგ აემხედრებინათ, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო მოსკოვს ხელს არ აძლევდა ირანთან ურთიერთობის გამწვავება, პირიქით, იგი თავად ცდილობდა როგორმე შეერიგებინა აღმოსავლეთის ეს ორი დიდი სახელმწიფო და მათი იარაღი საკუთარი მტრის – პოლონეთის წინააღმდეგ მიემართა.

პოლონეთთან ომით თურქეთი ისედაც იყო დაინტერესებული და ამ ინიციატივით ხშირად თვითონვე გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის შინაპოლიტიკური კრიზისი სწორედ ამ პერიოდში დაიწყო, XVII ს-ში იგი მაინც რჩებოდა სერიოზულ, ანგარიშგასაწევ ძალად.[45]

XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში თურქეთს რამდენიმე ომი ჰქონდა: 1593-1606 წლებში ავსტრიასთან (დაკარგა რიგი ტერიტორიებისა), 1617 წელს – პოლონეთთან (ზავის მიხედვით მათ შორის საზღვარი მდ. დნესტრზე გადიოდა), 1620-1621 წლებში – ისევ პოლონეთთან უკრაინის გამო.[46]

---

[43] გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

[44] იხ. А. П. **Новосельцев**, Русско-иранские политические отношения во второй половине XVI века, Международные связи России до XVIII века, М., 1961, გვ.460.

[45] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 25; მისივე, საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის I ნახევარში, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1973, გვ. 14.

[46] იხ. А. Д. **Новичев**, История Турции, т. I, л., 1963, გვ.158.

ამავდროულად ოსმალეთი აქეზებდა და ხელს უწყობდა ყირიმის ხანის თავდასხმებს რუსეთის განაპირა რაიონებზე.

მოსკოვის მთავრობა თურქეთთან და ყირიმის ხანთან მიმართებაში მთელი XVII ს-ის მანძილზე თავდაცვით პოლიტიკას ატარებდა. უმთავრესი მიზეზი აღნიშნული პოლიტიკისა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის „მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო დასავლეთისაკენ, სახელმწიფოს მთელი ძალები იქით იყო მიმართული.[47] ამიტომაც, სანამ იგი მძლავრ სახელმწიფოდ არ ჩამოყალიბდებოდა, უმჯობესი იყო XVI-XVII სს-ში თავიდან აეცილებინა დიდი შეტაკება მაჰმადიანურ სამყაროსთან და კერძოდ, თურქეთთან: "Московское государство могло с успехом вступить в окончательную борьбу с магометанским Востоком и с Турцией не прежде, как по происшествии двухсот лет, когда уже оно являлось Российской империей и обладало всеми средствами европейского государства".[48]

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას XVII ს-ის I ნახევარში რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავდა: საერთო მტრის — პოლონეთის სამეფოს არსებობა და თურქეთ-ირანის ბრძოლა კავკასიაში გაბატონებისათვის ორივე ქვეყნის პოზიციების მეტნაკლებად დაახლოებას იწვევდა, მაგრამ ყირიმელ თათართა და დონელ კაზაკთა ლაშქრობები და „ფარული ომი“ თერგზე დასამკვიდრებლად მუდმივ დაძაბულობას ქმნიდა მათ ურთიერთობაში.[49]

მართალია, ამ პერიოდში ომი არ მიმდინარეობდა და დიპლომატიური მიმოწერა მეგობრულ ტონს ინარჩუნებდა, მაგრამ, ცხადია, რომ "эта чиста внешняя сторона вовсе не отражает характера взаймоотношений двух государств".[50]

---

[47] იხ. С. М. **Соловьев**, История России в царствование Михаила Федоровича, М., 1859, გვ. 390; იხ. ნ. ნაკაშიძე, საქართველოს საკითხი..., გვ. 7.

[48] იხ. С. М. **Соловьев**, История России с древнейших времен, ტ. VI, გვ. 107; იხ. Н. А. **Смирнов**, Россия и Турция..., ტ. I, გვ. 15.

[49] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 32; მისივე, საქართველოს საკითხი..., გვ. 6; გ. ყორყოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

[50] Н. А. **Смирнов**, Россия и Турция..., ტ. I, გვ. 4; 42.

თურქეთი სარგებლობდა მეტოქის სისუსტით და რამდენიმე მიმართულებით წარმართავდა შეტევას რუსული მიწების წინააღმდეგ: "через Молдавию и Валахию на Украинскую землю; через Крым, в лице крымского хана, на центральные районы государства; и наконец, через Черное море, устье Дона и г. Азов на Поволжье и юго-восточные окраины государства".[51]

პროფ. ნ. სმირნოვის აზრით, არზრუმი აზიაში და აზოვი ევროპაში წარმოადგენდნენ თურქეთის ექსპანსიის უმნიშვნელოვანეს ბაზებს.[52]

რუსეთზე განსაკუთრებით დამთრგუნველად აზოვის ფაქტორი მოქმედებდა, რამეთუ სწორედ მისი მეშვეობით იყო შესაძლებელი ვოლგისპირეთის, რუსეთის სამხრეთ რაიონების, ჩრდილო კავკასიისა და, საერთოდ, აღმოსავლეთის მიმართულებით აგრესიის წარმატებით განხორციელება.[53] აქ იდგა სამხედრო გარნიზონი, რომელიც შეიძლებოდა სწრაფად გაძლიერებულიყო ყირიმიდან და თურქეთიდან მაშველი ძალების გამოგზავნით.[54]

რუსეთისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს და „ნამდვილ ეროვნულ უბედურებას" (ნ. ნაკაშიძე) ყირიმელ თათართა შემოსევები წარმოადგენდა. მთავრობა ცდილობდა როგორმე გაეუვნებელეყო ყირიმის ხანი, რისთვისაც ხარკს უგზავნიდა (მოსკოვის სამეფო კარზე ამას საჩუქრებს უწოდებდნენ), თითქმის ყოველწლიურად სთხოვდა სულთანს, აეკრძალა თავისი ვასალისათვის თარეში, მაგრამ არცერთი საშუალება არ ამართლებდა.

პროფ. ნ. ნაკაშიძე მიუთითებს, რომ ეს „დამოკლეს მახვილი" იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი, რომელიც თავისებურ ელფერს

---

[51] Н. А. **Смирнов**, Россия и Турция..., ტ. I, გვ. 4.

[52] იქვე, გვ. 6; აქვე უნდა აღვნიშნოთ, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც სამცხე-საათაბაგოსი, როგორც პლაცდარმისა ამიერკავკასიის მიმართულებით თურქეთის ექსპანსიის წარმატებისათვის — მისი დაუფლებით გაცილებით იოლდებოდა საქართველოს დაპყრობა და ირანის წინააღმდეგ აქტიური სამხედრო ოპერაციების წარმოება — იხ. ს. როდონაია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის I ნახევარში, თბ., 1961, გვ. 8.

[53] იხ. А. Д. Новичев, История Турции, т. I, л., 1963, გვ. 158.

[54] იხ. Н. А. Смирнов, Политика России..., გვ. 49.

აძლევდა მოსკოვის სახელმწიფოს ურთიერთობას თურქეთთან, რაც განაპირობებდა მოსკოვის ერთობ მოკრძალებულ პოზიციას ამ ურთიერთობაში".[55]

რუსეთის სამეფოსაც ჰქონდა თავისი კონტრარგუმენტი – ეს იყო დონელი კაზაკობა, რომელიც შავი ზღვით ასევე გამანადგურებელ თარეშებს აწყობდა იმპერიის განაპირა რაიონებზე. მართალია, ოფიციალურად მოსკოვის ადმინისტრაცია უკრძალავდა მათ თურქეთისა და ყირიმის წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ იმავდროულად სისტემატურად უგზავნიდა ფულს, ტყვია-წამალს, იარაღს და ა. შ.

XVI-XVII სს-ში ოსმალთა და ყირიმელ თათართა უმთავრეს მოწინააღმდეგეებად სწორედ დონელი კაზაკები გამოდიოდნენ. სახელმწიფოს რეგულარული ჯარები მხოლოდ მტრის დიდი შეტევითი ოპერაციების დროს იღებდნენ მონაწილეობას.

აი, რა შეფასებას აძლევს პროფ. ნ. სმირნოვი დონელი კაზაკების როლსა და მნიშვნელობას რუსეთის სამხრეთის საზღვრის დაცვის საქმეში XVI-XVII სს-ში: "Донские казаки не только честно и бескорыстно в течение двух веков выполняли роль охранителей русских рубежей, но своими активными военными действиями до известной степени парализовали значение Азова, этого передового форпоста турецкой агрессии. Крымский хан, которому султан поручил укрепить и поддерживать его власть на Северном Кавказе, был бы более активным, если бы на Дону не существовало донское казачество, мешавшее его связям с кавказскими народами, с ногайцами и Астраханью".[56]

1637 წელს მოხდა სერიოზული კონფლიქტი რუსეთსა და თურქეთს შორის: 18 ივნისს ორთვიანი ალყის შემდეგ დონელმა კაზაკებმა, ისარგებლეს რა ირან-ოსმალეთის ომით, აზოვის ციხე-სიმაგრე აიღეს და მდ. დონის შესართავს დაეუფლნენ. თურქეთმა დაიწყო მზადება კაზაკთა წინააღმდეგ ლაშქრობისათვის, მაგრამ სანამ ირანთან ომობდა, ამისთვის არ ეცალა. 1639 წლის ზავის შემდეგ მას ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა, მაგრამ ომის დაწყება მხოლოდ 1641 წელს მოახერხა. ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის

---

[55] ნ. ნაკაშიძე, საქართველოს საკითხი..., გვ. 9.

[56] Н. А. Смирнов, Россия и Турция..., ტ. I, ..., გვ. 56.

ომი დონელ კაზაკებთან. როცა ციხე-სიმაგრე აიღეს, ეს უკანასკნელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აზოვი, როგორც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი, შეეიდოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში და მოსკოვიდან აქ გამოაგზავნიდნენ რეგულარულ ჯარებს, მაგრამ ასე არ მოხდა. თურქებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს. მართალია, მათ იგი ვერ აიღეს, და იძულებულნი გახდნენ 3-თვიანი ალყის შემდეგ იქაურობას გასცლოდნენ, მაგრამ დროის ამ შუალედში კაზაკები იმდენად დასუსტდნენ, რომ განმეორებით შეტევას ვეღარ გაუძლებდნენ. მათ მთავრობას დახმარება სთხოვეს. 1642 წელს მოსკოვში მოიწვიეს საერობო კრება, რომელმაც დაადგინა კაზაკებს დაეტოვებინათ აზოვის ციხე-სიმაგრე.

ისტორიკოსები აღნიშნულ ფაქტს სხვადასხვაგვარად აფასებენ. პროფ. ნ. სმირნოვის აზრით, "слабая осведомленность русского правительства о внутреннем положении Турции, о резкой перемене, происшедшей там после смерти Мурада IV (თურქეთის სულთანი – 1623-1640 წწ., – გ. ს.), об усилившейся разрухе помешала правильно оценить сложившуюся обстановку и более решительно выступить в защиту устья Дона и Азова". მკვლევარი შემდგომ განაგრძობს: "Это решение, свидетельствовавшее о недальновидности русского правительства, все внимание которого было сосредоточено на западных границах, имело очень серьезные последствия не только для дальнейшей судьбы донского казачества, но и для влияния России на Кавказе".[57]

პროფ. ნ. ნაკაშიძე იგივე ფაქტს ასეთ შეფასებას აძლევს: „მოსკოვის მთავრობის გადაწყვეტილება (აზოვის დატოვების შესახებ – გ. ს.) მაინც სწორად უნდა ჩაითვალოს, რადგან: 1. მოსკოვის სახელმწიფოს ჯერ არ შესწევდა ძალა თურქეთთან ომისათვის და 2. ძალაც რომ ჰქონოდა, მის წინაშე იდგა უფრო დიდი და გადაუდებელი ამოცანა – ომი პოლონეთთან რუსული მიწების დასაბრუნებლად".[58]

ჩვენის აზრით, სავსებით მართებულია პროფ. ნ. ნაკაშიძის მოსაზრება: რუსეთი ხომ ის სახელმწიფო იყო, რომელიც თანდა-

[57] Н. А. **Смирнов**, Политика России на Кавказе в XVI-XIX вв., ..., გვ. 50.

[58] ნ. **ნაკაშიძე**, საქართველოს საკითხი..., გვ. 12.

თანობით, მეთოდურად ახორციელებდა თავის დაპყრობით პოლიტიკას და ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმისაგან ყოველთვის თავს იკავებდა. ამიტომაც ჩათვალა შეუძლებლად მოსკოვის მთავრობამ დაპყრობილი ციხე-სიმაგრის შენარჩუნება. რაც შეეხება კავკასიაში გავლენის გავრცელებასა და აქტიური პოლიტიკის გატარებას, "это планировалось для более далекого будущего".[59]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მმართველი წრეები უარყოფდნენ თავიანთ მონაწილეობას აზოვის ამბებში და ყველაფერს კაზაკების პირად ინიციატივას მიაწერდნენ, თურქული მხარე მაინც დარწმუნებული იყო, რომ ისინი მოსკოვის დავალებით მოქმედებდნენ. ამას ცხადყოფს მუსტაფა ნაიმას თხზულებაში დაცული ცნობები. აზოვის ციხის ალყის შესახებ თურქი ისტორიკოსი ამბობს: „რადგანაც აზოვის მიდამოები დაცარიელებული იყო, მოსკოვის მეფის დახმარებით, კაზაკი ყაჩაღები აიყარნენ და აზოვის ციხეს ალყა შემოარტყეს".[60] მეორეგან იგივე ავტორი აღნიშნავს: „თურმე წყეულ კაზაკებს მოსკოვის მეფისაგან დახმარება ვერ მიუღიათ".[61]

1642 წლის შემდეგ თურქეთისა და ყირიმის ხანის თავდასხმები რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთ რაიონების წინააღმდეგ გაცილებით ინტენსიური ხდება და კიდევ უფრო სისტემატურ ხასიათს ღებულობს. ამისი მიზეზი იყო ის, რომ აზოვის უბრძოლველად დათმობა თურქეთმა რუსეთის სისუსტის გამოვლინებად მიიჩნია. გარდა ამისა, ამ პერიოდში, "с середины XVII века, окончательно определился поворот турецкого наступления на восток".[62]

სულთანი და ყირიმის ხანი რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ჩრდილო კავკასიის ხალხების თავიანთ მხარეზე გადმობირებასაც ცდილობდნენ, კერძოდ, ყაბარდოელი ფეოდალებისა. რადგანაც ყაბარდო XVII ს-ში ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს, მისი საშინაო მდგომარეობა მეტად არამყარი იყო. ოფიციალურად ყველა ფეოდალზე მაღლა იდგა და მათ უფროსად ითვლებოდა უხუცესი, მაგრამ მას არ გააჩნდა ძლიერი

---

[59] Ш. **Месхия** и Я. **Цинцадзе**, Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв., Тб., 1958, გვ. 77.

[60] მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979, გვ. 224.

[61] იქვე, გვ. 232.

[62] Н. А. **Смирнов**, Россия и Турция..., ტ. I,..., გვ. 21.

ხელისუფლება. რუსეთის მთავრობის მხარდაჭერა ამ უკანასკნელისადმი, მის წინააღმდეგ ამხედრებდა სხვა ფეოდალებს. იმ დროს, როცა ერთნი რუსეთის მეფის ერთგულებაზე დებდნენ ფიცს, მეორენი ყირიმის ხანთან ერთად რუსეთის სამფლობელოებს ესხმოდნენ თავს.[63]

მიუხედავად ზემოთქმულისა, XVII ს-ის I ნახევარში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრების პრობლემა არ გამხდარა ამ ურთიერთობის გაუარესების მიზეზი. როგორც მოსკოვი ცდილობდა შეერყია თურქეთის პოზიციები ამიერკავკასიაში, ასევე ეს უკანასკნელი ცდასა და ენერგიას არ იშურებდა ჩრდილო კავკასიის ხალხებში რუსეთის გავლენის აღმოსაფხვრელად.

თუ ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილში მოვლენები ასე თუ ისე „მშვიდობიანად" ვითარდებოდა, აღმოსავლეთში XVII ს-ის 40-იანი წლებისათვის მეტად სერიოზული კონფლიქტი მომწიფდა: აქ ერთმანეთს შეეჯახა ირანისა და რუსეთის ინტერესები.

როგორც აღვნიშნეთ, XVI ს-ის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, ორ ქვეყანას ერთმანეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებდა, რაც განპირობებული იყო როგორც ეკონომიკური (სავაჭრო-სატრანზიტო გზა), ასევე პოლიტიკური ფაქტორებით (საერთო მტრის — თურქეთის არსებობა).

მაგრამ მათ დამოკიდებულებას მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობებიც ახასიათებდა, რომლებიც ადრე თუ გვიან იჩენდნენ თავს: დაღესტნისა (საშამხლოს) და საქართველოს (კახეთის) საკითხები თავისებურ ელფერს სძენდა რუსეთ-ირანის ურთიერთობას.

დაღესტნის მიმართ სამივე დიდ სახელმწიფოს საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გააჩნდა, რადგანაც საქმე ეხებოდა ისეთ უმნიშვნელოვანეს პუნქტებს, როგორიც იყო დარუბანდი და სხვა ზღვისპირა ქალაქები.

XVII ს-ის დასაწყისში შაჰ აბას I-მა საშამხლო თავის გავლენის ქვეშ მოაქცია. ამის შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში შამხალი ირანსა და რუსეთს შორის ლავირების პოლიტიკას ადგა, რომლის მიზანიც დამოუკიდებლობის შენარჩუნება გახლდათ.

---

[63] იხ. Н. А. Смирнов, Политика России..., გვ. 48.

მაგრამ „აქილევსის ქუსლს“ ირან-რუსეთის ურთიერთობაში მაინც საქართველოს საკითხი წარმოადგენდა (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მესამე თავში გვექნება საუბარი).

თურქეთთან ომის დროს სპარსეთის მმართველი წრეები იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ დაღესტნისა და საქართველოს გაორებულ მდგომარეობას — საერთო მტრის არსებობა რუსეთისა და ირანის მეტოქეობას შესამჩნევად ანელებდა.

1639 წელს ირანსა და თურქეთს შორის ზოჰაბის ანუ კასრი შირინის ზავი დაიდო, რის შემდეგაც შაჰ აბას II-მ (1642-1666 წწ.) მოიცალა თავისი კავკასიური პოლიტიკისათვის გადაეხედა. მან გადაწყვიტა ხელი შეეშალა რუსეთის ფეხის მოკიდებისათვის კავკასიაში.

XVII ს-ის 40-იან წლებში აბას II-მ დაღესტნის ყველა მფლობელს ზედიზედ აღიარებინა ირანის შაჰის უზენაესი ხელისუფლება. შესაბამისად, მოსკოვის ურთიერთობა შამხალთან და დაღესტნელ ფეოდალებთან არა მარტო გაუარესდა, არამედ მტრულიც კი გახდა, რადგანაც მათ სულ უფრო და უფრო აშკარად დაიწყეს თავიანთი ანტირუსული ტენდენციების გამოვლენა.

ასეთ ნიადაგზე 50-იან წლებში დაიწყო კონფლიქტი რუსეთსა და ირანს შორის, 1652-1653 წლებში სამხედრო შეტაკებებიც მოხდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივე მხარე ძალზე იყო დაინტერესებული ურთიერთობის რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებით. „ეს უნდა აიხსნას იმით, რომ XVII ს-ში რუსეთის სახელმწიფოს წინაშე სამხრეთის საზღვრების გაფართოების საკითხი ისე არ იდგა, რომ მთავრობას მის მოსაგვარებლად ირანთან დამყარებული საგარეო ვაჭრობისათვის ანგარიში არ გაეწია და დასავლეთის ქვეყნებთან გართულებული მდგომარეობა მხედველობაში არ მიეღო“.[64]

ამიტომაც, 60-იანი წლების დასაწყისში მოსკოვმა დაღესტნისა და საქართველოს „შეწირვის“ ფასად შეძლო აღედგინა ირანთან მეგობრული ურთიერთობა.

---

[64] თ. ტივაძე, საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII ს-ის 60-იან წლებში, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1973, გვ. 35; იხ. აგრეთვე, ნ. ნაკაშიძე, საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, ამავე კრებულში, ტ. I, თბ., 1970, გვ. 90.

XVII ს-ის II ნახევრის დამდეგს ევროპაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მოვლენებს, რომლებმაც საერთაშორისო პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1648 წელს 30-წლიანი ომის დამთავრება: ვესტფალიის ზავის შედეგად ავსტრია-ესპანეთის ჰაბსბურგებმა დიდი პოლიტიკური და ტერიტორიული მარცხი განიცადეს, საფრანგეთი კი გამარჯვებული გამოვიდა ამ ომიდან და ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში გაბატონდა. რაც შეეხება ავსტრიას, ეს უკანასკნელი ცენტრალურ ევროპაში დაკარგული ტერიტორიების კონპენსაციას ახლა ოსმალეთის იმპერიის უნგრული სამფლობელოების ხარჯზე ცდილობდა.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებმა ამ პერიოდიდან სახე იცვალა და განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა: „თუ XVII ს-ის I ნახევარი ხასიათდებოდა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარებით, ამ საუკუნის II ნახევარში მრავალი სამხედრო შეტაკება მოხდა".[65] 50-იან წლებში გაწყდა ორ ქვეყანას შორის ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა, რისი მიზეზიც პროფ. ნ. სმირნოვის აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ "... как раз в это время имела место попытка враждебной России Швеции втянуть Турцию в войну против России, а также еще и в том, что стороны не могли договориться относительно прекращения нападений как крымского хана и азовцев на русскую землю, так и донских казаков на турецкие черноморские города".[66]

ყირიმის ხანს სულთნისგან დავალებული ჰქონდა რუსეთის ყურადღების გაფანტვა და ახალი კონტაქტების დამყარებისათვის ხელის შეშლა, მოსკოვის ყურადღება კი ამ დროს მთლიანად დასავლეთისკენ იყო მიმართული: იწყებოდა რუსული, უკრაინული და ბელორუსული მიწების შემოერთებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი და მეტად რთული ეტაპი.

1654 წელს რუსეთს შეუერთდა უკრაინა. ამას მოჰყვა ომი პოლონეთთან, რომელმაც განსაზღვრა მისი დამოკიდებულება

---

[65] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა..., გვ. 32.

[66] Н. А. **Смирнов**, Россия и Турция..., ტ. II, ..., გვ. 105.

უცხოეთის სახელმწიფოებისადმი XVII ს-ის 50-60-იან წლებში. ქვეყნის შიგნით არსებული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად,[67] ომის პირველსავე წლებში რუსებმა აიღეს მოგილიოვი, სმოლენსკი, პოლოცკი, გომელი და სხვა ქალაქები. ამასობაში პოლონეთის დასუსტებით ისარგებლა შვეციამ, რომელმაც დაიპყრო მისი დიდი ნაწილი, მათ შორის, ვარშავა და კრაკოვი.

რუსეთს არ მოეწონა შვეციის წარმატებები. მან დაიწყო მოლაპარაკება პოლონეთთან და, იმავდროულად, წამოიწყო ომი შვეციის წინააღმდეგ ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად.[68]

ამასობაში პოლონელმა ხალხმა თავად მოიგერია შვეციის შემოტევა. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა თავის პრეტენზიებზე პოლონეთის მიმართ და ყურადღება ბალტიისპირეთისაკენ გადმოიტანა. რუსეთი ალტერნატივის წინაშე დადგა — ან უნდა გაეგრძელებინა ომი შვეციასთან ბალტიისპირეთისათვის, ანდა საბოლოოდ გადაეწყვიტა დასავლეთის საკითხი.

გადაწყდა, განეგრძოთ ბრძოლა პოლონეთის წინააღმდეგ. 1658 წელს შვეციასთან დაიდო დროებითი ზავი 3 წლით, ხოლო 1661 წლის კარდისის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა ერთხელ კიდევ თქვა უარი ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებასა და ევროპაში „ფანჯრის გაჭრაზე".[69]

პოლონეთთან ომი გაგრძელდა, მაგრამ, თანდათანობით, მოსკოვში დაიწყეს ფიქრი ზავის დადებაზე, რისი უმთავრესი მიზეზიც თურქეთის გააქტიურება იყო. უკრაინის რუსეთთან შეერთების შედეგად ამ უკანასკნელის საზღვარმა გაცილებით ქვემოთ, სამხრეთისაკენ გადმოიწია და მიუახლოვდა შავ ზღვას, რამაც, ცხადია, იმპერიის მმართველ წრეებში საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია. რუსეთი

---

[67] 1654 წელს იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რომელმაც ქვეყანას დიდი ზარალი მიაყენა. მეფის ოჯახი, პატრიარქი და დიდებულები იძულებულნი გახდნენ დედაქალაქი მეტოვებინათ. მალე მოსკოვში თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტი დაიხურა (იხ. თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977, გვ. 64).

[68] იხ. История дипломатии, ტ. I, М., 1941, გვ. 268.

[69] იხ. Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 158-159; მისივე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, ..., გვ. 184.

ხომ თითქმის დაუმეზობლდა ოსმალთა მიერ დაპყრობილი და მათ უღელქვეშ მგმინავი ხალხების ტერიტორიებს. გარდა ამისა, თურქეთს თავადვე სურდა უკრაინის ხელში ჩაგდება, რაც მას რუსეთთან ომისკენ უბიძგებდა.

საერთო საფრთხემ გამოიწვია პოლონეთ-რუსეთის მთავრობათა დაახლოება და დააჩქარა ზავის დადება. 1667 წელს ანდრუსოვოში (სმოლენსკის ახლოს) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთის ხელში გადავიდა მდ. დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინა, აგრეთვე კიევი (ორი წლის ვადით), ხოლო პოლონეთს მარჯვენა ნაპირის უკრაინა ხვდა წილად.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XVII ს-ის 60-იან წლებში რუსეთმა კიდევ ერთი სასიცოცხლო პრობლემა გადაჭრა.

ომის დამთავრების შემდეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა და აშკარა იყო, რომ მალე მათ შორის ომი უნდა დაწყებულიყო,[70] მაგრამ ამ პერიოდისათვის რუსეთს უკვე შეცვლილი ჰქონდა თავისი პოლიტიკა თურქეთის მიმართ: იგი პასიური თავდაცვიდან აქტიურ თავდაცვაზე გადავიდა,[71] კერძოდ, 1660 წელს, როცა ოსმალებმა მდ. დონის ერთ-ერთ შესართავთან ციხე-სიმაგრის აგება გადაწყვიტეს, მოსკოვის მთავრობამ იქ რეგულარული ჯარები გაგზავნა და კაზაკებსაც უბრძანა, ყველანაირად შეეშალათ ხელი იმპერიის სამხედრო ძალებისათვის დასახული მიზნების განხორციელებაში — არ მიეცათ მათთვის ახალი ციხე-სიმაგრეების აგების საშუალება.

"Только начиная с этой даты, с 1660 года, можно говорить о том, что московское правительство переходит к активной деятельности, которая опять-таки вызвана противником, делающим попытки укрепиться в новых пунктах русской земли".[72]

თურქეთმა, სანამ რუსეთის წინააღმდეგ წამოიწყებდა ომს, პოლონეთზე გაილაშქრა. 1672 წელს იმპერიის ჯარები მარჯვენა ნაპირის უკრაინაში შეიჭრნენ და დაიპყრეს იგი კამენეც-პოდოლსკთან

---

[70] იხ. ნ. ასათიანი, მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 27.

[71] ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არ გვყავს დონის კაზაკობა, აქ საუბარია მოსკოვის სამეფო კარის სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებაზე.

[72] Н. А. Смирнов, Россия и Турция..., т. I, ..., გვ. 23.

ერთად. 1676 წელს პოლონეთმა ზავი დადო ოსმალეთთან, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელმა დაპყრობილი ტერიტორიის ნაწილი დაუბრუნა მას. ამის შემდგომ ბრწყინვალე პორტას ხელ-ფეხი გაეხსნა რუსეთთან საბრძოლველად. მალე დაიწყო კიდეც ომი ორ ქვეყანას შორის, რომლის დროსაც თურქეთის მიზანი კიევის და დნეპრის მარცხენა ნაპირის დაპყრობა იყო, რაც მან ვერ მოახერხა, მაგრამ, თავის მხრივ, არც რუსეთს შესწევდა მაშინ ძალა, მთლიანად განედევნა ოსმალები უკრაინული მიწებიდან. 1681 წელს ბახჩისარაიში დაიდო დროებითი ზავი 20 წლის ვადით: რუსეთს დარჩა მარცხენა ნაპირის უკრაინა და კიევი, მარჯვენა ნაპირის უკრაინა თურქეთის ხელში გადავიდა.[73]

XVII ს-ის დასასრულს თითქოს შესაძლებელი გახდა რუსეთი საშხრეთის მიმართულებით შეტევაზე გადასულიყო — პეტრე I-ის (1689-1725 წწ.) მეფობის პირველ წლებში წინა პლანზე გადმოიწია შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვების საკითხმა, 1696 წელს რუსებმა აზოვის ციხე-სიმაგრეც აიღეს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თურქეთის წინააღმდეგ კოალიცია ვერ ჩამოყალიბდა, ამ პრობლემის გადაწყვეტა ისევ განუსაზღვრელი დროით გადაიდო. სამაგიეროდ, პეტრემ მოახერხა მოკავშირეები (ლიტვა-პოლონეთი, დანია) შეეძინა შვეციასთან საბრძოლველად, რამაც შესაძლებელი გახადა „ჩრდილოეთის ომის“ წარმოება.

ეს იყო ხანგრძლივი, გაჭიანურებული ომი — პეტრე I-მა მთელი თავისი ძალ-ღონე ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას შეალია, და, საბოლოოდ, წარმატებით გადაჭრა დასახული ამოცანა. პეტრე I ომის პარალელურად საშინაო რეფორმებსაც ატარებდა: მის დროს რუსეთი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. რაც შეეხება პეტრეს კავკასიურ პოლიტიკას, გარკვეული წარმატებების მიუხედავად (აზოვის აღება, ლაშქრობა კასპიისპირეთში), საბოლოო ჯამში ამ ფრონტზე მან მაინც მარცხი განიცადა: აზოვიც დაკარგა და კასპიისპირეთის ლაშქრობაშიც რაიმე მნიშვნელოვან შედეგს ვერ მიაღწია.

არსებობდა რამდენიმე ძირითადი მიზეზი, რომელთა გადაწყვეტის შემდეგაც იქნებოდა მხოლოდ შესაძლებელი კავკასიონის ქედს გადაღმა აქტიური პოლიტიკის წარმოება;

---

[73] იხ. А. Д. **Новичев**, История Турции, ტ. I, Л., 1963, გვ. 184-185.

1) რუსეთი საფუძვლიანად ჯერ დასავლეთში უნდა განმტკიცებულიყო: "в первую очередь необходимо было укрепить позиции на Западе";[74]

2) აუცილებელი იყო ყირიმის ხანის ფაქტორის გაუვნებელყოფა: "ликвидировать крымскую опасность (как цитадель, плацдарм Турции);[75]

3) საჭირო იყო ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი და რეგულარული ჯარების მოზრდილი კონტინგენტი: "необходимо было твердая опора и значительное количество войск";[76]

4) საჭირო იყო, აგრეთვე, რუსეთის სამხრეთ რაიონებსა და ჩრდილო კავკასიას შორის მდებარე მიწების კოლონიზაცია – ათვისება: "Сплошная полоса русских поселений еще в середине XVII века не шла дальше линии Тамбов-Саратов, ниже все пространство между северным Донцом и Волгою заполняли обломки мусульманского поволжского Мира в непосредственном соприкосновении с Крымом и новыми кочевыми элементами за Волгою, калмыками и киргизами. Весь этот Мир в XVII веке находился в постоянных сношениях с Турциею.

Передовые форпосты русской юго-восточной колонизации и в то же время передовая линия восточной политики Москвы, Дон и в особенности Терек долгое время были оторваны от сплошной полосы русских поселений, лишь медленно продвигавшихся с Севера. В XVII веке Москва более решительно прибираст себе к рукам лишь ближайших своих соседей – инородческие племена Нижнего Поволжья, что завершается уже в Петровскую эпоху. На Кавказе за

---

[74] Н. **Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 17.

[75] იქვე, გვ. 17; იხ. აგრეთვე, მისივე, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის პერიოდიზაციის საკითხისათვის, ..., გვ. 67; ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი..., გვ. 243.

[76] Ш. **Месхия** и Я. **Цинцадзе**, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

Тереком вплоть до середины XVIII века ее политика выжидательная и оборонительная".[77]

მხოლოდ აღნიშნული საკითხების დადებითად გადაჭრის შემდეგ მოახერხებდა რუსეთი სტრატეგიულად ამ მეტად მნიშვნელოვან რეგიონში საკუთარი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებას.

მანამდე კი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში „რუსეთს საგარეო და საშინაო მდგომარეობა სრულებით არ უწყობდა ხელს სამხრეთით, ამიერკავკასიაში აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა და ირან-თურქეთისათვის ანგარიში არ გაეწია".[78]

---

[77] ЦГИЯ Груз. Республики, личный архив проф. М. Полиевктова, д. 19, л. 22-23; იხ. დ. კაჭარავა, ვახტანგ V-ის..., ..., ტ. I, თბ., 1970, გვ. 140; იხ. აგრეთვე А. В. Фадеев, Россия и Кавказ в I половине XIX века, М., 1960, გვ. 50; ნ. ასათიანი, მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 56.

[78] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივი აღწერილობა" (1650-1652 წწ.), გამოსცა ი. ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 25.

თავი II.

საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში (XVI ს-ის 90-იანი – XVII ს-ის 60-იანი წლები)

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის ძირითადი ასპექტები XVI-XVII სს-ში, ვნახეთ, თუ სად ეკახებოდა მათი ინტერესები ერთმანეთს და მივედით იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ პერიოდში რუსეთს კავკასიონის ქედის გადალმა აქტიური პოლიტიკის წარმოება არ შეეძლო. თუკი იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დონზე და ჩრდილო კავკასიაშიც კი თურქეთთან მიმართებაში თავდაცვით პოლიტიკას ატარებდა, მითუმეტეს, არ შეეძლო ამიერკავკასიასა და, მათ შორის, რასაკვირველია, საქართველოშიც, თურქეთის გავლენის აღმოფხვრისათვის ებრძოლა. კიდევ ვიმეორებთ: მხოლოდ აღნიშნულ პერიოდში, რამეთუ როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, რუსეთი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებდა და, თანდათანობით, მეთოდურად მოიწევდა სამხრეთისაკენ, რაც, საბოლოო ჯამში, მომდევნო საუკუნეებში ამიერკავკასიიდან თურქების განდევნით უნდა დასრულებულიყო; მაგრამ XVI-XVII სს-ში ამ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონში გაბატონების საკითხს რუსეთის მმართველი წრეები სრულიად სამართლიანად სამომავლო იმედისმომცემ პერსპექტივად მიიჩნევდნენ და, ამიტომაც, დაინტერესებულნი არ იყვნენ აქ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ახალი კერის შექმნით.

ამრიგად, XVI-XVII სს-ში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას მშვიდს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. მათ შორის რამდენიმე დიდ შეტაკებასაც კი ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს შეტაკებები საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონების გამო არ მომხდარა, თურქეთის გავლენა აქ ჯერ კიდევ მტკიცე იყო, ხოლო რუსეთისა, საკმაოდ სუსტი.

მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГАДА) არსებული მასალების შესწავლა კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებათა სისწორეს. ჩვენ

მხედველობაში გვაქვს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა ფონდში (№89) დაცული სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, სტამბოლში მიმავალი რუსი ელჩებისათვის გაცემული „განაწესები“ (наказ), ამ უკანასკნელთა მიერ შედგენილი „მუხლობრივი აღწერილობები“ (статейный список) და სხვ. ამ ზღვა მასალაში საქართველოს შესახებაც გვხვდება ცნობები. მათი შინაარსისა და ისტორიული ღირებულების თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს მკვლევართაგან პირველი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა ცნობილი სპეციალისტი, პროფ. ნ. სმირნოვი შეეხო, რომელმაც თავის მონოგრაფიაში XVI ს-ის 90-იანი წლების საქართველოს შესახებ არსებული ცნობები შემოიტანა მეცნიერულ მიმოქცევაში[79] (ამ უკანასკნელთ შესაბამის ადგილას განვიხილავთ).

პროფ. ნ. ნაკაშიძემ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შეისწავლა საქართველოს როლი ორ დიდ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში XVII ს-ის 30-იან წლებამდე.[80]

ჩვენ განვაგრძეთ აღნიშნული საკითხის კვლევა, გავეცანით XVII ს-ის 40-60-იანი წლების დოკუმენტებს და მოვიძიეთ საქართველოსთან დაკავშირებული დამატებითი მასალები, რომლებსაც ასევე ქვემოთ შემოგთავაზებთ.

რა სახისაა ხსენებულ ფონდში დაცული ის მასალები, რომლებიც საქართველოს შეეხება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ იმ წესს, რომელიც XVII ს-ის რუსეთში იყო დამკვიდრებული სხვა ქვეყნებში ელჩების გაგზავნასთან დაკავშირებით.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ, „საელჩო პრიკაზში“ სპეციალურად მათთვის მზადდებოდა ე. წ. „განაწესი“ (наказ), ხოლო ჩამოსვლის შემდეგ იქვე უნდა წარედგინათ „ნაკაზის“ მიხედვით შედგენილი „მუხლობრივი აღწერილობა“ (статейный список). სწორედ აღნიშნული სახის დოკუმენტები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს ამა თუ იმ ქვეყანასთან რუსეთის

---

[79] Н. А. Смирнов, Россия и Турция..., ..., ტ. I, გვ. 144.

[80] ნ. ნაკაშიძე, საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის I ნახევარში, კრებულში: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, ტ. II, თბ., 1973.

ურთიერთობის შესასწავლად. ჩვენ დავესესხებით აზრს პროფ. ნ. სმირნოვს, რომელიც მიუთითებს: "Наказ – это чрезвычайно подробная инструкция, в которой предусмотрен каждый шаг, каждое слово, каждое действие посла.

Наказ – это документ совершенно секретный, предназначенный лишь для послов, т. е. посла и дьяка, его сотоварища".[81]

სტამბოლში ყოფნის დროს ელჩებს სულთნისა და დიდი ვეზირისთვის რუსეთის მეფის სიგელები უნდა გადაეცათ. ელჩობის წარმატება-წარუმატებლობას დიდ ვეზირთან და ფაშებთან წარმოებული მოლაპარაკების შედეგი განსაზღვრავდა. ამიტომაც „ნაკაზში" განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი და დაწვრილებით იყო დამუშავებული თურქი დიპლომატების მიერ დასმულ შესაძლო კითხვებზე რუსეთის ელჩის პასუხები.[82] „ნაკაზში" ძალიან ბევრ ადგილას გვხვდება შემდეგი ფრაზები: "А будет визирь учнет спрашивать", "А будет паши учнут говорити..." ამ სიტყვებს შესაძლო კითხვები და პასუხები მოსდევს. ადვილი შესაძლებელია, აუდიენციაზე ზოგიერთი შეკითხვა საერთოდ არ დაესვათ თურქეთის მმართველი წრეების წარმომადგენლებს, და ცხადია, არც ელჩს მოუწევდა კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ აქ მთავარი სულ სხვა რამ არის, კერძოდ ის, რომ „ნაკაზიდან" ჩვენ რუსეთის მთავრობის პოზიციას, მის სახელმწიფო პოლიტიკას ვარკვევთ თურქეთთან მიმართებაში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, ანალოგიური თურქული წყაროების უქონლობის გამო, ჩვენ ჯერჯერობით საშუალება არა გვაქვს ოსმალეთის სამეფო კარის საქართველოსადმი დამოკიდებულების საკითხიც გავარკვიოთ. ეს მომავლის საქმეა, როდესაც თურქეთის არქივები დამუშავდება ქართველ მკვლევართა მიერ და აღმოჩნდება თურქთა მიერ შედგენილი ისეთივე საიდუმლო დოკუმენტები, როგორიც „ნაკაზებია".

მართალია, ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შემონახულია თურქი ელჩების მოსკოვში ვიზიტების შესახებ

---

[81] **Н. А. Смирнов**, Россия и Турция..., ტ. I, გვ. 32-33.

[82] იქვე. გვ. 34.

არსებული ოფიციალური დოკუმენტები (მათ შორის, სულთნების მიერ რუსეთის მეფეებისადმი გაგზავნილი სიგელებიც), მაგრამ მათში მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის აქტუალურ თემებზე არის მსჯელობა, საქართველოს საკითხს კი, ცხადია, აღნიშნულ პერიოდში ასეთთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ.

ამიტომაც, ვიდრე თურქული საიდუმლო დოკუმენტები არ არის მიკვლეული, მანამდე მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოზიციის განხილვა-შეფასებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

სტამბოლში მიმავალ ელჩებს არა მარტო თურქეთის ადმინისტრაციისადმი სათქმელი სიტყვები ეწერათ „ნაკაზში", არამედ, როგორც უკვე ვთქვით, ამ უკანასკნელთა მხრიდან შესაძლო კითხვებზე პასუხებიც. სხვა მრავალ ასეთ კითხვასთან ერთად (ესპანეთის, შვეციის, პოლონეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ყაზანის, ასტრახანის, ციმბირის და ა. შ. შესახებ) „ნაკაზებში" წლების მანძილზე ფიგურირებს საქართველოს საკითხიც ("А будет наши учнут говорити о Иверской земле...").

ამთავითვე, ვიდრე საქართველოს შესახებ არსებული ცნობების შესწავლაზე გადავიდოდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ XVI ს-ის მიწურულიდან მოყოლებული XVII ს-ის 60-იანი წლების ბოლომდე საქართველოს საკითხი არ გამხდარა რუსი და თურქი დიპლომატების სპეციალური განსჯის საგანი, იგი ყოველთვის რჩებოდა იმ დამატებით კითხვად, რომელიც ფაშებს არცერთხელ არ დაუსვამთ. ამიტომ ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობებში" ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები საქართველოს შესახებ, მაგრამ, როგორც ზემოთ რამდენჯერმე უკვე აღვნიშნეთ, ეს კითხვა-პასუხები გვეხმარება შევისწავლოთ რუსეთის მთავრობის პოზიცია საქართველოს მიმართ და სწორედ ამის გამოა ისინი მნიშვნელოვანი და ფასეული.

1593 წელს სტამბოლში ჩავიდნენ რუსეთის მეფის ელჩები გრიგოლ ნაშჩოკინი და დიაკი ანდრეი ივანოვი.

თუკი ბრწყინვალე პორტას მმართველი წრეები დაინტერესდებოდნენ საქართველოს საკითხით, მათ ნაბრძანები ჰქონდათ ასეთი პასუხი გაეცათ: საქართველოს მეფე ალექსანდრე ოდითგანვე ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელია. მან თავისი ელჩების პირით დიდ ხელმწიფეს სთხოვა წყალობა მოეღო და ივერიის

ქვეყანაში ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად მღვდელმსახურნი გაეგზავნა, აგრეთვე ნება დაერთო ქართველი ვაჭრებისათვის რუსეთში ჩასულიყვნენ სავაჭროდ. გარდა ამისა, ალექსანდრემ სთხოვა ხელმწიფეს, მიეღო იგი თავისი მფარველობის ქვეშ. ნაშჩოკინს უნდა ეთხოვა თურქეთის მთავრობისათვის, არ გაემაჰმადიანებინათ საქართველო.

რაც შეეხება იმას, რომ ალექსანდრე თურქებს ხარკს უხდიდა, ნაშჩოკინს უნდა ეპასუხა: „დაე, განაგრძოს გადახდა".[83]

XVII ს-ის დასაწყისში რუსეთსა და თურქეთს შორის სხვადასხვა მიზეზთა გამო დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი იყო. 1613 წელს რუსეთის ახალმა მეფემ მიხეილ თევდორეს ძემ (1613-1645 წწ.) გადაწყვიტა აღნიშნული ურთიერთობის აღდგენა, რისთვისაც სტამბოლში გაიგზავნა ელჩობა ი. სოლოვოი-პროტასიევისა და დიაკ დ. დანილოვის მეთაურობით. მათთვის გაცემული „ნაკაზი" არქივში შემონახული არ არის. რადგანაც 1628 წლამდე „ნაკაზებში" საქართველოს შესახებ არ იყო საუბარი,[84] უნდა ვივარაუდოთ, რომ არც 1613 წლის ელჩობის მასალებში იქნებოდა ცნობა ჩვენთვის საინტერესო თემაზე.

მხოლოდ 1628 წელს თურქეთში გამგზავრებული ელჩების ს. იაკოვლევისა და დიაკ პ. ევდოკიმოვის „ნაკაზიდან" ირკვევა მოსკოვის მთავრობის პოზიცია.

„ნაკაზი" ვარაუდობდა, რომ თუ თურქი დიპლომატები წამოჭრიდნენ საკითხს, "что государь, царь и великий князь Федор Иванович – всеа Руссии и после ево царь Борис Федорович в Грузинскую землю вступалися, держали ее под своею рукою, а Грузинской царь голдовник государя их – турского султана; а ныне ту землицу разорил кизылбашской шах и государь за грузинских царей вперед стояти хочет ли?!" – მაშინ რუს ელჩებს იაკოვლევსა და ევდოკიმოვს ამგვარი პასუხი უნდა გაეცათ: "в прошлых летах Иверской Александр царь и вся Иверская земля присылали к дяде великого государя нашего, блаженные

---

[83] იხ. **Н. А. Смирнов**, Россия и Турция..., ტ. I, გვ. 144; ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის..., თბ., 1983, გვ. 126.

[84] იხ. ნ. ნაკაშიძე, საქართველოს საკითხი..., გვ. 25.

памяти, к царю и великому князю Федору Ивановичю – всея Руссии и к царю Борису Федоровичю о церковных о учительных людях, потому что Иверская земля вся была православные христианские веры, и чтоб их великие государи держали в своей милости и пожаловали б их, вселели торговым людем приезжати в свое государство. И великий государь, царь и великий князь Федор Иванович – всеа Руссии и царь Борис Грузинского Александра царя пожаловали, посылали к ним учительных людей для православные веры и торговым ево людем в свои государства ходить поволили.

А ныне мы слышали, что тое землицу разорил Шах Персидцкой.

А как великий государь наш вперед Иверского царя учнет иметь в своей царской милости, и того нам не ведомо.

А Иверская земля от Московского государства далече.

А будет паши о тех статьях не учнут говорити, и послам Семену и Петру самим о тех статьях не всчинати".[85]

სანამ შემდგომი წლების ელჩობების განხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ბოლომდე სტამბოლში წარგზავნილებისადმი გაცემულ „ნაკაზებში" სიტყვასიტყვით მეორდება და უცვლელი რჩება თურქი ფაშების შესაძლო კითხვა და, აგრეთვე, მკაცრი დარიგება იმის შესახებ, რომ თავად არ წამოიწყონ საქართველოს შესახებ საუბარი. იცვლება მხოლოდ რუსი ელჩების შესაძლო პასუხები.

1628 წლიდან მოყოლებული 1642 წლის ჩათვლით ზუსტად ასეთივე ინსტრუქციებს იღებენ თურქეთში მიმავალი რუსი დესპანები.[86]

---

[85] ЦГАДА, ф. 89, оп. 1, г. 1628, д. 1, лл. 55-57; შდრ.: ნ. ნაკაშიძე, საქართველოს საკითხი..., გვ. 25.

[86] ЦГАДА, ф. 89. оп. 1. г. 1630. д. 2; ф. 89, оп. 1, г. 1632, д. 2; ф. 89, оп. 1, г. 1633, д. 2; ф.89, оп. 1, г. 1634, д. 1; ф. 89, оп. 1, г. 1635, д. 1.

1643 წელს კი ელჩების ი. მილოსლავსკისა და დიაკ კ. ლაზარევისათვის გაცემული „ნაკაზიდან“ ვგებულობთ, რომ საქართველოს საკითხმა გარკვეული ცვლილება განიცადა, რაც ინსტრუქციიდან ზოგიერთი ადგილის ამოღებასა და რიგი ახალი ცნობების ჩამატებაში გამოიხატა, კერძოდ, „ნაკაზიდან“ ამოღებულია სიტყვები: "А ныне мы слышали, что тое землицу разорил Шах Персидцкой.

А как великий государь наш вперед Иверского царя учнет иметь в своей царской милости, и того нам не ведомо.

А Иверская земля от Московского государства далече".

სამაგიეროდ, ჩაამატეს შემდეგი ხასიათის ცნობა: "А ныне Иверской Теймураз царь так же к великому государю нашему, царю и великому князю Михайлу Федоровичю – всея Русии посылал бити челом послов своих, чтоб великий государь пожаловал, держал его в своей государской милости и прислал бы к нему послов своих, а велел земли его и мест осмотрети, как от Персидцкого шаха разорена; да с теми ж бы послы царское величество прислал к нему для исправленья православные християнские веры духовного чину людей. И великий государь наш, его царское величество Грузинского Теймураза царя пожаловал, по ево письму и прошенью своих государевых послов и духовного чину учительных людей к нему и посылал, и вперед его, Теймураза царя в своей государской милости держати хочет так же, как и прежние великие государи, цари и великие князи российские Иверских царей в своей государской милости держали".[87]

1645 წელს ახალი ელჩების ს. ტელეპნევისა და დიაკ ა. კუზოვლევის ინსტრუქციაში თითქმის მთლიანად მეორდება წინა ელჩობის „ნაკაზში“ არსებული ცნობები საქართველოს შესახებ, მხოლოდ ერთი წინადადებაა დამატებული: "А в прошлом, во

[87] ЦГАДА, ф. 89, оп. 1, г. 1643, д. 1, лл. 172-177.

149 (1641)-м году, великий государь, его царское величество послал в Грузии к Теймуразу царю, для ево разоренья, что его шах разорил, с своими царского величества послы многое свое государское жалованье".[88]

ს. ტელეპნევისა და ა. კუზოვლევის ელჩობა უკანასკნელი გამოდგა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის 40-იან წლებში. ამის შემდგომ ისევ გაწყდა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა. ასეთი მდგომარეობა 60-იანი წლების შუა ხანებამდე გაგრძელდა. დროის ამ მონაკვეთში საქართველოს ცხოვრებაში მოხდა რიგი მოვლენებისა, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასთან. მაგრამ სანამ აღნიშნულ საკითხებს შევეხებოდეთ, ჯერ წინამდებარე ცნობებს გავუკეთებთ კომენტარს.

თავიდანვე ვიტყვით, რომ მათში ხსენებული პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკვანძო მომენტები ძირითადად ზუსტად და ობიექტურად არის გადმოცემული და საქართველოს შესახებ არსებული ცნობების ცვლილებები საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განვითარებას მასთან მიმართებაში.

1593 წლის „ნაკაზში" კარგად არის ასახული რუსეთ-საქართველოს დაკავშირების პირველი წლები და იმ დროს შექმნილი პოლიტიკური ვითარება: როგორც ცნობილია, XVI ს-ის ბოლოს კახეთის მეფე ალექსანდრე II-სა (1574-1605 წწ.) და რუსეთის ხელმწიფე თეოდორე ივანეს ძეს (1584-1598 წწ.) შორის მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად პოლიტიკურ კავშირსაც გულისხმობდა (ალექსანდრემ 1587 წელს ფიციც კი დადო რუსეთის მეფის ერთგულებაზე).[89]

ეს იყო ამიერკავკასიაში ოსმალთა სრული ბატონობის პერიოდი: 1590 წელს დასრულდა თურქეთ-ირანის 12-წლიანი ომი, რომელშიც ამ უკანასკნელმა სასტიკი დამარცხება განიცადა. ახალგაზრდა შაჰი – აბას I (1587-1629 წწ.) იძულებული გახდა მისი სახელმწიფოს ინტერესების მკვეთრად შემლახავი ზავისთვის მოეწერა ხელი, რომლის მიხედვით თურქეთის ხელში სხვა

[88] იქვე. ф. 89. оп. 1, г. 1645, д. 1, лл. 268-270а.

[89] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 145.

ტერიტორიებთან ერთად ირანის „კუთვნილი“ კახეთის სამეფოც გადადიოდა (შესავალში უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველო ირანის ხელდებულად ითვლებოდა).

რაც შეეხება ხარკს, წყაროები გვაწვდიან ცნობას, რომ ალექსანდრე კახთა მეფე ჯერ კიდევ 1578 წლიდან უხდიდა მას თურქეთს.[90]

XVI ს-ის 80-იან წლებში სწორედ ირან-თურქეთის ომით ისარგებლა კახეთის მეფემ და რუსეთთან კავშირით სცადა დამპყრობელთაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლება, მაგრამ XVII ს-ის დასაწყისში კვლავ გაძლიერებულმა ირანმა ბოლო მოუღო აღნიშნულ ურთიერთობას. ალექსანდრე II-ის ტრაგიკული ბედი ყველასთვის კარგად არის ცნობილი და ამიტომაც ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

XVII ს-ის 10-იან წლებში, თეიმურაზ I-ის მეფობის დასაწყისში, ირანის შაჰმა აბას I-მა, რომლის მიზანი ქართველების გენოციდი იყო, კახეთი რამდენჯერმე სასტიკად აოხრა და ჩვენს ხალხს მთელი თავისი ძალების მობილიზება დასჭირდა, რომ ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებინა. თეიმურაზ I ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში შემწეობას ჯერ თურქეთის სულთანს სთხოვდა, შემდეგ კი რუსეთიდან რეალური დახმარების მიღებას შეეცადა. ამ მიზნით 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე ელჩობა გაიგზავნა ჩრდილოეთში. მაგრამ რუსეთს მაშინ ხელს არ აძლევდა და თან არც შეეძლო საქართველოს დახმარებოდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შინაური პირობები არ უწყობდნენ ხელს, მეორეც, დიდად იყო დაინტერესებული ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებით.[91] რამდენიმეგზის უშედეგო ელჩობის შემდეგ, 20-იანი წლების შუა ხანებში რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა ისევ გაწყდა.

---

[90] იქვე, გვ. 129; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, კახეთს ოსმალეთისთვის უნდა გადაეხადა 30 იუქი აბრეშუმი, 20 ქალ-ვაჟი, 10 ფრთა შეკარდენი და 10 ფრთა მიმინო (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 42).

[91] იხ. თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990, გვ. 72.

ასეთი იყო ვითარება, როცა 1628 წელს თურქეთში გაემგზავრნენ ელჩები იაკოვლევი და ევდოკიმოვი. ამიტომ ჩვენთვის სრულიად გასაგებია მათი გაუგებარი და ბუნდოვანი პასუხი. უმთავრესი კი ამ ცნობებში ის არის, რომ ელჩებმა არ იციან, შემდგომში საქართველოს მიმართ რუსეთის მეფეს რა დამოკიდებულება ექნება.

მაშასადამე, 20-იანი წლების ცნობები ზუსტად ასახავენ იმ დროს შექმნილ მდგომარეობას — დიპლომატიური კავშირის არარსებობას ორ ქვეყანას შორის.

XVII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში თეიმურაზ I-მა ჯერ დაკარგა სამეფო ტახტი, შემდეგ კი ისევ დაიბრუნა იგი. ამ დროს განახლდა ირან-თურქეთის ომი და მან შექმნილი სიტუაცია შესაფერისად მიიჩნია ირანის ბატონობისაგან თავისი ქვეყნის გასათავისუფლებლად, რის გამოც 1635 წელს ელჩობა გაგზავნა მოსკოვში ბერძენი ხუცესის ნიკიფორეს მეთაურობით. ამიერიდან ისევ აღდგა კახეთ-რუსეთის ურთიერთობა. თეიმურაზი თავისი ელჩის პირით რუსეთის მეფეს სამხედრო ძალით დახმარებას თხოვდა.[92]

1637 წელს მოსკოვიდან საპასუხო ელჩობა გამოაგზავნეს ბოლკონსკისა და დიაკ ხვატოვის მეთაურობით, რომელთაც ევალებოდათ კახეთის მეფე რუსეთის დიდი ხელმწიფის ერთგულებაზე დაეფიცებინათ, ანუ უნდა აღდგენილიყო ის ძველი ურთიერთობა, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობდა ჯერ კიდევ ალექსანდრე II-ის დროიდან.

რადგან მისიას ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრებოდა, მოსკოვის ელჩებს თან მრავალრიცხოვანი ამალა გამოაყოლეს (თარჯიმნები, სამღვდელო პირნი, მხატვრები, ხელოსნები და ა. შ.).

1638 წელს ელჩები კახეთში ჩამოვიდნენ და 1639 წელს თეიმურაზმა კახელ დიდებულებთან ერთად ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს", რითაც იგი მოსკოვის მეფის ხელდებული ხდებოდა, ხოლო მიხეილ თევდორეს ძე მის მფარველობას კისრულობდა.[93] მფარველობა მფარველობად, მაგრამ სამხედრო დახმარება და „შორეულს

---

[92] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 320.

[93] იხ. **Н. Накашидзе**, Грузино-русские политические отношения в I половине XVII века, 1968, გვ. 122; ნ. ასათიანი, გზა გამოხსნა — აღდგომისაკენ, თბ., 1983, გვ. 67.

ამიერკავკასიაში სუსტი ყმის აქტიური შველა“ (ნ. ბერძენიშვილი)[94] რუსეთის ხელმწიფეს, იმ პერიოდში, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, დიდი სურვილისდა მიუხედავად, არ შეეძლო.

აღნიშნულმა მოვლენებმა თავისი ასახვა ჰპოვა 1643 წელს გამგზავრებული ი. მილოსლავსკისა და დიაკ ლ. ლაზარევის „ნაკაზში“. მიუხედავად იმისა, რომ მასში ნახსენები არ არის თეიმურაზის მიერ რუსეთის მეფის ერთგულებაზე ფიცის დადება, ამ უკანასკნელის პოლიტიკის გააქტიურება საქართველოს მიმართ სრულიად აშკარაა ("... и вперед, сво, Теймураза царя, в своей государской милости держати хочет").

სწორედ ამიტომ იქნა ამოღებული „ნაკაზიდან“ ზემოთ მითითებული ბუნდოვანი და გაუგებარი პასუხები. ნათელია, რომ რუსეთ-კახეთის ურთიერთობა თავისი განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა.

1641 წელს რუსეთიდან კიდევ ერთი ელჩობა გამოემგზავრა კახეთში მიშეცკისა და დიაკ კლუჩარევის მეთაურობით. ისინი 1642 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში. დიდი ხელმწიფე თეიმურაზს „წყალობის სიგელს“ უგზავნიდა, რაც ხელშეკრულების რატიფიკაციას ნიშნავდა.[95]

გარდა ამისა, მიხეილ თევდორეს ძემ კახეთის მეფეს საჩუქრად საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა და დიდძალი ბეწვეული გამოუგზავნა.

სწორედ ეს უკანასკნელი ცნობაა ჩამატებული 1645 წლის ელჩობის „ნაკაზში“, თუმცა „წყალობის სიგელის“ გამოგზავნაზე, ცხადია, სიტყვაც არაა ნათქვამი.

---

[94] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 261. .

[95] იხ. **Н. Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 130-131; მისივე, საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, კრებულში: საქართველოს სამეფო-სამთავროების..., ტ. I, თბ., 1970, გვ. 78; „მოსკოვის სახელმწიფოში მიღებული წესის თანახმად, მოსკოვის მეფის მფარველობაში შესული პირი ხელს აწერდა ე. წ. ფიცის წიგნზე, რომელშიც ხელდებულის მოვალეობები იყო ჩამოთვლილი. შემდეგ მოსკოვის მეფე აძლევდა ე. წ. წყალობის სიგელს, სადაც უკვე მფარველის ვალდებულებები იყო აღნუსხული“ (ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 134).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსეთის მეფე ძირითადად ზუსტად ატყობინებს თურქეთის მთავრობას საქართველოსთან მისი ურთიერთობის უმთავრეს მომენტებს. რასაკვირველია, „ნაკაზების" მიხედვით ამ ურთიერთობას უმთავრესად ეკონომიკური და ერთმორწმუნეობრივი ფაქტორები უდევს საფუძვლად, მაგრამ ზოგჯერ პოლიტიკური საკითხიც ფიგურირებს მასში. სხვაგვარად ვერ ავიქვამთ ხელმწიფის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „მომავალშიც სურს მეფე თეიმურაზი თავისი მეფური მოწყალების ქვეშ იყოლიოს".

რადგანაც განხილულ პერიოდში ირან-თურქეთის ომი მიმდინარეობდა (1639 წლამდე), თანაც სულთან მურად IV-ის (1623-1640 წწ.) სიკვდილის შემდეგ ოსმალეთის იმპერიაში დიდი არეულობა სუფევდა, მოსკოვის მთავრობა, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ მის ჩარევას ირანის „საშინაო" საქმეებში ოსმალეთის მხრიდან უარყოფითი რეაქცია არ მოჰყვებოდა და ამიტომაც აცხადებდა ასე დაუფარავად კახეთის სამეფოს მიმართ თავისი დამოკიდებულების შესახებ.

მართლაც, ოსმალეთის ადმინისტრაციას არ გამოუხატავს უარყოფითი დამოკიდებულება ირანის ვასალთან რუსეთის მთავრობის პოლიტიკის გააქტიურებასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოს საკითხი ერთხელაც არ დამდგარა დღის წესრიგში თურქ დიპლომატებთან რუსი ელჩების შეხვედრის დროს.

XVII ს-ის I ნახევარში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში საქართველოს ადგილის განსაზღვრაში მთლიანად ვეთანხმებით პროფ. ნ. ნაკაშიძეს, რომელიც წერს, რომ "грузинский вопрос в русско-турецких отношениях в первой половине XVII века не являлся первостепенным и не обострял эти отношения".[96]

XVII საუკუნის 50-იან წლებში, როცა რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი იყო, საქართველო-რუსეთის დამოკიდებულებაში მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თურქეთის ვასალის — იმერეთის მეფის მიერ რუსეთის

---

[96] ნ. ნაკაშიძე, საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის I ნახევარში (რუსული რეზიუმე), ..., გვ. 27.

დიდი ხელმწიფის ერთგულებაზე ფიცის დადება. ამიერიდან რუსეთმა დიპლომატიური მოქმედება თურქეთის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნის ტერიტორიაზეც გადაიტანა. ჰქონდა თუ არა თურქეთის მხარეს რეაქცია რუსეთის მხრიდან მის „შინაურ" საქმეებში ასეთ აშკარა ჩარევაზე, ანდა შეცვალა თუ არა თავად რუსეთმა საქართველოს მიმართ თავისი დამოკიდებულება?!

ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ ურთიერთობის აღდგენის შემდეგ სტამბოლში გაგზავნილი პირველივე ელჩობის მასალები.

1667 წელს თურქეთს გაემგზავრნენ ელჩები ა. ნესტეროვი და დიაკი ი. ვახრამეევი. რადგან არც ამ ელჩობის დროს დაუყენებიათ თურქებს საკითხი საქართველოს შესახებ, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი აღნიშნულ ეტაპზე რუსეთთან დამოკიდებულების დროს იმერეთის და, საერთოდ, მთლიანად საქართველოს პრობლემას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. რუსეთის მთავრობის პოზიცია კი, როგორც „ნაკაზიდან" ირკვევა, შეცვლილა.

რაში გამოიხატა ეს ცვლილება? თუ „ნაკაზს" დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სიტყვასიტყვით მეორდება 40-იან წლებში შემუშავებული ფორმულა საქართველოს შესახებ.[97] მაგრამ ჩვენს ყურადღებას ორი მომენტი იქცევს: 1) „ნაკაზში" ჯერ ეწერა და შემდეგ გადაუხაზავთ სიტყვები: "... И прислал бы к нему послов своих, а велел земли ево и мест осмотрити, как от Персицкого шаха разорена; да с теми ж бы послы царское величество..."; 2) გადახაზულია აგრეთვე სიტყვები: "... И вперед ево, Тейму...", ამის ქვემოთ კი ფურცელი მოჭრილია და, ცხადია, ტექსტი აღარ გრძელდება.

შევეცდებით კომენტარი გავუკეთოთ აღნიშნულ ფაქტებს: 1) რადგანაც ზემოთ მოტანილი ციტატა გადახაზულია, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ელჩებს აუკრძალეს ამ სიტყვების თქმა სტამბოლში, რაც გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. დავაკვირდეთ, რა სიტყვებია გადახაზული – ეს ხომ ის წინადადებაა, თურქეთთან ურთიერთობის გაწყვეტამდე, 40-იანი წლების მთელ მანძილზე რომ ეწერათ ელჩებს „ნაკაზში". აქ

[97] ЦГАДА, ф. 89. оп. 1, г. 1667, д. 2, лл. 169-170; იხ. გ. სითიძე, საქართველო და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა, „განთიადი", ქუთაისი, 1993, №11-12, გვ. 164.

ახალი არაფერია, უბრალოდ, 60-იან წლებში მისი წარმოთქმა სტამბოლში საჭირო აღარ იყო: შეიძლებოდა თურქ დიპლომატებს პროტესტი გამოეთქვათ იმის გამო, რომ რუსეთის მეფემ სპარსეთის შაჰის მიერ აოხრებული მიწების დასათვალიერებლად გააგზავნა ელჩები და ეკითხათ, თუ რა უფლებით ერეოდა იგი ირანის „საშინაო“ საქმეებში. ამ ფაქტისათვის სტამბოლში შეიძლებოდა პოლიტიკური ელფერი მიეცათ (ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რუსეთის მმართველი წრეები ასე ფიქრობდნენ). რაც შეეხება სამღვდელო პირთა გაგზავნას "для изправленья православные християнские веры" (ეს ფორმულირება დარჩა „ნაკაზის“ ტექსტში), ამაზე თურქეთში ელჩებს ვერაფერს ეტყოდნენ, რადგანაც რუსეთი და საქართველო ერთმორწმუნე ქვეყნები იყვნენ.

როგორც უკვე დავრწმუნდით, თურქეთის მთავრობა არა თუ ამ საკითხის, არამედ მისი ინტერესების შემლახავი ფაქტის გაპროტესტებასაც კი არ აპირებდა და, ალბათ, ტყუილად შიშობდნენ რუსეთში მოსალოდნელი (თუნდაც მცირეოდენი) გართულების გამო.[98]

რაც შეეხება მეორე მომენტს, მას ამგვარი ახსნა მოეძებნება: საერთოდ „ნაკაზებს“ რუსეთის სახელმწიფოში „საელჩო პრიკაზის“

---

[98] XVII ს-ის 60-იან წლებში ანალოგიური მოვლენა შეინიშნება რუსეთ-ირანის ურთიერთობის დროსაც. 1662 წელს სპარსეთში გაემგზავრა დიდი ელჩობა თ. მილოსლავსკისა და ი. ნარბეკოვის მეთაურობით. აი, რას წერს ჩვენთვის საინტერესო ფაქტთან დაკავშირებით თ. ტივაძე: „შაჰთან მიწერილ (დიდი ხელმწიფის – გ. ს.) წერილში, რომელიც, სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს, როგორც ჩანს, მეფის ტიტულიდან „საქართველო“ და „იერია“ ამოღებული იყო. ამას ადასტურებს ერთი საინტერესო ფაქტი: რუსეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის მასალათა ფონდის სვეტებად აკინძულ საქმეებში შემონახულია მილოსლავსკისა და ნარბეკოვისადმი გაცემული ინსტრუქციის დედნის ნაწყვეტი, რომელშიც ერთ ადგილას რუსეთის მეფე თაყვის თაყვს საქართველოს მფლობელს უწოდებს. სწორედ ეს ადგილი დოკუმენტში ირგვლივ მელნითაა შემოხაზული, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თეთრად გადაწერის დროს იგი უნდა ამოღებულიყო.

ასეთი სიფრთხილე საქართველოს საკითხთან დაკავშირებით გასაკვირი არაა. მოსკოვის ხელისუფლება, რომელიც სწორედ ამ ელჩობის გაგზავნით ირანთან ძველებური კეთილგანწყობის აღდგენას იმედოვნებდა (როგორც ცნობილია, 50-

მოხელეები ადგენდნენ. თუკი მათ ყოველი ელჩობის წინ რაიმე ახალი ინსტრუქცია არ მოუვიდოდათ მთავრობიდან, აიღებდნენ წინა ელჩობის „ნაკაზს“ და სიტყვასიტყვით გადმოიწერდნენ. ალბათ, ამ შემთხვევაშიც ასე მოიქცნენ და ამასობაში კი „დაავიწყდათ“, რომ თეიმურაზ მეფე რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო, ამიტომ, უწინდებურად, ახალ „ნაკაზშიც“ ჩაწერეს, რომ დიდ ხელმწიფეს განზრახული აქვს მეფე თეიმურაზი თავისი მეფური მოწყალების ქვეშ იყოლიოს; რომ გასულ, 1641 წელს, მან თავისი ელჩების ხელით დიდი წყალობა გაუგზავნა, ვინაიდან თეიმურაზის სამფლობელო შაჰის მიერ იყო აოხრებული და ა. შ. (თავისთავად, უკვე ეს ფაქტი მიუთითებს მოსკოვის მთავრობის საერთო განწყობილებაზე საქართველოს მიმართ და ამ უკანასკნელის არცთუ ისე დიდ როლზე ჩვენთვის საინტერესო პერიოდის რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში), მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ვიღაცამ გადაამოწმა „ნაკაზი“ და იხილა რა მასში საქართველოს შესახებ ასეთი უხეში შეცდომები, ამოაღებინა (ანუ მოაჭრევინა) იქიდან არასასურველი ადგილები, ხოლო ზოგიერთი ადგილი, როგორც ვნახეთ, გადაახაზვინა.

ამრიგად, საარქივო მასალებმა გვიჩვენა, რომ რუსეთის ადმინისტრაცია დროთა განმავლობაში კი არ ააქტიურებდა თურქეთთან ურთიერთობის დროს თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო ასუსტებდა, რაც XVII ს-ის 40-იან წლებში შემუშავებული ფორმულირების 60-იანი წლების ბოლოს შემცირებაში გამოიხატა.

იან წლებში რუსეთ-ირანის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებული იყო — გ. ს.), ერიდებოდა შაჰის გაღიზიანებას, მაგრამ ვინაიდან ისიც ცხადი იყო, რომ სულ ხმის ამოუღებლობაც არ ივარგებდა (ირანში შეიძლება ეს დათმობად მიეღოთ და ამით რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა დაზარალებულიყო), რუსეთის სახელმწიფოს მთავრობამ აუცილებლად მიიჩნია გამოქომაგებოდა საქართველოს, მაგრამ არა როგორც ოფიციალური მფარველი, არამედ როგორც მეზობელი, ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ძლიერი ქვეყანა. ამ ორ პოზიციას შორის, რა თქმა უნდა, დიდი განსხვავება იყო“ (თ. ტივაძე, საქართველოს საკითხი..., ტ. II, თბ., 1973, გვ. 41-42). ამ საკითხის შესახებ აგრეთვე იხ.: თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977, გვ. 97-98.

რუსეთი უფრო ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა მყარად ჩამდგარიყო ამიერკავკასიაში გაბატონების მოსურნე ქვეყნების რიგებში. სანამ ეს ჟამი არ მოაღწევდა, მანამ იგი მის ხელქვეით მყოფ ქვეყნებს და, მათ შორის, რასაკვირველია, საქართველოსაც, ბედის ანაბარა მიატოვებდა.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ: ალნიშნულ პერიოდში, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში საქართველოს როლი, მისი ხვედრითი წილი მნიშვნელოვანი არ იყო.

ყოველივე ზემოთქმული არათუ ანელებს, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ინტერესს საკვლევი თემისადმი, რადგანაც აქ წამოიჭრება უაღრესად სერიოზული პრობლემა, წლების მანძილზე მეცნიერთა მძაფრი განსჯა-კამათის საგანს რომ წარმოადგენდა და ასეთად რჩება დღესაც: მართებული იყო თუ არა ამ პერიოდში რუსეთზე ორიენტაცია, ანუ საქართველოს სამეფო-სამთავროთა მესვეურთ რამდენად სწორი საგარეო-პოლიტიკური კურსი ჰქონდათ არჩეული.

თავი III.

იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის ურთიერთობა XVII ს-ის 40-50-იან წლებში (საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე)

§ 1. საქართველოს სამეფო-სამთავროთა მდგომარეობა XVII ს-ის 30-40-იან წლებში

საკვლევი თემის ჯეროვნად შესწავლისათვის ჩვენ მიზანშეწონილად მიგიჩნიეთ საკითხის განხილვა-გაანალიზება XVII ს-ის 30-იანი წლების დამდეგიდან დაგვეწყო, როდესაც საქართველოს ისტორიაში ადგილი ჰქონდა რიგ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც შემდგომში მისი სამეფო-სამთავროების განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონიეს.

1633 წლის დასაწყისში როსტომ ხანისგან დამარცხებულმა და დევნილმა კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა თავი იმერეთს შეაფარა, სადაც იმ პერიოდში გიორგი III (1605-1639 წწ.) მეფობდა. თეიმურაზმა მასთან მეგობრული კავშირი 30-იანი წლების დამდეგს დაამყარა, როდესაც თავისი ქალიშვილი, ზურაბ არაგვის ერისთავის ცოლყოფილი ნესტან-დარეჯანი მის შვილს — უფლისწულ ალექსანდრეს მიათხოვა. მიზანი ამ წმინდა პოლიტიკური აქტისა, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შემდეგში მდგომარეობდა: „გიორგი საააკაძის საქციელს, რომელმაც თეიმურაზ მეფის საწინააღმდეგოდ იმერთა მეფის ძის ქართლში გაბატონება სცადა, უნდა დაენახვებინებინა თეიმურაზისთვის, რომ მისთვის იმერეთის მეფესთან უფრო მჭიდროდ დაახლოება და დაკავშირება იყო საჭირო; რაიმე გზით ის უფრო მომტკიცებული უნდა ჰყოლოდა, რომ მუდამ ზურგიდან თავდასხმისა და ხიფათის მოლოდინში არ ყოფილიყო. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელა თეიმურაზ მეფეს, როდესაც მას თავისი ვერაგობითვე ახლად დაქვრივებული ქალის იმერეთში გათხოვება გადაუწყვეტია“.[99]

[99] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი V, თბ., 1953, გვ. 18.

ამიერიდან თეიმურაზი და გიორგი ერთიანი ძალით უნდა გამოსულიყვნენ მტრების წინააღმდეგ. უბოროტესი მტერი კი თეიმურაზისათვის აღნიშნულ კონკრეტულ სიტუაციაში ქართლის მეფე (სპარსეთის შაჰის ვალი — მოადგილე) როსტომი იყო, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობდა დასავლეთ საქართველოში მოკავშირეები გაეჩინა და ამით მოწინააღმდეგე მხარე დაესუსტებინა. სწორედ ასეთ პოტენციურ თანამდგომად მიიჩნიეს მან და მისმა მრჩევლებმა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი. ლევანს ამ დროისათვის უკვე გამწვავებული ჰქონდა ურთიერთობა იმერეთთან, თანაც გარკვეული მიზეზების გამო თურქეთის სულთანიც ურისხდებოდა და, როგორც იტყვიან, სწორედ სულზე მიუსწრო როსტომის წინადადებამ, ნათესაური კავშირით დაახლოებოდნენ ერთმანეთს. ლევანს თავისი დაი, სვიმონ გურიელის ცოლყოფილი, სათნოებითა და კდემამოსილებით ცნობილი მარიამი უნდა მიეთხოვებინა როსტომ მეფისათვის. ამ უკანასკნელის მთავარ საზრუნავს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეიმურაზ-გიორგი-ალექსანდრეს კავშირის დასუსტება წარმოადგენდა, რასაც იმ შემთხვევაში მიაღწევდა, თუ ლევან დადიანს მუდმივად თავდასხმის მუქარის ქვეშ ეყოლებოდა იმერთა მეფე.

როსტომისა და დადიანის დამოყვრებას მიესალმა ირანის შაჰსეფიც (1629-1642 წწ.), რომელსაც ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის დროს დადიანთან, როგორც თურქეთის ყმადნაფიცთან, დაკავშირება საშურ და აუცილებელ საქმედ მიაჩნდა.[100] გარდა ამისა, ალმოსავლეთ საქართველოში თავისი მოხელის — ვალის დასმის შემდეგ ირანის უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა, რათა იქიდან უმოკლესი გზით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირება შესძლებოდა.[101]

როგორც ვხედავთ, როსტომისა და მარიამის ქორწინებით უაღრესად დაინტერესებული სპარსეთის შაჰის ხელშეწყობით როსტომმა და ლევან დადიანმა მჭიდრო კავშირი შეკრეს, რომელიც, პირველ რიგში, თეიმურაზ-გიორგის წინააღმდეგ იყო მიმართული.

---

[100] იხ. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შერთება (XVI-XIX სს.), თბ., 1988, გვ. 44.

[101] იხ. გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII ს-ის 30-50-იან წლებში, თბ., 1987, გვ. 7; იხ. აგრეთვე, კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 155.

ამ უკანასკნელთ სცადეს აღნიშნული აქტის ჩაშლა, მაგრამ ვერ მოახერხეს, პირიქით, თვით იმერთა მეფე გიორგი ტყვედ ჩაუვარდა ლევან დადიანს.

ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVIII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ორი, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პოლიტიკური ბლოკი შეიკრა, რამაც, თამამად შეიძლება ითქვას, შემდგომში უდიდესი გავლენა იქონია საქართველოს ბედზე.[102]

მიუხედავად განდევნისა და გიორგი მეფის ტყვედ ჩავარდნისა, ამ შემთხვევაში თეიმურაზმა მაინც შედარებით იოლად დაიბრუნა თავისი სამფლობელო – კახეთი 1634 წელს და, შემდგომად ამისა, 1648 წლამდე განაგებდა მას.

ამასობაში ირან-ოსმალეთის ომიც განახლდა. წინა თავში ჩვენ ვნახეთ, რომ თეიმურაზმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა რუსეთიდან სამხედრო დახმარების მიღება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯარის ნაწილები არ გამოუგზავნია, მოსკოვის მთავრობის პოლიტიკის გააქტიურება სამხრეთის მიმართულებით აშკარა ფაქტს წარმოადგენდა, რაც შაჰს ძლიერ აშფოთებდა, მაგრამ იგი თურქეთთან საომარ ვითარებაში იმყოფებოდა და იძულებული იყო როგორც რუსეთის, ისე თეიმურაზის მიმართ გარეგნული სიმშვიდე შეენარჩუნებინა და უფრო ხელსაყრელ დროს დალოდებოდა სამაგიეროს გადასახდელად. ეს დროც მალე დადგა: 1639 წელს ზოჰაბში თურქეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი, რომელიც 1722 წლამდე არ დარღვეულა. ირანს საშუალება მიეცა თავისი საგარეო პოლიტიკისთვის გადაეხედა და რუსეთ-კახეთის ურთიერთობებში აქტიურად ჩარეულიყო.

აი, როგორ შეფასებას აძლევს მკვლევარი თ. ტივაძე ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავს და მის შედეგებს საქართველოსთვის: „1639 წლის ირან-ოსმალეთის დაზავებამ, ცხადია, თავისი უარყოფითი შედეგი იქონია ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსათვის. ირანის შაჰი, რომელიც მანამდე ასე თუ ისე ქართველების მოკავშირეობის იმედით იყო, ახლა ცდილობდა... გაებათილებინა, თუკი რამ შეღავათი ჰქონდა თეიმურაზისათვის მიცემული".[103]

---

[102] იხ. თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990, გვ. 99.
[103] თ. ტივაძე. თეიმურაზ პირველის..., გვ. 110-111.

როგორც ცნობილი რუსი მკვლევარი ა. ნოვოსელცევი მიუთითებს, „რუსეთ-ირანის ურთიერთობებში 1639 წლის შემდგომი პერიოდი რუსეთისა და ირანის მთავრობათა მუდმივი დაძაბულობით ხასიათდება, რისი უპირველესი მიზეზიც დაღესტნისა და საქართველოს საკითხი იყო“.[104] მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-ირანს შორის ომამდე საქმე მაინც არ მისულა: რუსეთი დიპლომატიური მეთოდებით ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში, რაც, თავისთავად ცხადია, თეიმურაზის დაცვასაც გულისხმობდა. აი, სწორედ რუსეთის ეს დიპლომატიური გააქტიურება არ მოსწონდა შაჰ აბას II-ს და ცდილობდა თეიმურაზი ტახტიდან ჩამოეგდო, რისთვისაც საჭირო გახდა იმ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ამოქმედება, რომელიც დასაწყისიდანვე თეიმურაზისა და მისი მოკავშირის — იმერეთის მეფის წინააღმდეგ იყო შექმნილი: როსტომ ხანსა და ლევან დადიანს დაევალათ თეიმურაზის მოცილება პოლიტიკური სარბიელიდან და თუ ამ უკანასკნელმა სამეფო ტახტზე 1648 წლამდე გაძლო, ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, სწორედ თეიმურაზისადმი როსტომ მეფის დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ძალზე კარგად დაახასიათეს მკვლევრებმა გ. ჯამბურიამ და გ. ჟორჟოლიანმა თავიანთ ნაშრომებში.[105]

როგორც ვიცით, XVII ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევარსა და 40-იანი წლების დამდეგს თეიმურაზის ხელშეწყობითა და მონაწილეობით რამდენიმე შეთქმულება მოეწყო, რომელიც როსტომის ტახტიდან გადმოგდებასა და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. როსტომმა დროული და ენერგიული მოქმედებებით აღკვეთა ყველა ცდა ტახტიდან მისი ჩამოგდებისა. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ არცერთ შეთქმულებაში და, საზოგადოდ, როსტომ-თეიმურაზის კონფლიქტში, იმერთა მეფე ალექსანდრე III-ს აქტიური მონაწილეობა არ მიუღია, არადა, უკეთესი საშუალება თეიმურაზისათვის თავისი თანადგომის

---

[104] А. П. **Новосельцев**, Русско-иранские отношения в I половине XVII века, М., გვ. 103; იხ. თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის II ნახევარში, თბ., 1977, გვ. 39-40.

[105] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 324-325; გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 80-81.

გამოხატვისა, შესაძლოა, მას მომავალში აღარც მისცემოდა. მიზეზი ამისა იმერეთის სამეფოზე ლევან დადიანის გამუდმებული თავდასხმები იყო, რომელთაც, პროფ. ს. კაკაბაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა".[106]

ლევან დადიანის მიზანი იმერეთის სამეფოს დაპყრობით დასავლეთ საქართველოს თავისი მფლობელობის ქვეშ გაერთიანება იყო, რის მიღწევასაც იგი ათასგვარი უკეთური ხერხით ცდილობდა. იმერეთში თეიმურაზის საბოლოოდ გადასვლამდე მან რამდენიმე გამანადგურებელი ლაშქრობა მოაწყო ამ სამეფოზე, რომელთაგანაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1645 და 1646 წლების ლაშქრობები, რომელთა შედეგადაც ალექსანდრეს სამფლობელო მთლად გავერანდა. ბერი ეგნატაშვილი ასე გადმოგვცემს დადიანის მძლავრობას იმერეთზე: „ესრეთ გაუჭირა საქმე ალექსანდრეს, რომე ქუთაისს გალავანი შემოივლო და იყდა მას შინა და ვერა წინ აღუდგებოდა დადიანს".[107]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ალექსანდრე III თეიმურაზის მიშველებაზე კი არა, საკუთარი სამეფოს როგორმე გადარჩენაზეღა ფიქრობდა, ხოლო იმის გამო, რომ ლევან დადიანისაგან შევიწროებული ალექსანდრე ვერ ეხმარებოდა, თეიმურაზის ძალებიც ერთი-ორად სუსტდებოდა და, შეიძლება ითქვას, რომ დადიანი არაპირდაპირ ამ უკანასკნელსაც ებრძოდა.

ლევან დადიანის იმერეთზე ლაშქრობებს იმიტომ გავუსვით ასე ხაზი, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ალექსანდრე III-ის მთავარი სათხოვარი რუსეთის მეფისადმი დიდი ხნის განმავლობაში სწორედ სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოქომაგება და სამხედრო ძალით დახმარება იყო.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ირანი უაღრესად იყო შეშფოთებული 30-იანი წლების შუა ხანებიდან რუსეთ-კახეთის ურთიერთობის გააქტიურებით, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება თურქეთთან წარმოებული ომის გამო ვერ მოხერხდა; ხოლო მას შემდეგ, რაც ირანმა ზავი დადო და სხვა საქმეებისთვის მოიცალა, შაჰ აბას II-მ მთავარი ყურადღება სწორედ საქართველოს და,

---

[106] ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, თბ., 1922, გვ. 67.

[107] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. II, თბ., 1959, გვ. 421.

კერძოდ, თეიმურაზის პრობლემის გადაწყვეტას მიაქცია. ეს პრობლემა კი რუსეთთან კონფლიქტის გარეშე ვერ გადაიჭრებოდა, რაც შაჰს ხელს არ აძლევდა, მაგრამ საქართველოს საკითხი იმდენად მტკივნეული იყო მისთვის, რომ გადამწყვეტ სიტუაციაში თვით შეიარაღებულ დაპირისპირებასაც კი არ მოერიდებოდა.

თავდაპირველად ირან-რუსეთის წინააღმდეგობა შეფარულ ხასიათს ატარებდა და ორივე მხარე ცდილობდა ზედმეტად არ გაემწვავებინა ურთიერთობა, რის შედეგადაც თეიმურაზი ჯერ კიდევ კახეთის მფლობელად გვევლინებოდა, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, შაჰმა მიიღო გადაწყვეტილება გადამჭრელი ზომებისთვის მიემართა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა თეიმურაზის ბედი.

თეიმურაზ I-ის კახეთის სამეფოდან განდევნა 1648 წელს მოხდა. ყიზილბაშები თავს დაესხნენ თიანეთში გამაგრებულ თეიმურაზსა და კახეთში მყოფ უფლისწულ დავითს. ორივე შეტაკებაში როსტომ მეფემ გაიმარჯვა, მალაროსთან ბრძოლაში დაილუპა დავითიც და ყოველივე ამის შემდეგ თეიმურაზს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ იმერეთში გადახვეწილიყო და იქიდან განეგრძო ბრძოლა მტრების წინააღმდეგ. როსტომი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს „ვალი“ გახდა.

§ 2. იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის ურთიერთობა XVII ს-ის 40-50-იანი წლების მიჯნაზე

იმერეთში გადასული თეიმურაზ I ბედს არ შერიგებია. მან დაიწყო ენერგიული მოქმედება ტახტის დასაბრუნებლად. ვისი იმედი შეიძლება ჰქონოდა კახეთის ყოფილ მეფეს ამ ბრძოლაში?

1639 წლის ზავის შემდეგ ოსმალეთი აღარ გამოდგებოდა ირანის წინააღმდეგ შესაძლებელ მოკავშირედ. იყო მეორე გზაც — მძლავრი ანტიირანული კოალიციის შექმნა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა, თუკი თეიმურაზი შეძლებდა ალექსანდრე III-ისა და ლევან დადიანის შერიგებას. ასეთ ვითარებაში სამიეე პოლიტიკური მოღვაწე ერთიანი ძალით გამოვიდოდა საერთო მტრების წინააღმდეგ და წარმატების შანსიც გაცილებით გაიზრდებოდა. სხვათა შორის, სწორედ ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებას უფრთხოდნენ ირანი და ოსმალეთი ყველაზე მეტად, რადგან თუ სრულიად საქართველო გამთლიანდებოდა და ყველა

კუთხე ერთიან პოლიტიკას შეიმუშავებდა, მისი დამორჩილება უაღრესად გაძნელდებოდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ეს ორი უზარმაზარი სახელმწიფო ერთურთს ექიშპებოდა და ძალიან მძაფრადაც, ისინი საქართველოს საკითხში მაინც ერთსულოვანნი იყვნენ: იგი არ უნდა გაერთიანებულიყო. მკვლევარ გ. ჟორჟოლიანის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „დამპყრობელი მაჰმადიანური (ირანი და ოსმალეთი) სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად ამწვავებდნენ ქართულ საეფო-სამთავროთა შორის არსებულ შინაპოლიტიკურ განხეთქილებას, ცდილობდნენ ფეოდალური დაქსაქსულობის შენარჩუნებას.[108]

თეიმურაზმა ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა. იცოდა, თუ რა ძალის მქონე გახდებოდა ლევანის შემორიგების შემდეგ და ამიტომაც გაემართა 1648 წელს ზუგდიდს მთავართან მოსალაპარაკებლად. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული მოლაპარაკება, გარკვეულ მიზეზთა გამო, საბოლოოდ ჩაიშალა და უშედეგო გამოდგა.[109]

ამგვარად, ვერც შინაური ძალების გაერთიანება მოხერხდა.

არც დასავლეთ ევროპაზე ორიენტაციის აღება არგებდათ თეიმურაზსა და ალექსანდრეს: აშკარად ჩანდა, რომ აღნიშნულ სიტუაციაში იქიდან დახმარების მიღება გამორიცხული იყო.

ერთადერთ შესაძლო მოკავშირედ, რომელიც შეძლებდა კახეთ-იმერეთისათვის დახმარების გაწევას, მეფეებმა რუსეთი მიიჩნიეს, თეიმურაზმა და ალექსანდრემ კარგად „დაიჭირეს“ 40-იანი წლების მიწურულში შექმნილი სიტუაცია, როცა მოსკოვის მთავრობას ირანთანაც და თურქეთთანაც ურთიერთობა გაუმწვავდა და მისი მეშვეობით სცადეს თავიანთი მიზნების მიღწევა.

სხვა საკითხია, რამდენად შეეძლო რუსეთს იმ დროს საქართველოს მმართველთათვის დახმარების აღმოჩენა, მაგრამ ამ უკანასკნელთ, ჩვენის აზრით, მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ გააჩნდათ: ან უნდა დამორჩილებოდნენ აგრესორებს, გამაჰმადიანებულიყვნენ და ამ ფასად მოპოვებულ სიმშვიდეში ეცხოვრათ,[110]

---

[108] გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 8; იხ. აგრეთვე, თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, ..., გვ. 111.

[109] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 429-430; ტ. IV, თბ., 1973, გვ. 598.

[110] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, ..., გვ. 59.

ანდა რაიმე სხვა საშუალება უნდა გამოეძებნათ ქვეყნისა და სარწმუნოების გადასარჩენად.

თეიმურაზმა და ალექსანდრემ მეორე გზა აირჩიეს, სრულიად შეგნებულად გააკეთეს არჩევანი. როგორც აღვნიშნეთ, შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად უკეთესი გამოსავალი არ ჩანდა,[111] თორემ პოლიტიკური სიბეცითა თუ გულუბრყვილობით არ დაუკავშირებიათ მათ თავიანთი სამეფოების ბედი რუსეთისათვის, რასაც, სხვათა შორის, თვით ალექსანდრე III-ის მიერ ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი წერილის ზოგიერთი ადგილიც ადასტურებს, რომელთაც ქვემოთ მოვიტანთ.

1648 წელს იმერეთისა და კახეთის მეფეებმა ელჩები გაგზავნეს რუსეთში (ალექსანდრემ — გელათის მონასტრის იღუმენი მღვდელ-მონაზონი ბასილი და დავითი, ხოლო თეიმურაზმა — თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი), რომლებიც მოსკოვში 1649 წელს ჩავიდნენ (ჩვენ შესავალში უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ადრეც იყო მცდელობა რუსეთთან იმერეთის დაკავშირებისა, კერძოდ, 1619 წელს მოსკოვში ჩასულმა თეიმურაზ I-ის ელჩმა ხარიტონმა იმერეთის მეფე გიორგი III-ის სიგელიც გადასცა მიხეილ თევდორეს ძეს. მაგრამ ეს მაინც ეპიზოდი იყო იმერეთ-რუსეთის ურთიერთობაში. მჭიდრო კავშირურთიერთობას ორ ქვეყანას შორის, რომელიც ელჩობების გაცვლასა და საერთაშორისო დიპლომატიისათვის დამახასიათებელი სხვა ფაქტორებით გამოიხატებოდა, სწორედ 1649 წელს ჩაეყარა საფუძველი). 13 აგვისტოს ელჩები ალექსი მიხეილის ძემ მიიღო და მოისმინა თეიმურაზისა და ალექსანდრეს დანაბარები. მიუხედავად იმისა, რომ მეფეები ერთიან საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ, მათი მოთხოვნები რამდენადმე მაინც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: თეიმურაზი რუსეთის მეფისაგან 20-ათასიანი ჯარის გამოგზავნას ითხოვდა დაკარგული სამეფოს დასაბრუნებლად და უშუალოდ როსტომ მეფესთან საბრძოლველად; გარდა ამისა, იგი ალექსი მიხეილის ძეს სთხოვდა ლუარსაბ ბატონიშვილისთვის (დავით უფლისწულის უფროსი ვაჟი) თავისი და მიეთხოვებინა, დაესვა დედოფლად მის ქვეყანაში და დაუფლებოდა

[111] ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ალექსანდრე მეფემან ვერასადათ შეწევნისა მპოვნელმან, იხილა განძლიერება დიდის რუსეთის მეფის ალექსისა; განიზრახა, რათა მოიცეს მუნიდამ ძალი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ..., გვ. 831).

მას ისევე, როგორც თერგის მიწებს ფლობდა,[112] იმ შემთხვევაში კი, თუ რუსეთის მეფე ვერ შეუსრულებდა თეიმურაზს სათხოვარს, ეს უკანასკნელი სთხოვდა მას „დიპლომატიური ზეგავლენა მოეხდინა ირანის შაჰზე, რათა მას თეიმურაზისათვის კახეთის ტახტი დაებრუნებინა“.[113]

რაც შეეხება ალექსანდრე III-ს, სიგელის დასაწყისში იგი ალექსი მიხეილის ძეს მოკლედ მოუთხრობდა თავისი ქვეყნისა და წარმომავლობის შესახებ: „ჩვენის მამა-პაპათა შთამომავლობით ჩვენც მართლმადიდებელი ქრისტიანი ვართ წმიდის მოციქულის ანდრიას და წმინდა ნინოს მიერ განსწავლული მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და კურთხეულ მეფეთა რჯულსა ვართ ზიარებულნი. გვწამს და ვაღიარებთ მამასა, ძესა და წმიდასა სულსა, სამებას ერთარსსა და განუყოფელს. და ქვეყანას ჩვენსას იმერეთი ეწოდება და სატახტო ქალაქი ჩვენი ჭუთათისია. მონასტრები და ტაძრები მრავლად გვაქვს, ძველთაგანვე მეფეთა და მიტროპოლიტთა მიერ აგებული. ეფისკოპოსებიც ბევრნი გვყვანან. სარწმუნოება ჩვენი ჭეშმარიტი და შეურყეველია;[114] ლევან II დადიანის შესახებ ატყობინებდა: „დადიანი ჩემი მონა-მორჩილი იყო და ხარკსაც მე მიხდიდა. ახლა გადამიდგა და სტამბულის თურქთა სულთანს მიემხრო. ჯარები შეკრიბა და ორჯერ-სამჯერ თავს დამესხა. აფხაზებსა და ჯიქებს აგროვებს და ყოველ წელს ჩემს წინააღმდეგ ლაშქრობს, და ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანთან ტყვეებად ჰგზავნის, ხოლო იმ ხარკს, რომელსაც მე მიხდიდა, ახლა თურქეთის სულთანს უხდის. მე იმისთვის გადამიდგა, რომ ქრისტიანი მეფე ვარ, თურქს კი მიემხრო, მათი რჯული მიიღო და ერთგულება შეჰფიცა. ახლა ამ ჩვენი ქვეყნის თურქეთის სულთნისადმი დამორჩილება უნდა, მართლმადიდებლობის და ქრისტიანული ტაძრების დარბევა სურს“;[115] აცნობებდა, რომ მისი სამეფო თერგის ციხე-სიმაგრიდან შორს არ იყო: „ხოლო აქაური ადგილები ახლოა თქვენგან, თერგიდან, რომელიც შენს მფლობელობაშია, იმერეთამდე არც ისე შორსაა, ერთი კვირის სავალია“;[116]

---

[112] იხ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის..., გვ. 35.

[113] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 326.

[114] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის..., გვ. 36; 156.

[115] იქვე, გვ. 36; 157.

[116] იქვე, გვ. 37; 157.

თეიმურაზის მსგავსად, ალექსანდრეც 20-ათასიანი ჯარის გამოგზავნას სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს; გარდა ამისა, წინადადებას აძლევდა ალექსი მიხეილის ძეს, კახეთის მსგავსად, ისიც მიეღო თავისი „უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ“ და „ხელმწიფური წყალობა“ არ მოეკლო მისთვის.[117]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე III რუსეთის სამეფოს ასე მჭიდროდ დაუკავშირდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შექმნილი სიტუაციიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ ორიოდე ფრაზას მის მიერ რუსეთში გაგზავნილი სიგელიდან: „... ეს ადგილებიც ნაცვლად იმისა, რომ მაჰმადიანებს ჰქონდეთ, თქვენი უმაღლესი ძალაუფლების ქვეშ მოექცევა“ ("И будут се места под державою великого вашего царствия, нежели обладати бусурманам").[118] „თქვენი ბრწყინვალების მბრძანებლობის ქვეშ ყოფნა გვირჩევნია უწმინდურთა ხელქვეით ყოფნას“ ("Лутче буди повеление великого вашего царствия, нежели нечестивих").[119]

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ სანამ რუსეთში ელჩის გაგზავნას დააპირებდნენ და მფარველობაში მიღებას ითხოვდნენ, იმერეთში კარგად გაუანალიზებიათ, აუწონ-დაუწონიათ იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ მისულან იმ დასკვნამდე, რომ „უწმინდურთა ხელქვეით ყოფნას“ ისევ ჩრდილოელი მეზობლის „მბრძანებლობის ქვეშ ყოფნა“ ერჩიენათ.

როგორ შეხვდნენ რუსეთში ალექსანდრესა და თეიმურაზის წინადადებებს?

ჩვენს მიერ წინა თავებში დასახელებულ მიზეზთა გამო რუსეთის მთავრობა ქართველ მეფეებს ჯარით არ დახმარებია, თავაზიანი უარი შემოთვალეს დინასტიურ კავშირზეც. ერთადერთი, რასაც მოსკოვის დიპლომატია თეიმურაზს ჰპირდებოდა, ირანის შაჰთან შუამდგომლობა იყო.

სამაგიეროდ, მოსკოვში დიდი ინტერესით შეხვდნენ ალექსანდრეს თხოვნას იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა:

---

[117] იხ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის..., გვ. 38.

[119] იქვე, გვ. 38; 158.

1) აღნიშნულ პერიოდში რუსეთს უკვე გამწვავებული ჰქონდა ოსმალეთ-ყირიმთან ურთიერთობა,რასაც 1651 წელს დიპლომატიური კავშირურთიერთობის გაწყვეტა მოჰყვა;

2) XVII ს-ის 40-იანი წლების ბოლოს თავად ოსმალეთის იმპერიის შიგნით უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი.

1640 წელს სულთან მურად IV-ის (1623-1640 წწ.) სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი იბრაჰიმ I (1640-1648 წწ.) ავიდა. ამ უკანასკნელმა არცთუ ისე ხანგრძლივ დროში მოასწრო დაემსახურებინა ყოვლად უნიჭო და სასტიკი მმართველის სახელი. სახელმწიფოს მთელ საქმეებს მისი ძალაუფლებისმოყვარე დედა განაგებდა. იბრაჰიმ I აუარებელ თანხას ხარჯავდა სასახლეების მშენებლობის, დღესასწაულების მოწყობის, ტიტების ბაღების გაშენებისა და სხვადასხვა არასახელმწიფოებრივი საქმეებისათვის.[120]

ქვეყანას იმდენად გაუჭირდა ეკონომიკურად, რომ დაიწყეს ყალბი მონეტების მოჭრა, თანამდებობების გაყიდვა, მაგრამ აღნიშნული ზომები საქმეს ვერ შველოდა.[121]

იმდროინდელი ოსმალეთი რომ ეკონომიკურად უაღრესად დუხჭირ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამას თავად თურქი ისტორიკოსებიც აღიარებდნენ. მაგალითად, ევლია ჩელები ერთგან აღნიშნავდა: „მისი ტახტზე ასვლის დროს (იგულისხმება სულთანი მეჰმედ IV – 1648-1687 წწ. – გ. ს.) ხაზინაში გახვრეტილი გროშიც არ ეგდო. განსვენებული მურად-ხან მეოთხის მიერ ხაზინაში სარწმუნოებისათვის გადანახული შვიდი ხაზინიდანაც კი არ იყო დარჩენილი არცერთი გროში.[122]

გარდა ამისა, 40-იან წლებში გახშირდა აჯანყებები მცირე აზიაში, ტრანსილვანიასა და თურქთა მიერ დაპყრობილ სხვა ტერიტორიებზე. ა. ნოვიჩევი აღნიშნავს, რომ "особенно много хлопот причинило правительству восстание в районе

---

[120] იხ. Dr. Karl Julius Ploetz, Grosse Weltgeschichte, Darmstadt, 1980, გვ. 1079.

[121] იხ. А. Д. Новичев, История Турции, т. I, Л., 1963, გვ. 179.

[122] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 434.

Нигде в 1649 г., во главе которого стоял управитель провинции по прозвищу Гурджи Неби (Грузин пророк)."[123]

საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისითაც ოსმალეთის მდგომარეობა ერთობ არასახარბიელო იყო: 1645 წელს მან ომი გამოუცხადა ვენეციას და სამხედრო ოპერაციები დაიწყო კუნძულ კრეტას წინააღმდეგ. ამის გამო სულთანს უთანხმოება მოუვიდა დიდ ვეზირ მუსტაფა ფაშასთან და ეს უკანასკნელი მისი ბრძანებით დაახრჩვეს. ომი კი მაინც წარუმატებლად მიმდინარეობდა როგორც ზღვაზე ასევე ხმელეთზე.[124]

იმავე პერიოდში იბრაჰიმ I-ის ბრძანებით უამრავი ადამიანი, მათ შორის, ვეზირები და იანიჩართა უფროსები სიკვდილით დასაჯეს.

ყოველივე ზემოთქმულმა გამოიწვია საზოგადოების თითქმის ყველა სოციალური ფენის უკმაყოფილების ზრდა და ხელი შეუწყო აჯანყებას, რომელიც 1648 წლის ზაფხულში მოხდა სტამბოლში: იბრაჰიმ I ტახტიდან ჩამოაგდეს და ციხეში ჩასვეს, სადაც მალე მოკლეს დიდი ვეზირის — მურად ფაშას ბრძანებით. ტახტზე ახალი სულთანი, 7 წლის მეჰმედ IV (1648-1687 წწ.) ავიდა.[125]

1648 წლის მოვლენებმა დიდი რეზონანსი ჰპოვა საერთაშორისო ცხოვრებაში. თვით XVII ს-ის სომეხ მემატიანე ზაქარია აგულეცსაც (რომელიც 40-50-იან წლებში მხოლოდ პირადულ ამბებზე წერდა თავის დღიურში) კი არ დარჩენია ეს ფაქტი ყურადღების მიღმა: მისი თქმით, შეტაკება მოხდა ჯარსა და იანიჩარებს შორის. ამ უკანასკნელთ სულთნის მოკვლა სურდათ, რადგანაც მათ ჯამაგირს არ აძლევდა. რაც შეეხება ჯარს, იგი იბრაჰიმს ემხრობოდა. ამან გამოიწვია დიდი სისხლისღვრა და, ბოლოსდაბოლოს, სულთანი იბრაჰიმი დაახრჩვეს, ხოლო ტახტზე მეჰმედ IV დასვეს. არეულობა იმპერიის დედაქალაქში 20 დღე გრძელდებოდა.[126]

რუსეთის სამეფო კარი კარგად იყო ინფორმირებული ოსმალეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ: 1648 წლის 12 სექტემბერს

---

[123] **А. Д. Новичев**, დასახ. ნაშრ. გვ. 179-180.

[124] იხ. **Н. А. Смирнов**, Россия и Турция, т. II, ..., გვ. 93.

[125] იქვე, გვ. 104.

[126] იხ. ზაქარია აგულეცი, „დღიური", ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979, გვ. 17-18.

დონელ კაზაკთა ატამანმა ივანოვმა საელჩო პრიკაზში დაკითხვაზე რუს მოხელეებს განუცხადა, რომ თურქი ტყვეების თქმით, ამჟამად შავ ზღვაზე საერთოდ არ დაცურავენ თურქული კატარღები, რადგანაც ოსმალებს ომი აქვთ ვენეციასთანო.[127] 1649 წლის 19 ოქტომბერს (იმერეთის მეფის ელჩების მოსკოვში ყოფნის დროს) ხელმწიფეს თერგის ვოევოდა ბენედიქტ ობოლენსკი ატყობინებდა, რომ 21 ივლისს სპარსეთიდან თერგის ქალაქში ჩამოვიდნენ რუსი ტყვეები და დაკითხვაზე განაცხადეს, რომ, როცა ისინი სტამბოლში ტყვედ იყვნენ, გასულ 1648 წელს, იქ დიდი შინააშლილობა იყო, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ აჯანყებულმა ხალხმა სულთანი იბრაჰიმი, პატრიარქი, ორი ფაშა და კიდევ მრავალი სხვა დიდგვაროვანი პირი სიცოცხლეს გამოასალმა. სულთნის ტახტზე 8 წლის მეჰმედი (ტყვეები მას შეცდომით აჰმედს უწოდებენ) აიყვანეს. შინაომები იმპერიის დედაქალაქში ამის შემდგომაც გრძელდებოდა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. რუსი ტყვეების თქმით, ბევრი ფაშა და დიდებული გაიქცა სტამბოლიდან და თხოვდა შაჰს, რათა იგი თავს დასხმოდა თურქებს, ხოლო ისინი ქალაქებს უბრძოლველად ჩააბარებდნენ.[128]

სიტუაცია არც ახალი სულთნის ტახტზე ასვლის შემდეგ დაწყნარებულა. ხელისუფლების არარსებობა, შინაომები, დიდი ვეზირების გამუდმებული გადაყენება თანამდებობიდან, ცარიელი ხაზინა, წარუმატებელი ომი ვენეციასთან — აი, მეჰმედ IV-ის მმართველობის პირველი წლებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებები;[129]

3) თეიმურაზ I-ის კახეთიდან განდევნის შემდეგ იმერეთის სამეფო რუსეთის ერთადერთ დასაყრდენად რჩებოდა ამიერკავკასიაში.[130]

„გარდა ამისა, რუსეთისთვის იმერეთს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოცემულ ეტაპზე როგორც მოკავშირეს ოსმალეთის წინააღმდეგ... იმერეთზე ხელის დადებით რუსეთი, უარეს შემთხ-

---

[127] იხ. **Н. А. Смирнов**, დასახ. ნაშრ. გვ. 102.

[128] ЦГАДА, ф. 89. оп. 1. г. 1649. д. 2. лл. 1-2.

[129] იხ. **Н. А. Смирнов**, Россия и Турция..., ტ. II, გვ. 104; **А. Д. Новичев**, დასახ. ნაშრ., стр. 181.

[130] იხ. **Ш. Месхия и Я. Цинцадзе**, Из истории..., გვ. 74.

ვევაშიც კი, არაფერს კარგავდა, შენაძენი კი შეიძლება დიდი ყოფილიყო".[131]

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გარდა არ უნდა დაგვავიწყდეს XVII ს-ში რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ზოგადი მიმართულება, რომელიც ამ რეგიონში თურქეთის პოზიციების შეძლებისდაგვარად შერყევა-შესუსტებას ისახავდა მიზნად.

იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი აქტიურად გაილაშქრებდა იმერეთ-რუსეთის კავშირის წინააღმდეგ, პროფ. ი. ცინცაძის სამართლიანი შენიშვნით, „ალბათ, იმერეთშიც ისე მოქმედება იყო ნავარაუდევი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში".[132]

1650 წელს მოსკოვიდან გამოემგზავრა ელჩობა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის მეთაურობით.

საელჩო პრიკაზში მათდამი გაცემულ „ნაკაზში" ასახულია დაინტერესების ის ფართო წრე, რომელიც რუსეთს იმერეთის სამეფოს მიმართ გააჩნდა. ელჩებს ჯერ კიდევ გზაში უნდა დაეწყოთ ცნობების შეგროვება იმერეთის შესახებ. იმერეთში მათ უნდა განეგრძოთ ე. წ. „სადაზვერვო" საქმიანობა: „ნიკიფორემ და ალექსიმ ყოველგვარი ხერხისა და ღონისძიების გამოყენებით საიდუმლოდ უნდა შეკრიბონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაშია ამჟამად იმერეთის მეფე ალექსანდრე თურქეთის სულთანთან და სპარსეთის შაჰთან, თურქეთისა და ყიზილბაშთა ელჩები, დესპანები ან შიკრიკები თუ მიიღო ალექსანდრე მეფემ და რა დავალებით იყვნენ გამოგზავნილი ის ელჩები მასთან, ან თვით იმერეთის მეფე ალექსანდრეს ხომ არ გაუგზავნია თურქეთის სულთანთან ან ყიზილბაშების შაჰთან ელჩები, ან ხომ არ აპირებს გაგზავნას".[133]

რადგან იმერეთის სამეფო უცნობი იყო რუსეთის მთავრობისათვის, ეს უკანასკნელი თავის ელჩებს ავალებდა „გამოიკითხონ და ყოველი ღონის საშუალებით ხელთ იგდონ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იმერეთის ქვეყანა, რაოდენ ვრცელია იგი, რამდენი ვერსის მანძილზეა გადაჭიმული, რამდენ

---

[131] დ. კაჭარავა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს-ის 50-იან წლებში, „მაცნე", 1968, №1, გვ. 104.

[132] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გამოსცა ი. ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 1.

[133] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის..., გვ. 46-47.

ქალაქსა და დასახლებულ ადგილს შეიცავს და საერთოდ რაოდენ დასახლებულია, ხალხი როგორია, უყვართ თუ არა მეფე ალექსანდრე და შემდეგშიც სასურველია მათთვის ეს მეფე თუ არა. რა მოდის უხვად მათ მიწაზე, როგორი იცის ხორბლის მოსავალი, როგორი ქსოვილები მოიპოვება, რა ნივთი იაფია იქ და რა ძვირობს... სადადიანოს მთავარი თავის სამთავროშია ამჟამად თუ არა, მეფე ალექსანდრესთან მეგობრულ განწყობილებაშია თუ არა, ვის ექვემდებარება – თურქს თუ შაჰს, თუ დამოუკიდებელია და ხარკს არავის არ უხდის. ყოველივე ამის შესახებ ნამდვილი (უტყუარი) ცნობები უნდა შეკრიბოთ და დაწვრილებით ჩასწეროთ მუხლობრივ აღწერილობაში".[134]

1651 წლის ზაფხულში ტოლოჩანოვი და იევლევი უკვე იმერეთში იყვნენ და წარუდგნენ ალექსანდრე III-ს, რასაც მოჰყვა ამ უკანასკნელის მიერ დიდი ხელმწიფის ერთგულებაზე ფიცის დადება. ამიერიდან, კახეთის მსგავსად, იმერეთიც აქტიურად ჩაება რუსეთთან ურთიერთობაში, რითაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების ახალი ეტაპი დაიწყო.

ტოლოჩანოვ-იევლევის ელჩობის დროს ალექსანდრე III-ის სათხოვარი რუსეთის მეფის მიმართ შეიცვალა და ახალი შინაარსი შეიძინა. კერძოდ, თუკი იგი 1649 წელს თავისი ელჩების პირით ალექსი მიხეილის ძეს 20-ათასიან ჯარს თხოვდა მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ახლა ზარბაზნების, მათი ჩამომსხმელი ოსტატებისა და, აგრეთვე, დონელი კაზაკების გამოგზავნას თხოვდა, რათა ამ უკანასკნელთ დადიანის სამფლობელო დაერბიათ და სამეგრელოს მთავარი ადრინდელივით მისთვის დაემორჩილებინათ.[135]

როგორც ჩანს, ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობამ ლევან II დადიანი ძლიერ ჩააფიქრა. რუსეთთან იმერეთის მეფის დაკავშირება მის ინტერესებს სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა. ამიტომაც დადიანმაც, თავის მხრივ, რუსეთთან დაახლოება გადაწყვიტა. ამ მიზნით მან ქუთაისში მყოფ რუს ელჩებს აცნობა, რომ დიდი ხელმწიფის მფარველობაში შესვლა და იმერეთის მეფესთან შერიგება სურდა. დადიანმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში სცადა რუსეთის

---

[134] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის..., გვ. 49.

[135] იხ. ალექსი იევლევის..., გვ. 84; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის..., გვ. 140-141; 254.

მფარველობაში შესვლა და ელჩობაც კი გაგზავნა მოსკოვში, მაგრამ მაშინ მის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია – რუსეთს ოსმალეთის მთავრობის გაღიზიანება არ სურდა. ახლა სამეგრელოს მთავარი თურქეთის აგრესიისგან თავის დაცვას კვლავ რუსეთთან დაახლოებით ცდილობდა.[136]

გარდა ამისა, ლევან II დადიანი იმასაც ვარაუდობდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლით თავისი სამთავროს საზღვრების უშიშროებას უზრუნველყოფდა, რომელიც, თუკი ალექსი მიხეილის ძე ალექსანდრე III-ის თხოვნას შეიწყნარებდა, შესაძლებელი იყო დონელი კაზაკების თავდასხმის ობიექტი გამხდარიყო. ამის გამო დადიანმა გადაწყვიტა გარეგნულად მაინც შერიგებოდა იმერეთის მეფეს და წინადადებაც კი მისცა, დამოყვრებოდნენ ერთმანეთს თავისი ასულისა და ბაგრატ ბატონიშვილის (ალექსანდრე III-ის ვაჟი – გ. ს.) დაქორწინების გზით. შუამავალი ამ საქმეში თეიმურაზ I იყო. მაგრამ, ამავე დროს, მთავარი ფრთხილობდა და ყოველგვარი მოულოდნელობისგან დაზღვევის მიზნით იმერეთის მეფისგან მძევლებს მოითხოვდა, რაც ამ უკანასკნელის ღირსებას ლახავდა. ალექსანდრე III-მ დადიანთან შერიგებაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც შუღლი და მტრობა მათ შორის კიდევ უფრო გაძლიერდა.[137]

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: როგორც ვნახეთ, ალექსი მიხეილის ძის ელჩები იმერეთში უკვე ზაფხულში, კერძოდ, იუნისში იყვნენ, ალექსანდრე III-მ კი რუსეთის მეფის ერთგულებაზე თითქმის 4 თვის მერე, 9 ოქტომბერს დაიფიცა. სწორედ დროის ამ შუალედში მიმდინარეობდა მისი მოლაპარაკება ლევან II დადიანთან. ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია მკვლევარ დ. კაჭარავას მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს: „ალექსანდრე ასე რომ აჭიანურებდა „ფიცის წიგნზე“ ბეჭდის დასმას, ამ დროს თეიმურაზსა და ლევან დადიანს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ერთ-ერთი საკითხი ამ მოლაპარაკების დროს იმერეთ-სამეგრელოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება იყო. როგორც ჩანს, ალექსანდრე მოლაპარაკების შედეგებს უცდიდა... ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცეოდა ალექსანდრე, დადიანთან რომ ზავი დადებულიყო,

---

[136] იხ. ს. როდონაია, რუსეთ-საქართველოს..., გვ. 47-48.

[137] იხ. იქვე, გვ. 49.

მოაწერდა თუ არა ხელს ფიცის წიგნს. მისი ყოყმანი და დადიანთან მოლაპარაკების დამთავრებამდე ფიცის წიგნზე ხელის მოუწერლობა თითქოს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ იგი ფიცს აღარ მიიღებდა. იმერეთის მთავარი მტერი იმ დროს ლევან II დადიანი იყო. მის წინააღმდეგ ითხოვა ალექსანდრემ პირველ რიგში დახმარება. ეს დახმარება რუსეთმა არ გაუწია. მარტო ფიცის მიღება ალექსანდრეს ვერ დაიცავდა დადიანისაგან. ამიტომ, თუ ის დადიანს შემოირიგებდა, სულ სხვანაირად შეხედავდა რუსეთთან ურთიერთობის საკითხს..., მაგრამ დადიანთან შერიგება ვერ მოხერხდა. ალექსანდრეს ხსნა არსაიდან არ ჰქონდა და იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რასაც რუსეთი სთავაზობდა".[138]

ბუნებრივია, იბადება კითხვა: როგორ უნდა შეხვედროდა ოსმალეთი იმერეთ-რუსეთის ამ პოლიტიკურ აქტს? როგორც ვთქვით, 1555 და 1639 წლების ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებების მიხედვით, დასავლეთ საქართველო და, მათ შორის, რასაკვირველია, იმერეთიც თურქეთის გავლენის სფეროში შედიოდა და მის სამფლობელოს წარმოადგენდა.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ოსმალეთისა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობის ძირითადი ასპექტები (XVI საუკუნიდან XVII ს-ის მეორე ნახევრამდე), გამოვკვეთოთ მისი განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორები.

1555 წლის ამასიის ზავით, ირანმა და ოსმალეთმა სცნეს და დააკანონეს საქართველოში ერთმანეთის ტერიტორიები: აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი შაჰს ერგო, დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი — სულთანს. ირანი აღნიშნული ტერიტორიული განაწილებით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება ოსმალეთს, მან სადავოდ მიიჩნია მოწინააღმდეგის „უფლება" აღმოსავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე. XVI ს-ის მეორე ნახევრიდან სწორედ ისინი იქცნენ ორი აგრესიული სახელმწიფოს ცილობის ძირითად ობიექტებად და საომარი მოქმედებების უმთავრეს ასპარეზად.

---

[138] დ. კაჭარავა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს-ის 50-იან წლებში, „მაცნე", 1968, №1, გვ. 120.

ამგვარ ვითარებაში დასავლეთ საქართველო ბრწყინვალე პორტას ყურადღების მიღმა დარჩა; მისი „ათვისების“ ცდა ოსმალეთს მხოლოდ გაუძნელებდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაპყრობას.[139] ამიტომ, სანამ ირან-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა, ეს უკანასკნელი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ლმობიერად ეპყრობოდა და ცდილობდა, მოკავშირეებად გაეხადა ირანისა და აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან დამოკიდებულება ზოგჯერ მცირე ხარკისა და „ყოველწლიურად სტამბოლში ტყვეების, შევარდნების, სონღულების, ჯორებისა და იშვიათი სილამაზის ქართველი ქალების“[140] გაგზავნაში გამოიხატებოდა. ბრწყინვალე პორტა ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ერეოდა და არსებული მდგომარეობით კმაყოფილდებოდა: მეფე-მთავრებს შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი პრეროგატივები (მაგალითად, ევლია ჩელები დასავლეთ საქართველოს უზენაეს ხელისუფლად იმერეთის მეფეს თვლიდა, მთავრები მის მიერ უნდა ყოფილიყვნენ ხელდასმულნი)[141] და წეს-ჩვეულებები, უცვლელი რჩებოდა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემა; ერთი სიტყვით, აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან დამოკიდებულების ფორმა შედარებით მსუბუქი იყო.[142]

ოსმალეთმა ვერ შეძლო ირანის აღმოსავლეთ საქართველოდან განდევნა, სამაგიეროდ, მესხეთში სძლია, სადაც ახალციხის საფაშო დააარსა. 1639 წლის ზოჰაბის ზავმა დამპყრობლებს თავიანთი „სამფლობელოების“ საშინაო საქმეებში უფრო აქტიურად ჩარევის საშუალება მისცა. წინა პარაგრაფებში ვნახეთ, თუ როგორი მკაცრი და მტკიცე პოზიცია დაიკავა ირანის ხელისუფლებამ კახეთ-რუსეთის ურთიერთობის მიმართ, რასაც 1648 წელს თეიმურაზ I-ის კახეთის სამეფოდან განდევნა მოჰყვა.

ზოჰაბის ზავის შემდეგ ოსმალეთმაც მოიცალა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებში „კუთვნილი უფლებების“

---

[139] იხ. ვ. ჩოჩიევი, მეტმეტ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თბ., 1976, გვ. 7-8.

[140] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“..., გვ. 298.

[141] იხ. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990, გვ. 221.

[142] იქვე, გვ. 222.

სარეალიზაციოდ, მაგრამ მას მიზნების განხორციელებაში 40-იანი წლების დამდეგიდან დაწყებულმა ღრმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა შეუშალა ხელი (იხ. ზემოთ). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმალეთს მაშინ მყარი პლაცდარმი არ გააჩნდა დასავლეთ საქართველოზე თავდასასხმელად: ზღვით დიდი ჯარის გამოგზავნა დონელი კაზაკების საფრთხესთან იყო დაკავშირებული; ახალციხის საფაშოში იმპერიის გავლენა ჯერ კიდევ სუსტი იყო, ოსმალეთის მთავრობა მას „არ თვლიდა თავისი პოლიტიკის სრულფასოვან ინსტრუმენტად".[143]

აღნიშნული მიზეზების გამო ბრწყინვალე პორტას დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში უშუალო ჩარევის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამიტომ მან აქ პოლიტიკური დაქსაქსულობის შენარჩუნება დაისახა მიზნად და 1639 წლის შემდეგ ყოველმხრივ უწყობდა ხელს მთავრების პარტიკულარიზმის გაღრმავებას, მათ დაპირისპირებას იმერეთის მეფესთან.

ოსმალეთის კრიზისში მყოფი ხელისუფლებისთვის ამ დროს დასავლეთ საქართველოში მეტად ხელსაყრელი ვითარება იყო შექმნილი: სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი იმერეთის მეფეს პირველობას ეცილებოდა და მთელი დასავლეთ საქართველოს თავისი მფლობელობის ქვეშ გაერთიანებას ცდილობდა, რის გამოც სისტემატურად აწყობდა ამაოხრებელ ლაშქრობებს იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ. მაგრამ დადიანის მოთავეობით წარმოებული ომები, აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „გამარჯვებულს იმდენად არ აძლიერებდა, რამდენადაც დამარცხებულს ანადგურებდა. საბოლოო ჯამში ქვეყნის საწარმოო ძალები ეცემოდა და პოლიტიკურად ყველა სუსტდებოდა".[144]

ოსმალეთს, როგორც აღვნიშნეთ, ლევან II დადიანის ლაშქრობები ხელს აძლევდა, რადგან ამაში იმერეთის მეფის დასუსტების საშუალებას ხედავდა. მაგრამ მას თავად სამეგრელოს მთავრის გაძლიერებაც ძალიან აშფოთებდა, მითუმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის ბრძოლის პროცესში იგი ირანის

---

[143] ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის მეორე ნახევარში, თსუ შრომები, 1985, №250, გვ. 117.

[144] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 272.

შაჰსა და საქართველოში მის აგენტს – ქართლის ვალს დაუკავშირდა;გარდა ამისა, ფართო კავშირები გააბა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთანაც – ერთი სიტყვით, აბსოლუტურად დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. ამიტომ, ბრწყინვალე პორტა „იმის ცდაში იყო, როგორმე დაესაჯა ურჩი ყმა“.[145]

როგორც ჩანს, იმერეთ-რუსეთის 1651 წლის აქტისადმი ოსმალეთის ხელისუფლების „სიჩუმის“ ერთ-ერთი მიზეზი შემდეგი გარემოება უნდა ყოფილიყო: მან, ალბათ, თავისი მსტოვრებისაგან იცოდა, რომ ალექსანდრე III რუსეთის მეფეს ლევან II დადიანის წინააღმდეგ ბრძოლაში დონელი კაზაკებით გამოქომაგებას თხოვდა. თუ ალექსი მიხეილის ძე იმერეთის მეფის თხოვნას დააკმაყოფილებდა, ბრწყინვალე პორტა ამით დიდ სარგებელს ნახავდა: „ჯერ ერთი, კაზაკთა დამარბეველი ძალის მიმართვა სამეგრელოსკენ დროებით მაინც შეღავათს მისცემდა ოსმალეთს, მეორეც – დასუსტდებოდა დადიანი“.[146]

ასეთი იყო XVII ს-ის შუა ხანებში ოსმალეთის ხელისუფლების პოლიტიკა დასავლეთ საქართველოს მიმართ. იმის გამო, რომ სამეფო-სამთავროებში იმპერიის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, მათი დასუსტების ერთადერთ საშუალებას შინაარეულობისა და ძმათაშორის ბრძოლებისთვის ხელის შეწყობა წარმოადგენდა.

არსებობდა კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ოსმალეთის მმართველი წრეები შედარებით მშვიდად შეხვდნენ იმერეთსა და რუსეთს შორის დიპლომატიური კავშირურთიერთობის დამყარებას: როგორც ჩანს, ისინი არ მიიჩნევდნენ რუსეთს (საუსებით სამართლიანად) კავკასიის რეგიონში სახიფათო მეტოქედ,[147] იცნობდნენ რა მის რეალურ ძალასა და გავლენას იმ პერიოდის მახლობელ აღმოსავლეთსა და, კერძოდ, ამიერკავკასიაში; ამიტომაც, ალბათ, თვლიდნენ, რომ „აჩიკ-ბაშთა“ გაურჩებული მეფის დასჯას ყოველთვის მოასწრებდნენ.

---

[145] თ. ტივაძე, იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 60-იანი წწ.), კრებულში: ივ. ჯავახიშვილი – 100, თბ., 1976, გვ. 357.

[146] იქვე., გვ. 357.

[147] იხ. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის..., გვ. 221.

სულ სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა თურქეთის მთავრობას ირანთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეების კავშირის მიმართ, თურქებს მისი ძლიერ ეშინოდათ და ყველანაირად ცდილობდნენ, არ დაეშვათ მოწინააღმდეგის გავლენის გაძლიერება იმპერიის „ტერიტორიაზე". ოსმალთა ამ მისწრაფებას იურიდიული აქტებიც უწყობდნენ ხელს: 1639 წლის ზავით საქართველოს სამეფო-სამთავროები ხომ აგრესორებს შორის გავლენის სფეროებად იქნა დანაწილებული. ეს „ხელშეკრულება აკანონებდა საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას... ხელოვნურად აუარესებდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობას და აბრკოლებდა ქართველი ხალხის განვითარებას. ვიდრე ირან-ოსმალეთის შეთანხმება ძალაში რჩებოდა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება გამორიცხული იყო".[148]

მიუხედავად იმისა, რომ XVII ს-ის შუა ხანებში დასაყლეთ საქართველოსთან დაკავშირებული ვითარება აშკარად სულთნის სასარგებლოდ მეტყველებდა, რომელსაც დროებით განცდილი „მარცხიც" კი არ აშინებდა, მაინც გასათვალისწინებელია ერთი, ჩვენის აზრით, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება — ისტორიული პერსპექტივის ფაქტორი.

ოსმალეთმა ამ თვალსაზრისით ბევრი რამ დაკარგა, როცა საშუალება მისცა რუსეთს მის „ყმადნაფიც" ქვეყანასთან კავშირი დაემყარებინა, თანაც, რაც მთავარია, ქრისტიანულ ქვეყანასთან, რომელიც მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვიდან თავდაბსნის ერთადერთ გზად ქრისტიანულ რუსეთთან დაკავშირებას მიიჩნევდა. იმპერიის მესვეურები ცდებოდნენ, რუსეთის სულ მცირეოდენ აქტიურობის გამოვლენასაც კი სერიოზულ რეაგირებას რომ არ უკეთებდნენ. აი, ეს იყო ოსმალეთის მარცხი და მოსკოვის დიპლომატიის გამარჯვება: ამ უკანასკნელმა მოახერხა „შეჭრილიყო" თურქეთის „ტერიტორიაზე" და მის ვასალურ ქრისტიანულ სამეფოს დაკავშირებოდა, რაც მას ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა იქნას განხილული იმერეთ-რუსეთის 1651 წლის პოლიტიკური აქტი.

---

[148] ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 376.

§ 3. იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის ურთიერთობა XVII ს-ის 50-იან წლებში

ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი იმერეთიდან 1651 წლის 10 ოქტომბერს გაემგზავრნენ. ალექსანდრე III-მ მათ თავისი ელჩები — მოლარეთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი გააყოლა.[149] ელჩები თერგის ქალაქში იმავე წლის 29 ნოემბერს ჩავიდნენ, იქ გამოიზამთრეს და 1652 წლის გაზაფხულზე გააგრძელეს გზა მოსკოვისაკენ. ასტრახანის ვოევოდა მიხეილ პრონსკი ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ 1652 წლის 20 მარტს თერგიდან ასტრახანში ჩამოვიდნენ საქართველოში მყოფი დესპანები ტოლოჩანოვი და იევლევი, მათთან ერთად კი იმერეთის მეფე ალექსანდრეს ელჩები ლომკაც ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი და რომ ალექსანდრემ მათი ხელით ალექსი მიხეილის ძეს სამი ცხენი გამოუგზავნა საჩუქრად.[150] 17 აპრილს ალნიშნული პირები ასტრახანიდან ყაზანში გაისტუმრეს, სადაც 22 ივლისს ჩავიდნენ. ამის შესახებ დიდ ხელმწიფეს ატყობინებს ვოევოდა ნიკიტა ოდოევსკი.[151] ყაზანიდან 28 ივლისს გასულმა ელჩებმა მოსკოვში 19 სექტემბერს ჩააღწიეს.[152] 1652 წლის 12 ნოემბერს ლომკაცი და ევდემონი ალექსი მიხეილის ძემ სასახლეში მიიღო.[153] ელჩებმა მას ალექსანდრე III-ის სიგელი და საჩუქრები გადასცეს. იმერეთის მეფის საჩუქრებს შორის იყო: წმინდანთა ნაწილები, აგრეთვე 6 ირანული სარტყელი, ოქროთი მოვარაყებული თურქული სიათა, სამი ირანული ოქროთი ნაკერი ქამხა, 9 ცალი ფოლადის ხმალი, 6 მშვილდი, ოქრომკედით ნაქარგი ხავერდის კაპარჭი ისრებით, ზემოთ ნახსენები 3 ცხენი და სხვ.; ალექსანდრე III-ის მეუღლემ ნესტან-დარეჯანმა დედოფალ მარია ილიას ასულს იაგუნდის თვლიანი ოქროს ბეჭედი უსახსოვრა.[154]

---

[149] ЦГАДА, ф. 110, оп. 1. г. 1652. д. 6. — ლომკაც ჯაფარიძისა და არქიმანდრიტ ევდემონის მოსკოვში ელჩობის მასალები ამ ნომრითაა დაცული ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

[150] ф. 110, оп. 1. г. 1652. д. 6. л. 1.

[151] იქვე, л. 5.

[152] იქვე, л. 12.

[153] იქვე, л. 35.

[154] იქვე, лл. 78-80.

ალექსანდრე III თავის სიგელში რუსეთის ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ სიხარულით აღასრულა მისი ბრძანება და ერთგულების ფიცი დადო. ლევან დადიანის შესახებ კი აცნობებდა, რომ ეს უკანასკნელი ადრე მისი ყმა იყო, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ უღალატა და თურქეთის სულთანს მიემხრო, ხარკს უხდიდა, რის სანაცვლოდაც ჯარს უგზავნიდნენ იმერეთის სამეფოს დასალაშქრავად. საინტერესოდ აღუწერდა იგი რუსეთის მეფეს დონელი კაზაკებისადმი სამეგრელოს მთავრის დამოკიდებულებას: "А которые де донские казаки, холопы царского величества, ходят на Черное море в стругах и они бусурманов воюют, а православным христианом никоторые шкоты не чинят. И Дадьяне де казаков к себе приманивают, будто ся хотят с ними воевать бусурман, и, приманя в свои места, их побивают и в турки продают и в поминках отсылают к турскому салтану, а от турского за то им присылают жалованье". ალექსანდრეს თქმით, დადიანი სპარსეთის შაჰსაც თხოვდა დახმარებას, რისთვისაც ერთი დაი ამ უკანასკნელს გაუგზავნა, მეორე კი როსტომ-ხან თბილისელს მიათხოვა; ამის სანაცვლოდ შაჰმა და როსტომ-ხანმა მრავალგზის დალაშქრეს იმერეთის სამეფო. ამიტომაც, ალექსანდრე თხოვდა ალექსი მიხეილის ძეს, ებრძანებინა დონელი კაზაკებისათვის, შავი ზღვის მხრიდან დაერბიათ სამეგრელოს ტერიტორია და უწინდებურად მის მფლობელობაში მოექციათ. სამაგიეროდ, დიდ ხელმწიფეს ყველგან და ყველაფერში ერთგულ სამსახურს აღუთქვამდა. სიგელში დადიანის შესახებ შემდგომ ნათქვამი იყო; რომ ამ უკანასკნელმა ალექსანდრეს წინათ მრავალჯერ გამოუგზავნა თავისი ელჩები შესარიგებლად, პირობად უფლისწულ ბაგრატის გაგზავნა დაუდო. ალექსანდრემ შეუსრულა პირობა, გაგზავნა ბაგრატი სამეგრელოში, მაგრამ დადიანმა ფიცს უღალატა და არა თუ არ შეურიგდა, არამედ ბაგრატიც თავისთან დაიტოვა და ახლა უთვლიდა: "учинитца так же, как он у турского в подданстве и дань турскому давати", რაზეც, რა თქმა უნდა, მტკიცე უარი მიიღო. ალექსანდრე ძალზე განიცდიდა, რომ გარდა შვილისა, დადიანის ტყვეობაში მისი ძმა მამუკაც იტანჯებოდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ შეეპყროთ მეგრელებს ნადირობის დროს, და ემუდარებოდა დიდ ხელმწიფეს, დახმარებოდა შვილისა და ძმის ტყვეობიდან დახსნაში.

ამ უკანასკნელთა გათავისუფლების შემთხვევაში, "великий государь, к себе ли их изволит взять или ему отдати, и в том его государева воля". გარდა ამისა, იგი თხოვდა ალექსი მიხეილის ძეს, გამოეგზავნა ბეჭდით დამოწმებული წყალობის სიგელი, მისთვის და იმერეთის სხვა დიდებულებისათვის – თავისი მეფური წყალობა ("Да ево ж бы, Александра царя, пожаловал государь, велел к нему прислати печать свою, что он учинился у его царского величества со всею землею в подданстве, и чтоб во всей его земле царское повеленье было вернее. Да чтоб государь пожаловал, велел ему, Александру царю, и ево ближним и войнским ратным людем присылати свое государево жалованье, чтоб они скудны и безконны не были и имели б себе мочь стояти против своих недругов"), აგრეთვე ზარბაზნები, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ხელოსნები და მასალა ადგილზე მათ ჩამოსასხმელად ("Да ево ж бы, Александра царя, пожаловал государь, велел к нему прислати в свою государеву отчину пушечной наряд, чем ему от недругов оборонитися. А будет пушек через горы провести не мочно, и великому б государю велети прислати меди и оловы и мастера и что к тому делу надобно"). დასასრულს, ალექსანდრე თხოვდა ხელმწიფეს სონღულების გაგზავნას, რადგან ეს ფრინველი მის სამეფოში გამწყდარიყო.[155]

ალექსანდრე III-მ თავის ელჩებს უბრძანა დიდი ხელმწიფისათვის ზეპირადაც მოეხსენებინათ მისი დანაბარები. ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ იგი თხოვდა ალექსი მიხეილის ძეს ერთგული მოხელის გამოგზავნას იმერეთის ქალაქების, ეკლესია-მონასტრების, შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო პირების და, საერთოდ, მთელი სამეფოს დასათვალიერებლად და მისი მეფური სახელით მოსაწყობად ("Потом вы, великий государь, извольте прислать к нам, в свое, великого государя, государство и во владенье (ხაზი ჩვენია – გ. ს.) доброго и верного своего человека, дабы городы и монастыри, и церкви божии, и всех наших ратных и земских людей, и все государство Меретинское

[155] ф. 110, оп. 1. г. 1652. д. 6. лл. 87-94.

досмотрел и устроил вашим царским имянем", სამაგიეროდ, ჰპირდებოდა, რომ "которая работа и служба пристоит нам, холопу вашему, и мы рады и готовы ваше государское повеленье исполнять".[156]

ხომ არ არის ზემოთ მოტანილ ციტატაში ნაგულისხმევი იმერეთის მიერ რუსეთის ხელმწიფის მეტი დაინტერესების მიზნით საკუთარი უფლებამოსილებების დიდ ნაწილზე ნებაყოფლობით უარის თქმა?

როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომ წლებში აღნიშნული ტექსტი აღარ ფიგურირებს ალექსანდრეს სიგელებსა თუ ზეპირ დანაბარებში, მაგრამ თავისთავად ფაქტი მისი არსებობისა თვალნათლივ მიუთითებს იმერეთის მეფის სასოწარკვეთილ მდგომარეობაზე 50-იანი წლების დასაწყისში; მას ქვეყნის გადარჩენის სხვა საშუალება აღარ დარჩენია გარდა იმისა, რომ რუსეთის მეფეს სთხოვოს თავისი სახელმწიფოს მოწყობა და ამით იხსნას იგი შინაური თუ გარეშე მტრებისაგან.

1652 წლის 23 ნოემბერს ლომკაც ჯაფარიძემ და არქიმანდრიტმა ევდემონმა რუსეთის პატრიარქ ნიკონსაც მიართვეს ალექსანდრე III-ის სიგელი. ეს უკანასკნელი მადლობას უძღვნის ნიკონს ტოლოჩანოვისა და იევლევის ხელით გამოგზავნილი წყალობისათვის; ატყობინებს, რომ "прислано к нам повеленье великий государь, царь и великий князь Алексей Михайлович – всея Русии, чтоб нам ему, великому государю, целовати крест и быть под его царскою высокою рукою в подданстве", ამიტომაც მან მთელ თავის სამფლობელოსთან ერთად მიიღო "царское повеление в радостию и учинились под ево царскою высокою рукою в подданстве и ему, великому государю, поклонились и учинились в холопстве навеки неподвижно"; ალექსანდრე ნიკონს დიდი ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობას თხოვს: "Да бьем челом и просим у вас, великого господина, чтоб вам, великому святителю, нас жаловать и великому государю, царю во всем о нас заступать и челобитье наше о наших делах ему, великому государю, доносить", აცნობებს, რომ ამიერიდან

[156] ф. 110, оп. 1. г. 1652. д. 6. лл. 53-54.

მათ მთელი თავისი იმედები დამყარებული აქვთ დიდი ხელმწიფის მოწყალებაზე და თხოვს ამ უკანასკნელს "учинить по нашему челобитью вспоможение и велел бы прислать к нам свою царскую печать и государством бы нашим он, великий государь, владел, как и прочими своими государствы, и ближним нашим и ратным людям присылал бы свое государево жалованье, чтоб они скудны и бескормны не были", სანაცვლოდ, ჰპირდება, რომ "мы всем своим государством против неверных учнем стоять и битца, не щадя голов своих, за имя Христова и за ево государево здоровье"; სიგელის ბოლოს ალექსანდრე ატყობინებს ნიკონს, რომ საჩუქრად გამოუგზავნა "крест серебрян мощми".[157]

1653 წლის 19 მაისს ალექსი მიხეილის ძემ ბრძანა ალექსანდრეს ელჩები გამოსათხოვარ შეხვედრაზე მიეწვიათ. იმავე დღეს ლომკაცსა და ევდემონს რუსეთის დიდი ხელმწიფის საპასუხო სიგელი, და აგრეთვე, ბეჭდით დამოწმებული წყალობის სიგელი გადასცეს, სადაც იგი ალექსანდრე მეფეს მფარველობასა და დახმარებას ჰპირდებოდა, თუკი ეს უკანასკნელი „სათუთად და წმინდად“ ემსახურებოდა რუსეთის სამეფოს ("Мы, великий государь, наше царское величество, вас, Александра царя, за то, что ты поискал к себе наше царские милости, учинился со всею меретинскою землею под нашею, царского величества, высокою рукою в вечном подданстве навеки неотступно, и перед нашими, царского величества, посланники крест на том целовали, милостиво похваляем, и учнем вас держати в нашем царском милостивом жалованье и в призренье и от недругов ваших во обороне и в защищенье, чтоб православная християнская вера от неверных в поруганье не была"); გარდა ამისა, ალექსი მიხეილის ძე აღუთქვამდა იმერეთის მეფეს, რომ "на Дон к атаманом и казаком наше царского величества повеленье

---

[157] ф. 110. оп. 1. г. 1652. д. 6. лл. 47-51; იხ. გ. სახოკია, ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წლები), ქართული დიპლომატია (წელიწდეული), თბ., 1995, №2, გვ. 314; 317-319.

послать велим"; ხელმწიფემ ალექსანდრეს საჩუქრად გაუგზავნა 3 სონღული, 80 შეკვრა სიასამურის ბეწვეული და 10 ათასი „ეფიმკა“.[158]

ელჩობის საქმეში დაცულია შემდეგი ცნობა: „ჩვენ, მეფის ბატონისა ალექსანდრეს ელჩებმა ლომკაცი ჯაფარიძემ და არქიმანდრიტმა ევდემონ ავიღეთ ოთხმოცი თოფი სიასამური და ათი ათასი მარჩილი“ (ქვემოთ ქართველი ელჩების ხელმოწერებია).[159]

ჩვენთვის უცნობია, მართლა გააგზავნა რუსეთის მეფემ დონელ კაზაკებთან ბრძანება სამეგრელოს დალაშქრის შესახებ თუ არა; შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდში არსებული საერთაშორისო ვითარების გამო ხელმწიფე თავს შეიკავებდა ამგვარი ბრძანების გაცემისაგან: ჯერ ერთი, 50-იანი წლების დასაწყისში იზრდებოდა დაძაბულობა უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, და ამიტომაც, რუსეთის ხელმძღვანელობა მაინც მიიჩნევდა, რომ კაზაკების გამოგზავნას თურქეთი თავის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიღებდა და დაძაბულობის ახალი კერის შექმნა სასურველი არ იყო; მეორეც, თავად კაზაკები უკრაინა-პოლონეთის ომის დროს დაკავებულნი იყვნენ, რადგან ბოგდან ხმელნიცკის ეხმარებოდნენ.

თეიმურაზმა და ალექსანდრემ საქართველოს საკითხით რუსეთის მეფის მეტი დაინტერესების მიზნით, 1652 წელს ბატონიშვილი ერეკლე (იგივე ნიკოლოზი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, შემდგომში ქართლის მეფე ერეკლე I – 1688-1703 წწ.) გაგზავნეს მოსკოვის სამეფო კარზე და თან ახალი ელჩობა გააყოლეს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისა და არქიმანდრიტ გერმანეს მეთაურობით. ალექსანდრე III თავის სიგელში ხელმწიფეს თხოვდა: "чтоб изволил... очистить дорогу в их государство, чтоб государевым и ево людем – гонцом и послом и посланником – через горы ходить было безстрашно и нигде б им от воровских людей обид не было".[160]

1654 წელს რუსეთიდან იმერეთში გამოგზავნეს საპასუხო ელჩობა დიმიტრი გორიხვოსტოვისა და გლებ პატრიკეევის მეთაურობით, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი გზაში, თერგის ციხე-

---

[158] ф. 110. оп. 1. г. 1652. д. 6. лл. 108-109; 124-127; 175-182.

[159] იქვე. лл. 110 об.

[160] ф. 110, оп.. 1. г. 1654. д. 2. л. 45.

სიმაგრეში გარდაიცვალნენ, 1655 წელს მოსკოვში ალჭურვეს ახალი ელჩობა ვასილი ჟიდოვინოვისა და თევდორე პოროშინის ხელმძღვანელობით.

ალექსანდრესათვის გასაგზავნი ხელმწიფის სიგელი ჯერ კიდევ 1654 წლის მაისში დაიწერა, მაგრამ ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო იგივე წერილი გაუმზადეს ჟიდოვინოვსა და პოროშინს. საპასუხო სიგელში ალექსი მიხეილის ძე აქებდა იმერეთის მეფეს ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრების საქმეში გაწეული დახმარებისათვის და აღუთქვამდა, რომ ეს უკანასკნელი შესაფერ პატივსა და მოფრთხილებაში ეყოლებოდა; აცნობებდა, რომ დესპანების ხელით გაუგზავნა მეფური წყალობა – 5 ათასი მანეთის ღირებულების 90 შეკვრა სიასამურის ბეწვეული და 5 სონღული. რაც შეეხება ალექსანდრეს სამფლობელოსკენ მიმავალი გზების გაწმენდას, ამაზე ხელმწიფის სიგელში არაფერი ეწერა.[161] სამაგიეროდ, აღნიშნულ საკითხზე პასუხს ჟიდოვინოვისა და პოროშინისთვის გაცემული „ნაკაზიდან" ვგებულობთ: თუკი ალექსანდრე და მისი დიდებულები შეეკითხებოდნენ ელჩებს: "От великого государя по тому ево Александра царя письму и прошенью его царского величества указ с ними есть ли?" – ჟიდოვინოვსა და პოროშინს ასე უნდა ეპასუხათ: "О том от царского величества с ними, посланники, ныне не наказано для того, что за помощию божиею великий государь, его царское величество пошли на неприятеля своего на Польского короля".[162]

ალექსი მიხეილის ძემ ჟიდოვინოვსა და პოროშინს საქართველოში გამგზავრება 1655 წლის 26 აპრილს უბრძანა.[163] დესპანები დედაქალაქიდან 7 მაისს გამოვიდნენ, ყაზანში 5 ივნისს ჩავიდნენ, ასტრახანში – 18 ივლისს, თერგში – 14 აგვისტოს.[164] აქ გამოიზამთრეს და მომდევნო, 1656 წლის 20 მარტს განაგრძეს გზა იმერეთისაკენ. მათი მარშრუტი ყაბარდო-ბალყარეთზე გადიოდა.

---

[161] ф. 110, г. 1654. лл. 100-105; 142-145; იხ. აგრეთვე, ф 110, оп. 1. г. 1655. д. 1. лл. 131-134.

[162] ф. 110. оп. 1. г. 1655. д. 1. , გვ. 135.

[163] ф. 110. оп. 1. г. 1655. д. 2 – ამ ნომრითაა დაცული არქივში ჟიდოვინოვისა და პოროშინის ელჩობის „მუხლობრივი აღწერილობა".

[164] ф. 110, оп. 1. г. 1655. д. 2. лл. 2-4.

გადალახეს თოვლით დაფარული მთები და მიაღწიეს მდინარე რიონს, სადაც მათ ალექსანდრე მეფის ხალხი ელოდა. დესპანები ჯერ სოფ. ხოტევში დააბინავეს, შემდგომ კი სოფ. რაჭაში[165] გადაიყვანეს.

1656 წლის 25 მაისს ჟიდოვინოვი და პოროშინი მიიღო სოფ. რაჭაში (ნიკორწმინდა) მეფე თეიმურაზმა. დესპანებმა მას დიდი ხელმწიფის სიგელი და საჩუქრები მიართვეს. შემდეგ „ნაკაზის“ მიხედვით მოახსენეს ალექსი მიხეილის ძის დანაბარები: ეს უკანასკნელი უარს უთვლიდა კახეთის მეფეს ჯარის გამოგზავნაზე (პოლონეთთან ომის საბაბით), თუმცა იქვე ამშვიდებდა, ომის დამთავრების შემდეგ დახმარების გარეშე არ დაგტოვებო.[166]

31 მაისს ალექსანდრე III-ის მოლარეთუხუცესმა ლომკაცმა და არქიმანდრიტმა ევდემონმა რუსეთის დესპანებს უთხრეს, მომზადებულიყვნენ ქუთაისში გასამგზავრებლად. იმავე დღეს დესპანები იმერეთის დედაქალაქისაკენ გაემართნენ. 5 ივნისს ქუთაისის მისადგომებთან მათ ალექსანდრეს დიდებულები და სასულიერო პირნი დახვდნენ.[167]

8 ივნისს ვასილი ჟიდოვინოვი და თევდორე პოროშინი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ დარბაზობაზე მიიღო. დესპანებმა მასაც მიართვეს დიდი ხელმწიფის სიგელი და საჩუქრები და მოახსენეს ამ უკანასკნელის დანაბარები.[168] ამის შემდგომ ალექსანდრემ ისინი ეკლესიაში მიიწვია ნათლობის ცერემონიალზე დასასწრებად. იმ დღეს იმერეთის მეფე ბალყარეთის მფლობელის – აიდაბულის ვაჟს ჟენბულატს ნათლავდა ("А крестил он, царь Александр, болхарского владельца Аидабулова сына Женбулата"). ნათლობის მერე დესპანები წირვას დაესწრნენ,[169] რომლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრემ ისინი სუფრაზე მიიწვია. რუს ელჩებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი სამეფო სუფრასთან ჯდომის

---

[165] პროფ. ი. ცინცაძის განმარტებით, ს. რაჭაში რუსი დესპანები ს. ნიკორწმინდას გულისხმობდნენ (იხ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის..., გვ. 65).

[166] ф. 110. оп. 1, г. 1655, д. 2, лл. 39-42.

[167] იქვე,. лл. 48-49.

[168] იქვე, лл. 50-52.

[169] იქვე, лл. 53-54.

წესი, ოთახის მოწყობილობა, იმერეთის მეფის ჩაცმულობა და ა. შ.[170]

სუფრაზე წარმოთქვეს რუსეთის დიდი ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისა და უფლისწულ ალექსი ალექსის ძის სადღეგრძელოები.

9 ივნისს დესპანებს მეფის დავალებით მიტროპოლიტი ზაქარია, არქიმანდრიტი ევდემონი, მდივანი ფეშანგი ესტუმრნენ და მოახსენეს: "приказал де им, посланником, говорить Александр царь: чинятца де ему, царю, от турского царя и от кизылбашского шаха да от дадьянского царя Леонтья да от гурильского владельца многие обиды и тесноты, людей ево хватают и к себе отводят, и продают людей ево бусурманам, и чтоб они, посланники, о том царского величества известно учинили".[171]

ჟიდოვინოვმა და პოროშინმა აღუთქვეს მათ, რომ რუსეთში დაბრუნების შემდეგ ყველაფერს მოახსენებდნენ დიდ ხელმწიფეს.

19 ივნისს ალექსანდრემ დესპანები მიიწვია გელათის მონასტერში წირვაზე, რომელიც მიტროპოლიტმა ზაქარიამ (ქვარიანი, შემდგომში დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი — 1657-1660 წწ.) შეასრულა. წირვის შემდეგ, მეფემ ისინი, ტრადიციისამებრ, სუფრაზე მიიწვია. ამ შემთხვევაში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აღნიშნულ წვეულებას ესწრებოდა როსტომ ქართლის მეფის ელჩი ("А по левую сторону от царя Александра сидел грузинского царя Теймураза изменника ево Ростоп-ханов посол").[172]

ისევე როგორც წინა სუფრაზე, აქაც ითქვა ალექსი მიხეილის ძისა და მისი ვაჟის, უფლისწულ ალექსის სადღეგრძელოები. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ალექსანდრემ განავრცო თავისი სადღეგრძელო და როსტომის ელჩის გასაგონად შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: "пьет де он, царь Александр, про государя своего, царевича и великого князя Алексея Алексеевича многолетное здоровье, а иного никого, оприч

---

[170] ф. 110. оп.1. г. 1655. д. 2 л. 55.

[171] იქვე, л. 56.

[172] იქვე, л. 58.

их, государей,... не имеет и опричь их, государей, иново никово не боитца".[173]

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე III არ მოერიდა ირანის ვასალის – როსტომის ელჩს და რუსეთის ხელმწიფის იმერეთის სამეფოთი მეტი დაინტერესების მიზნით, ამგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პათეტიკური სცენა გაითამაშა.

26 ივნისს მიტროპოლიტმა ზაქარიამ რუსეთის მეფის დესპანებს გელათის მონასტერი და მასში დაცული სიწმინდეები დაათვალიერებინა, აჩვენა მეფეთა საფლავები.[174]

5 ივლისს ალექსანდრე მეფემ ბრძანა გამგზავრებამდე ჟიდოვინოვი და პოროშინი ს. ხოტევში დაებინავებინათ.[175]

17 აგვისტოს ალექსანდრე III-მ რუსი დესპანები სოფ. შაორში გამოსამშვიდობებელ სუფრაზე მიიწვია.[176]

ჟიდოვინოვი და პოროშინი რუსეთში 1656 წლის 31 აგვისტოს გაემგზავრნენ. ალექსანდრემ მათ გაატანა წერილი, რომელიც 1657 წლის 4 სექტემბერს საელჩო პრიკაზში წარადგინა ელჩობის მონაწილემ, თარჯიმანმა ილია სტოიანოვმა (სიგელის შინაარსის შესახებ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ).

რუსეთის მეფის დესპანების გასტუმრების შემდეგ ალექსანდრემ მაშინვე აღჭურვა საპასუხო ელჩობა ივანე ლუკინის (ლუკას ძის) მეთაურობით. იგი იმერეთიდან 1656 წლის სექტემბრის პირველ დღეებში გაემგზავრა; თერგის ციხე-სიმაგრეში 30 სექტემბერს ჩავიდა; 12 ოქტომბერს ზღვით გაისტუმრეს ასტრახანისკენ, სადაც 1657 წლის 19 თებერვალს ჩავიდა; ასტრახანიდან 20 მაისს გასული ყაზანში 21 აგვისტოს ჩავიდა. აქედან ლუკინის ელჩობა 23 აგვისტოს გაუშვეს და მოსკოვში 1657 წლის 8 ოქტომბერს ჩავიდა.

---

[172] ф. 110. оп.1. г. 1655. д. 2. л. 58.

[173] იქვე, лл. 59-60.

[174] იქვე, л. 62.

[175] იქვე, л. 66.

[176] ჟიდოვინოვისა და პოროშინის „მუხლობრივი აღწერილობა" ნაკლულია და წყდება შემდეგ სიტყვებზე, როცა ალექსანდრემ მოიპატიჟა დესპანები: "посланники Василей и Федор, и все государевы люди в село Шаори поехали. И царь Александ велел на поле разослать ковер и посланником остановитца" (л. 70).

1657 წლის 17 დეკემბერს ივანე ლუკინი მიღებაზე წარუდგა ალექსი მიხეილის ძეს და ალექსანდრე მეფის სიგელი გადასცა.[177] ალექსანდრეს სიგელს ბოლოში თარიღი უზის და აღნიშნულია, რომ იგი 1656 წლის 1 სექტემბერს დაიწერა. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ილია სტოიანოვის მიერ საელჩო პრიკაზში წარდგენილი და ივანე ლუკინის მიერ დიდი ხელმწიფისთვის მირთმეული სიგელები თითქმის ერთსა და იმავე დროსაა შედგენილი, რასაც მათი შინაარსობრივი მსგავსებაც ადასტურებს. შეიძლება ითქვას, რომ ლუკინის სიგელი საელჩო პრიკაზში წარდგენილი წერილის გავრცობილი ვარიანტია, აღნიშნულ წერილებში იმერეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს მადლობას უხდის ჟიდოვინოვისა და პოროშინის ხელით გამოგზავნილი წყალობისათვის; უხარია მისი გამარჯვება; ალუწერს დადიანის ქვეყნის წმინდა რელიქვიებს; აცნობებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღო ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების საქმეში და რომ კარგად ეპყრობოდა იმერეთში მყოფ თეიმურაზსა და მის ახლობლებს; ეხვეწება გამოგზავნოს კაზაკები სამეგრელოს სამთავროს გასანადგურებლად, რომლის მთავრის მცდელობითაც აოხრდა არა მარტო იმერეთის სამეფო, არამედ თეიმურაზის სამფლობელო კახეთიც, რადგანაც დადიანი და ქართლის მეფე როსტომი ერთობლივი ძალებით ებრძოდნენ მათ. ამ უკანასკნელთ შაჰიც უწყობდა ყოველმხრივ ხელს — მისი დახმარება რომ არა, დადიანს იოლად გაუსწორდებოდნენ; ემუდარება, სწრაფად გამოგზავნოს დამხმარე ძალა; „აიმედებს“, რომ სხვა ქვეყნებს არ მიმართავს საშველად; უმტკიცებს, რომ როგორც კი დონელი კაზაკები დადიანის სამფლობელოს აოხრებენ, იმერეთიც მისი ხელმწიფების ქვეშ კიდევ უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება; სთხოვს, გამოგზავნოს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, სპილენძი, საარტილერიო საქმის მცოდნე სპეციალისტები.[178]

---

[177] ლუკინის ელჩობის შესახებ იხ. ЦГАДА. ф. 110, оп. 1, г. 1657, д. 2; აგრეთვე, ф. 110, оп. 1, г. 1657, д. 1, д. 3, д. 8.

[178] ф. 110. оп. 1, г. 1657, д. 2, лл. 51-57. ივანე ლუკინის მიერ ალექსი მიხეილის ძისათვის მირთმეულ სიგელშივე წერია, რომ ჟიდოვინოვმაც ჩამოიტანა ალექსანდრეს წერილი, რომელიც მისი იდენტურია.

ჟიდოვინოვი და პოროშინი, მართალია, ივანე ლუკინთან ერთად ჩავიდნენ თერგის ციხე-სიმაგრეში, მაგრამ იქიდან მასზე ადრე გაემგზავრნენ მოსკოვისკენ, ჩასვლით კი გაცილებით გვიან, 1657 წლის 15 დეკემბერს ჩავიდნენ და იმავე დღეს წარადგინეს „მუხლობრივი აღწერილობა“ საელჩო პრიკაზში.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ალექსანდრე III-ის მიერ 1656 წელს გაგზავნილი წერილები, ვნახეთ, თუ რა ვითარებაში შეიქმნა ისინი და რა სათხოვარი ჰქონდა იმერეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძისადმი, მაგრამ როგორც ლუკინის საქმეში დაცული მასალებიდან ჩანს (იქ ინახება ალექსანდრე III-ის სიგელი, რომელიც 1657 წლის 25 ნოემბერს ითარგმნა საელჩო პრიკაზში), 1657 წლისთვის მდგომარეობა მკვეთრად შეცვლილა, რაც გამოუწვევია ლევან დადიანის მოულოდნელ სიკვდილს. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „ლევან დადიანს შვილი მოუკვდა. მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილის საფლავს ზედ დააკვდა დაუმარხავს“.[179] წმინდა გიორგის გელათური გულანის მინაწერიდან ირკვევა, რომ ეს ამბავი 1657 წლის დასაწყისში მომხდარა: „მარტის ჩვიდმეტსა, დღესა შაბათს მიიცვალა სახელოვანი, სახელგანთქმული, მრავალჯერ გამარჯვებული დადიანი ბატონი ლევან, საუკუნომცა არს ხსენება მისი“.[180]

თავისთავად იბადება კითხვა: თუკი ლევან დადიანი 1657 წლის 17 მარტს გარდაიცვალა, რანაირად მოხვდა და ითარგმნა იმავე წლის 25 ნოემბერს ამ სიახლის შემცველი წერილი რუსეთის სამეფოს საელჩო პრიკაზში? აღნიშნულ საკითხზე პასუხს თვით ლუკინის საქმეში ვპოულობთ, სადაც წერია, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაიტანა მოსკოვში ცნობა დადიანის სიკვდილის შესახებ.[181]

როგორც ჩანს, ალექსანდრე III-მ ამ დიდმნიშვნელოვანი ფაქტის შეტყობისთანავე შეადგენინა ახალი სიგელი და გაატანა მალემსრბოლს, რომელიც გზაში დაეწია ლუკინის ელჩობას და გადასცა იგი მოსკოვში ჩასატანად. ხოლო, რადგანაც ეს წერილი ნაჩქარევად იყო შედგენილი და იძლეოდა უკანასკნელ ცნობებს საქართველოს დასავლეთ მხარეში შექმნილი ვითარების შესახებ, ამიტომაც ლუკინმა იგი რუსეთის სამეფო კარზე ჩასვლისთანავე მიართვა საელჩო პრიკაზს, ვიდრე კიდევ მანამ, სანამ დიდ ხელმწიფეს — ალექსი მიხეილის ძეს მიღებაზე წარუდგებოდა. სიგელში

---

[179] იხ. ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 131.

[180] იქვე, გვ. 131.

[181] ф. 110, оп. 1. г. 1657, л. 2, л. 110.

ალექსანდრე III რუსეთის მეფეს ატყობინებდა: "А неприятель мой Дадианской, что бывал преж сего мой холоп и изменя, учинился мне супостат, христианские веры отлучился и бусурманился, и, соединясь с бусурманы, приходил на меня войною. И ныне тот Дадиян умер и православные християне от бусурманского беззакония избавились, и Дадиянское государство и городы учинились наши, под моею державою по-прежнему, и крест целовали, что им быть под вашею, царского величества, высокою рукою и под моею державою неотступным".[182]

ლევან დადიანის სიკვდილმა იხსნა იმერეთის სამეფო მისი გამაჩანაგებელი ლაშქრობებისაგან; ალექსანდრე III-ს მიეცა საშუალება განემტკიცებინა თავისი სამეფოს საშინაო მდგომარეობა და, გარდა ამისა, აქტიურად ჩარეულიყო მეზობელი სამთავროს – სამეგრელოს საქმეებში. კერძოდ, როცა ლევანის გარდაცვალების შემდეგ გურიის მთავრის, ახალციხის ფაშისა და სამთავროს დიდებულების ხელშეწყობით ტახტზე მისი ძმისწული ლიპარიტ იესეს ძე ავიდა, ალექსანდრემ ილაშქრა ოდიშს და იქ თავისთვის სასურველი პიროვნება, ლევან II დადიანის გერი – ვამიყი (ლევანის მეორე ცოლის – დარეჯან ჭილაძის ვაჟი) გაამთავრა. თან იმერეთის მეფემ დაიპყრო სამეგრელოს ტერიტორიის ნაწილი – „უნაგირას" აქეთი, ვამიყს კი დამცრობილი სამთავრო ჩააბარა. ეს ფაქტი იმავე 1657 წელს მოხდა.

დამარცხების მიუხედავად, ლიპარიტი ბედს არ შერიგებია. მან დახმარება თხოვა ქართლის მეფე როსტომს, ახალციხის ფაშა როსტომსა და ქაიხოსრო გურიელს. ლიპარიტს, აგრეთვე, ჭილაძე-მიქელაძენი მიეშველნენ. გადამწყვეტი ბრძოლა 1658 წლის ივნისში მოხდა ბანძასთან, სადაც ალექსანდრე III-მ გაიმარჯვა. ლიპარიტ იესეს ძე და ქაიხოსრო გურიელი სტამბოლში გაიქცნენ დახმარების სათხოვნელად. ალექსანდრემ გურიელად დიმიტრი სვიმონის ძე დაადგინა. პროფ. გ. ჯამბურიას თქმით, „კვლავ აღდგა დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ჰეგემონია".[183]

---

[182] ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1657, д. 1, л. 6; იხ. გ. სითიძე, მასალები რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს-ის 50-იანი წლები), მაცნე, 1992, №4, გვ. 155.

[183] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, ..., გვ. 342.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ცხადია, დღის წესრიგიდან მოიხსნა დონელი კაზაკების საძეგრელოში სალაშქროდ გამოგზავნის საჭიროება, რადგანაც ალექსანდრემ მათი დახმარების გარეშეც მოაგვარა თავისი საშინაო საქმეები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელმწიფე სრულებითაც არ ფიქრობდა იმერეთის სამეფოს სამხედრო ძალით დახმარებოდა. მან 1658 წლის 27 ივნისს ივანე ლუკინს სამშობლოში გამომგზავრების წინ საპასუხო სიგელი გადასცა, სადაც არაფერია ნათქვამი რეალური დახმარების თაობაზე, მხოლოდ, „ტრადიციისამებრ“, ზოგადი დაპირებებია მფარველობისა და მტრის აგრესიისაგან დაცვის შესახებ ("Мы, великий государь, наше царское величество тебя, царя Александра, жалуем, милостиво похваляем и учнем вас держати в нашем государском милостивом жалованье и от недругов ваших во обороне и в защищении. А тебе б, царю Александру, видя к себе нашу, царского величества, премногую милость и жалованье, нам, великому государю, и сыну нашего царского величества, благоверному царевичю и великому князю Алексею Алексеевичю – всея Великия и Малыя и Белыя Росии, служити и добра всякого хотети и быти под нашею, царского величества, высокою рукою со всею Миритинскою землею навеки неотступно, на чем ты, царь Александр, и ваши ближние люди нам, великому государю, по святой непорочной евангелской заповеди перед посланники нашими веру дали и на записи крест целовали").[184]

1658 წლის ივნისში თეიმურაზ I პირადად ჩავიდა მოსკოვში და დაიწყო მოლაპარაკებები რუსეთის მთავრობასთან სამხედრო დახმარების მისაღებად.

დასავლეთ საქართველოში პოზიციების განმტკიცების შემდეგ ალექსანდრე III-მაც გადაწყვიტა, თავის სიმამრს დახმარებოდა. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1658 წლის დასაწყისში მან რუსეთში ელჩობა

---

[184] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1657, д. 2, лл. 126-128; ф. 110, оп. 1, г. 1658, д. 2, лл. 1-7; გ. სითიძე, მასალები რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს-ის 50-იანი წლები), მაცნე, 1992, №4, გვ. 152.

გაგზავნა როსაბ არეშიძის (რუსული წყაროებით – რუსაპ გეორგიევის) მეთაურობით.[185]

როსაბ არეშიძე მოსკოვში 1658 წლის 25 ოქტომბერს ჩავიდა,[186] ხოლო 1659 წლის 16 იანვარს მიღებაზე წარუდგა დიდ ხელმწიფეს და იმერეთის მეფის სიგელი გადასცა.[187] აღნიშნულ სიგელში ალექსანდრე III ალექსი მიხეილის ძეს ატყობინებდა, რომ „წყეული" ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს წინააღმდეგ გაილაშქრა, მთელი სამთავრო დაიპორჩილა, მთავრად თავისი ნათესავი დასვა და იმერეთიც, ოდიშიცა და გურიაც რუსეთის მეფის ხელმწიფების ქვეშ მოაქცია; შემდეგ უშუალო სათხოვარზე გადადიოდა: "владенья царя Теймураза Давыдовича: Карталиею и Кахетью владеет кизылбашской и от него царь Теймураз разорен и изгнан. А по се время он, царь Теймураз, жил в нашей Меретинской земле, а надежон был на бога и на твою царскую великую милость. А к нам весть дошла, что вы, великий государь, с недруги своими управливаесся, а божиею милостию и твоим государским счастием мочно и нам, твоего царского величества подданным, з бусурманы управливатца. А царь Теймураз Давыдович, без вашего царского изволения, будучи у нас в Меретийской земле, не похотел ехати на свое царство в грузинскую землю по-прежнему, а поехал к вам, великому государю, к вашему царскому величеству, бити челом и милости просить о помощи ратных людей на изменников своих. И я, вашего царского величества подданный царь Александр, о том же милости прошу и бью челом вашему царствию: пожалуй его, царя Теймураза, учини ему помощь, как тебе, великому государю, бог известит. И преже сего ваше, царского величества, жалованное слово бывало, что ваше царское величество ему, царю Теймуразу, помоч

---

[185] ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1658, д. 4 – როსაბ არეშიძის ელჩობის მასალები ძველ-ში ამ ნომრითაა დაცული.

[186] ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1658, д. 4, л. 5; გ. სითიძე, ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის..., გვ. 315.

[187] ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1658, д. 4, л. 35; გ. სითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

учинит. И о том у тебя, великого государя, сопча милости просим мы, подданные вашего царского величества, чтоб ваше государское милостивое слово исполнилось. А не имеем помощника себе никого, оприч бога да тебя, великого государя. А только вы, великий государь, своею царскою милостию заступить не изволите, и святые места и монастыри будут все от бусурман доконца разорены. А буде вы, великий государь, ваше царское величество, изволите, мочно вам, великому государю, с такими бусурманы управитца, только ему, царю Теймуразу, пожаловать небольших ратных людей. А как услышим мы, подданные вашего царского величества, вашу, великого государя, милость и заступление, и мы, подданные вашего царского величества, своим войском отселе пойдем и божиею милостию и вашим государским счастием начаемся, что всю грузинскую землю очистим и под вашу, царского величества, высокую руку подведем"; ეუკებოდა, გამოეგზავნა ელჩი სამეგრელოს სამთავროს დასათვალიერებლად და შესასწავლად;[188] დაბოლოს, თხოვდა, ბრძანება გაეგზავნა

---

[188] ალექსანდრე III შემთხვევით არ მიმართავდა წლების მანძილზე სამეგრელოს სამთავროთი რუსეთის ხელისუფლების დაინტერესების ცდას. იგი თავდაპირველად დონელი კაზაკების გამოგზავნას ითხოვდა სამეგრელოს დასალაშქრავად, ხოლო ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ, რიცა დამოუკიდებლად მოაგვარა საშინაო საქმეები და სამთავროში იმერეთის მეფის გაელენა აღადგინა, ელჩის გამოგზავნას მის დასათვალიერებლად და შესასწავლად, რატომ სთხოვდა ალექსანდრე III რუსეთის მეფეს მაინცდამაინც დონელი კაზაკების გამოგზავნას და რა მოტივებით შეეძლო მას რუსეთის მთავრობა სამეგრელოს სამთავროთი დაეინტერესებინა?

იმერეთის მეფემ იცოდა, რომ დონელ კაზაკებსა და ოსმალებს ერთმანეთში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, კაზაკები ზღვით ხშირად ესხმოდნენ თავს იმპერიის სანაპირო ქალაქებს. ალექსანდრე III იმაშიც გარკვეული იყო, რომ კაზაკები მთლად დამოუკიდებლად არ მოქმედებდნენ და მათ ანტიოსმალური გამოსვლებისკენ თავად რუსეთის მეფე უბიძგებდა, რომელიც შემდეგ ბრწყინვალე პორტასთან დიპლომატიურ ურთიერთობაში ხელებს იბანდა — კაზაკები არ მემორჩილებიან და ყველაფერს თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით აკეთებენო. მაგრამ იმდროინდელ თურქეთსა (იხ. ზემოთ მუსტაფა ნაიმას ცნობები) და

დონელი კაზაკებისთვის, რათა მათ აღარ გამოელაშქრათ სამეგრელოს წინააღმდეგ და აღარ დაერბიათ იგი, რადგან ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ ამის აუცილებლობა აღარ არსებობდა.[189]

ბანძასთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ, 1658 წლის მეორე ნახევარში, ალექსანდრე III-მ ოსმალეთშიც გაგზავნა ელჩობა.

საქართველოშიც იცოდნენ, რომ სინამდვილეში კაზაკებს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთის მთავრობა აქეზებდა. ამას მოწმობს თუნდაც ალექსანდრე III-ის დაჟინებული თხოვნა ალექსი მიხეილის ძისადმი, გამოეგზავნა კაზაკები სამეგრელოს დასალაშქრავად. რადგან იგი აღნიშნული სათხოვრით სწორედ რუსეთის მეფეს მიმართავდა, ცხადია, უწყოდა, რომ დონელები მისი მითითებებით მოქმედებდნენ. პროფ. ნ. ნაკაშიძის აზრით, "нет сомнения, что имеретинский царь был полностью осведомлен об отношениях России с Турцией и о роли казаков в их – позволим себе выразиться – "тайной войне". Выставляя Левана Дадиани врагом христианства, Александр III старался найти предлог для приказа Московского правительства казакам. То, что Алексей Михайлович имел право на такой приказ, для Александра, очевидно, не было тайной. С другой стороны, он не просил о присылке русских военных отрядов в Западную Грузию, хотя путь туда через Кабарду (с князем которой Александр был в дружественных и даже родственных отношениях) был несравненно безопаснее, чем путь из Терека в Кахети. Нет сомнения, что он считался с отношениями России с Турцией. Только этим можно объяснить просьбу Александра о так нужной ему помощи против Дадиани не русскими войсками, а казаками. Кроме этого, Александр безусловно знал и положение России и, не прося "ратных людей", а только словесного приказа, облегчал московскому царю задачу" (Н. Накашидзе, указ. работа, стр. 153-154).

მაგრამ ალექსანდრე III-ს რუსეთის მეფე როგორმე უნდა დაეინტერესებინა სამეგრელოს სამთავროთი, რათა მას კაზაკებისთვის იქ სალაშქროდ წასვლა ებრძანებინა. იცოდა რა რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების ამბავი, იმერეთის მეფე ჯერ კიდევ 1649 წელს გაგზავნილ სიგელში პირდაპირ წერდა ალექსი მიხეილის ძეს, რომ მას სამეგრელოს დაპყრობით კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით გაუადვილდებოდა – იხ. თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977, გვ. 45; თანაც, წერილებში მიუთითებდა, რომ სამეგრელოს სამთავრო შავი ზღვის პირას მდებარეობდა და ახლოს იყო ოსმალეთის ზღვისპირა რაიონებსა

მკვლევარ ვ. ჩოჩიევის აზრით, იმერეთის მეფემ სტამბოლში ელჩი მიავლინა, „მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაეშვა იქ თავშეფარებული ლიპარიტ დადიანისა და ქაიხოსრო გურიელისთვის მფარველობის აღმოჩენა სულთანის მხრიდან“.[190]

ჩვენი აზრით, ელჩობის გაგზავნას იმპერიის დედაქალაქში აღნიშნული მიზეზის გარდა სხვა, უფრო სერიოზული მოტივებიც ედო საფუძვლად. ალექსანდრე III ფხიზლად ადევნებდა თვალს ბოლო წლებში ოსმალეთში მიმდინარე მოვლენებს და თავის პოლიტიკასაც ამისდა მიხედვით აწარმოებდა.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ოსმალეთი თვით 50-იანი წლების დასაწყისშიც კი უმძიმეს კრიზისს განიცდიდა; ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო მდგომარეობა კატასტროფული იყო. ასეთ ურთულეს ვითარებაში 1656 წელს იმპერიის დიდი ვეზირი გახდა წარმოშობით ალბანელი, 75 წლის მეჰმედ ქოფრულუ ფაშა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თურქეთის ისტორიის მთელ, „ქოფრულუს ხანად“ წოდებულ პერიოდს.[191] იგი ღარიბ ოჯახში

და ქალაქებთან, კერძოდ, ტრაპიზონთან – იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1657, д. 1, л. 3; გ. საითიძე, მასალები რუსეთ-იმერეთის..., გვ. 154.

ერთი სიტყვით, ალექსანდრე III ცდას არ აკლებდა, რომ რუსეთის მთავრობას სამეგრელოში სამხედრო ძალები გამოეგზავნა, მაგრამ მოსკოვი, როგორც ზემოთ აღნიშნული გვქონდა, ოსმალეთის მიმართ XVII ს-ში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დონსა და ჩრდილო კავკასიაშიც კი თავდაცვით პოლიტიკას ატარებდა და, ცხადია, იგი დაინტერესებული არ იქნებოდა გაცილებით სამხრეთით მდებარე ქვეყნის გამო იმპერიასთან ახალი კონფლიქტური კერის წარმოქმნით (ხოლო სამეგრელოზე ხელის დადება ორ დიდ სახელმწიფოს შორის შეიარაღებულ შეტაკებას რომ გამოიწვევდა, რუსეთში ეს იცოდნენ).

[189] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1658. д. 4, л. 39; ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659. д. 1, л. 6; გ. საითიძე, ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის..., გვ. 315-316; 320-322.

[190] ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმაღეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის მეორე ნახევარში, თსუ შრომები, 1985, №250, გვ. 113.

[191] მეჰმედ ქოფრულუ ფაშა დიდი ვეზირი იყო 1656-1661 წლებში; მეჰმედ ფაშას გარდაცვალების შემდეგ ეს თანამდებობა მისმა ვაჟმა, 26 წლის ფაზილ აჰმედ ფაშამ (1661-1676 წწ.) დაიკავა.

დაიბადა და მხოლოდ პირადი ღირსებებით მიაღწია სულთნის კარზე დიდ ალიარებასა და თანამდებობას.[192]

დიდი ვეზირის პოსტზე სრულად გამოვლინდა მეჰმედ ქოფრულუ ფაშას როგორც სახელმწიფო მოღვაწის ნიჭი. მან იმპერიაში რეფორმების გატარება დაისახა მიზნად და, ხანდაზმულობის მიუხედავად, ენერგიულად შეუდგა წესრიგის დამყარებისკენ მიმართულ საქმიანობას. მეჰმედ ფაშამ მმართველობის დასაწყისშივე სისხლში ჩაახშო მცირე აზიასა და ჩრდილოეთ სირიაში მიმდინარე აჯანყებები; მისი ბრძანებით მოკლე ხანში დაახლოებით 30 ათასი კაცი იქნა სიკვდილით დასჯილი; სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მექრთამეებსა და მფლანგველებს.[193]

ამგვარი ზომებით მეჰმედ ქოფრულუ ფაშამ შეძლო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და ქვეყნის მდგომარეობის გამოსწორება, ხაზინის შევსება, არმიის, განსაკუთრებით კი ფლოტის გაძლიერება და მისი მეშვეობით ვენეციის ფლოტის დამარცხება, რომელიც დარდანელის სრუტეებს კეტავდა, აგრეთვე, ვენეციელებისთვის რამდენიმე კუნძულის წართმევა.[194] ახალგაზრდა სულთანი მეჰმედ IV მთლიანად ჩამოსცილდა სახელმწიფო საქმეებს და ქვეყნის მართვა-გამგებლობა დიდ ვეზირს მიანდო. მართლაც, მეჰმედ ქოფრულუ ფაშა რომ არა, ოსმალეთის იმპერია თავის საშინაო და საგარეო მდგომარეობას ვერ გაიუმჯობესებდა.[195]

ალექსანდრე III-ის მიერ სტამბოლში ელჩების გაგზავნის უმთავრესი მიზეზიც სწორედ იმპერიის შიგნით მიმდინარე პროცესების გათვალისწინება იყო.

ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნია იმერეთის სამეფოს ელჩობის ამსახველი დოკუმენტები, ოსმალეთის მთავრობასთან

---

[192] იხ. Н. А. Смирнов, Россия и Турция..., т. II, ..., стр. 106; Wolfgang Gust, Das Imperium der Sultane, München, 1995, გვ. 188.

[193] იხ. А. Д. Новичев, История Турции, т. I, Л., 1963, გვ. 181.

[194] იხ. А. Д. Новичев, დასახ. ნაშრ., გვ. 182; Fisher, Weltgeschichte, Band 15, Der Islam II, Die islamischen Reiche nach dem Fall von Konstantinopel, Frankfurt, 1971, გვ. 103.

[195] იხ. Н. А. Смирнов, Россия и Турция..., т. II, ..., გვ. 112; Dr. Karl Julius Ploetz, Grosse Weltgeschichte, Darmstadt, 1980, გვ. 1079; Wolfgang Gust, Das Imperium der Sultane, München, 1995, გვ. 189-191.

წარმოებული მოლაპარაკებების სტენოგრაფიული ჩანაწერები; ჩვენს ხელთ არის მხოლოდ მეჰმედ ქოფრულუ ფაშას ორი საპასუხო წერილი ალექსანდრე III-ისა და სამეგრელოს თავადებისადმი, საიდანაც ვარკვევთ, თუ რა ამოცანების გადაწყვეტა ჰქონდა დაკისრებული მისიას იმპერიის დედაქალაქში. აღნიშნული წერილები თავის დროზე კომენტარებითურთ გამოაქვეყნეს ს. ჯიქიამ და ვ. ჩოჩიევმა.[196]

წერილის დასაწყისში მეჰმედ ქოფრულუ ფაშა ალექსანდრე III-ს ატყობინებდა სტამბოლში მისი ელჩის ჩამოსვლას, „რომელმაც ძველი ჩვეულებისამებრ თავი დაუკრა ბედნიერ სამეფო უზანგს“;[197] კმაყოფილებას გამოთქვამდა იმერეთის მეფეების ერთგული სამსახურით; აქებდა, რომ მან — ალექსანდრემ წინააღმდეგობა გაუწია გურიის მთავარს, რომელმაც ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ „ყიზილბაშიდან გადმოყვანილი“ და „შეუფერებელი“ პიროვნების გამთავრება მოისურვა; კიცხავდა გურიელს ამგვარი უღირსი საქციელის გამო, მაგრამ იქვე საყვედურობდა ალექსანდრეს, რომ მასაც მძიმე დანაშაული მიუძღოდა, რადგან დადიანი და გურიელი სულთნის „ბრწყინვალე ბერათის“[198] გარეშე, საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ დანიშნა; იქვე სიტუაციის მოგვარების საკუთარ ვარიანტს სთავაზობდა: ამიერიდან სულთანი თავად გადაწყვეტდა, თუ ვის დანიშნავდა მთავრად; „ურჩევდა“, სულთნის ბრძანებების მორჩილი და ერთგული შემსრულებელი ყოფილიყო („დღენიადაგ სულ იმას ეცადე, რომ ფადიშაჰმა წყალობის თვალით გიყუროს“).[199]

შემდეგ მეჰმედ ფაშა ალექსანდრე III-ს აცნობებდა: „რაც შეეხება თქვენს წინადადებას, რომ ჩვენი... დიდებული ფადიშაჰის გულისთვის მთელი დანარჩენი (აღმოსავლეთი) საქართველო ხმლით იქნას აკუწული, ეს საქმე განზრახულია“;[200] ატყობინებდა, რომ ელჩები

---

[196] იხ. ს. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 294-298; ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის..., გვ. 105-124.

[197] ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

[198] ბერათი (არაბ.) — სიგელი, ფირმანი, ბრძანება — იხ. ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

[199] ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის..., გვ. 121.

[200] იქვე, გვ. 121.

სამშობლოში თავის ვაჟთან — არზრუმის ციხისთავ აჰმედ ფაშასთან ერთად გამოისტუმრა; საპასუხო წერილის გაგზავნასაც მასთან ავალებდა;[201] იმედს გამოთქვამდა, რომ თუ სულთნის ბრძანებებს დაუჯერებდნენ, საქართველოში მალე დამყარდებოდა წესრიგი; ურჩობის შემთხვევაში იმერეთის სამეფოს აოხრებითა და განადგურებით ემუქრებოდა.[202]

მეჰმედ ქოფრულუ ფაშას მიმართავ სამეგრელოს სამთავროს თავადებისადმი თითქმის იდენტურია ალექსანდრე III-თან გაგზავნილი მისი წერილისა. დიდი ვეზირი აქაც აღნიშნავდა, რომ მხოლოდ სულთანს უნდა გადაეწყვიტა, ვის დანიშნავდა გურიელად და დადიანად — არავის ჰქონდა მის უზენაეს კომპეტენციაში ჩარევის უფლება; ამცნობდა, რომ სტამბოლიდან მათი ელჩები სამეგრელოში თავის ვაჟთან — არზრუმის ციხისთავ აჰმედ ფაშასთან ერთად გამოისტუმრა.[203]

ასეთია ოსმალეთის დიდი ვეზირის — მეჰმედ ქოფრულუ ფაშას მიერ ალექსანდრე III-სა და სამეგრელოს თავადებთან გაგზავნილი წერილების შინაარსი, რომლებიც შემდეგი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს: იმერეთის მეფემ იმპერიის დედაქალაქში მისია მიავლინა იმის გასარკვევად, თუ რა რეაქცია მოჰყვებოდა ბრწყინვალე პორტას მხრიდან ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დასავლეთ საქართველოში გატარებულ ღონისძიებებს; ელჩობას უნდა გაენეიტრალებინა სტამბოლში თავშეფარებული ლიპარიტ დადიანისა და ქაიხოსრო გურიელის მცდელობები; გარდა ამისა, ალექსანდრე III-ს თეიმურაზ I-თვის დახმარების გაწევაც სურდა — ასე უნდა აღვიქვათ მისი თხოვნა აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ, რისთვისაც სულთნის დასტური ესაჭიროებოდა.

---

[201] როგორც ვხედავთ, ახალციხის საფაშოში ოსმალეთის ხელისუფლება მტკიცე XVII ს-ის 50-იანი წლების მიწურულშიც არ იყო, რაც დასტურდება იმით, რომ დიდი ვეზირი დასავლეთ საქართველოსა და ოსმალეთის მთავრობის შემართებელ რგოლად მიიჩნევდა არა ახალციხის, არამედ მისგან სამხრეთით მდებარე არზრუმის საფაშოს გამგებელს. ახალციხის საფაშოს სისუსტის პერიოდში არზრუმის ფაშა საგანგებო როლს იძენდა საქართველოს საქმეების მოგვარებაში — იხ. ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

[202] იქვე, გვ. 122.

[203] იხ. ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 294-295.

აღმოსავლეთ საქართველოზე (შაჰის ხელდებულ ტერიტორიაზე) იმერეთის მეფის ლაშქრობა ირან-ოსმალეთის ინტერესების შეჯახების, 1639 წლის ზავის დარღვევისა და აგრესორებს შორის ახალი ომის დაწყების მიზეზი უნდა გამხდარიყო. ალექსანდრე III ხედავდა, რომ „მშვიდობიან“ პერიოდში საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობა უაღრესად გართულდა, რადგან დამპყრობლებს მეტი დრო და საშუალება გააჩნდათ „კუთვნილი ქვეყნების“ წინააღმდეგ საბრძოლველად (რისი დასტურიც იყო 1648 წელს თეიმურაზ I-ის კახეთის სამეფოდან განდევნა — გ. ს.), ველარ ხერხდებოდა „მღვრიე წყალში თევზის დაჭერის“ პოლიტიკის წარმოება.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა მოტივებით დაუსაბუთებდა ალექსანდრე III ოსმალეთის მთავრობას აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობას: სამეგრელოს მთავრისა და ქართლის ვალის ალიანსი წარმოადგენდა ირანის აგრესიის ბაზას საქართველოში. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ მან სამეგრელო დაიპყრო და დაიმორჩილა; ახლა დღის წესრიგში იდგა ქართლის ვალის განადგურება, რის შემდეგაც საქართველოში ირანის შაჰის დასაყრდენები ამოიძირკვებოდა და ეს სულთნის დიდი გამარჯვება იქნებოდა. სინამდვილეში კი როსტომის წინააღმდეგ გალაშქრება და მასზე ოსმალეთის ხელისუფლების დასტური დამპყრობლებს შორის ომს გამოიწვევდა, რაც გაზრდიდა თეიმურაზ I-ის შანსებს წართმეული სამეფოს დასაბრუნებლად.

კიდევ ერთი მომენტი: აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაზე აქცენტის გაკეთებით იმერეთის მეფეს ბრწყინვალე პორტას ყურადღების დასავლეთ საქართველოსგან ჩამოცილება სურდა, რათა მას კვლავაც თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონოდა.[204]

მეჰმედ ქოფრულუ ფაშას მიერ ალექსანდრე III-ისა და სამეგრელოს თავადებისადმი გაგზავნილი წერილების იდენტურობა გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ იმერეთისა და ოდიშის ელჩობები ერთსა და იმავე დროს იმყოფებოდნენ სტამბოლში და აქ დასავლეთ საქართველოს ორი პოლიტიკური ერთეულის გაერთიანებულ ელჩობასთან გვაქვს საქმე, რასაც, ჩვენი აზრით,

[204] შდრ. ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის..., გვ. 117.

ამგვარი ახსნა მოეძებნება: როგორც ჩანს, ბანძის ბრძოლისა და სამეგრელოში საფუძვლიანად განმტკიცების შემდეგ ალექსანდრე III-მ თავის ელჩობასთან ერთად ვამიყ დადიანსაც მიავლენინა ოსმალეთის დედაქალაქში წარმომადგენლები, რომლებიც სამეგრელოს მიმართ იმერეთის მეფის მიერ გატარებული ღონისძიებების სამართლიანობას ალიარებდნენ და რომ სამთავროს მოსახლეობა იზიარებდა და კმაყოფილი იყო მისი ქმედებებით. ამით ალექსანდრე III-ს სურდა ოსმალეთისთვის დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, სამეგრელოს სამთავროს საშინაო საქმეებში უშუალო ჩარევის ფორმალური საბაბი (ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება — გ. ს.) არ მიეცა.

მაგრამ ოსმალეთს თავისი მიზნები და ამოცანები გააჩნდა დასავლეთ საქართველოს მიმართ. სტამბოლში დიდი შეშფოთება გამოიწვია 1654 წელს უკრაინის რუსეთთან შეერთებამ, რითაც „დაიწყო ოსმალეთის ბატონობისაგან შავი ზღვის ქვეყნების ხალხთა გათავისუფლების ახალი ეტაპი. ამ ისტორიულმა მოვლენამ საფუძველი მოუმზადა შავი ზღვისკენ რუსეთის ლტოლვას, რაც ოსმალეთის და მისი უმცროსი პარტნიორის — ყირიმის სახანოს წინააღმდეგობის დაძლევის გზით უნდა განხორციელებულიყო“.[205] აღნიშნული პოლიტიკური აქტით რუსეთი შავ ზღვას მიუახლოვდა. ოსმალეთის მმართველი წრეები შიშობდნენ, რომ ამის შემდეგ მოსკოვი გააძლიერებდა დახმარებას დასავლეთ საქართველოსადმი, „რომლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის განსაზღვრავდა დაახლოებას რუსეთთან და, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის წარმატების ხელშემწყობი ხდებოდა აღნიშნულ რეგიონში“.[206]

ამიტომ ოსმალეთის ფაქტობრივმა გამგებელმა — მეჰმედ ქოფრულუ ფაშამ საჭიროდ ცნო, გამოეყენებინა დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევისთვის ხელსაყრელი მომენტი და იქ იმპერიის გავლენა გაეძლიერებინა.

ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ ის მიზეზები, რომლებმაც ალექსანდრე III-ს სტამბოლში მისიის გაგზავნა გადააწყვეტინა. დიდმა ვეზირმა კი ეს ფაქტი ხელზე დაიხვია და საპასუხო წერილში ალექსანდრეს საქციელი ოსმალეთის წინაშე იმერეთის მეფის მორჩილების გამოვლინებად წარმოადგინა.

---

[205] ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის..., გვ. 105.

[206] იქვე, გვ. 107.

მართალია, მეჰმედ ფაშამ გაკიცხა ქაიხოსრო გურიელი „შეუფერებელი“ და „ყიზილბაშიდან გადმოყვანილი“ ლიპარიტ იესეს ძის (როგორც ჩანს, ალექსანდრე III-ის ელჩმა ლიპარიტის საწინააღმდეგოდ როსტომ ქართლის მეფესთან მისი ახლო ნათესაური კავშირი გამოიყენა — როსტომი ლიპარიტ იესეს ძის მამიდის ქმარი იყო — და ოსმალეთის ხელისუფლებას დაუმტკიცა, რომ ლევან II დადიანის ლიპარიტ იესეს ძით შეცვლა ქართლის ვალისა და მისი სიუზერენის — ირანის შაჰის პოლიტიკის მორიგი წარმატება იქნებოდა. ამრიგად, ალექსანდრე III-მ იმერეთ-ქართლის ურთიერთობა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობათა სფეროში გადაიტანა და ლიპარიტ იესეს ძე იმპერიისთვის არასასურველ პიროვნებად დაახასიათა, რის შემდეგაც მისდამი გურიელის მიმხრობაც ანტიოსმალური აქციის ხასიათს იძენდა[207]) დადიანად დანიშვნის გამო, რაც იმერეთის მეფის არგუმენტაციის ფორმალურ მოწონებას ნიშნავდა, მაგრამ მას არც ალექსანდრე III-ის საპასუხო მოქმედებები მოეწონა — მან ხომ ლიპარიტ იესეს ძისა და ქაიხოსრო გურიელის ნაცვლად თავისთვის სასურველი პიროვნებები — ვამიყი და დემეტრე სვიმონის ძე გაამთავრა, თანაც სულთნის დაუკითხავად, მისი „ბრწყინვალე ბერათის“ გარეშე. „ოდიშისა და გურიის მთავრების დანიშვნის უფლება იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთს შორის სვამდა დასავლეთ საქართველოში უზენაესი ხელისუფლების კუთვნილების საკითხს“.[208]

მეჰმედ ქოფრულუ ფაშამ სამთავროებზე იმერეთის მეფის უფლება არ სცნო, მთავრების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი მის კომპეტენციაში აღარ შედიოდა. ამიერიდან მათი დანიშვნა მხოლოდ და მხოლოდ სულთნის ნებართვით უნდა მომხდარიყო.[209]

დიდი ვეზირი იმერეთის სამეფოს გურიისა და სამეგრელოს სამთავროების თანასწორ ერთეულად აღიარებდა (შემთხვევითი არ იყო მის მიერ სამეგრელოს თავადებისადმი სპეციალური წერილის გაგზავნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთი არ სცნობდა ალექსანდრე III-ის უფლებებს ამ სამთავროზე და მას ცალკე,

---

[207] იხ. ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის..., გვ. 114.

[208] იქვე, გვ. 114.

[209] იხ. მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVII სს.), თბ., 1990, გვ. 238.

იმერეთის სამეფოზე დაუქვემდებარებელ ერთეულად განიხილავდა — გ. ს.). მათი უფლებების გათანაბრებით ბრწყინვალე პორტა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობის შენარჩუნებას უწყობდა ხელს, რასაც თითოეული მათგანის მიმართ სულთნის უზენაესობა უნდა უზრუნველეყო.[210] გამორიცხული არ იყო, რომ ცოტა ხნის შემდეგ ოსმალეთის მთავრობა იგივე უფლების განხორციელებას თვით იმერეთის მეფის დანიშვნის თაობაზეც შეეცდებოდა.[211]

რაც შეეხება ალექსანდრე III-ის წინადადებას აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის შესახებ, მეჰმედ ქოფრულუ ფაშა მას ამცნობდა, ეს საქმე განზრახულიაო, მაგრამ სინამდვილეში ბრწყინვალე პორტას ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება არ აწყობდა (ხოლო ქართლის წინააღმდეგ იმერეთის მეფის გალაშქრება და ოსმალეთის მხრიდან დასტური ირან-ოსმალეთის ომს რომ გამოიწვევდა, აშკარაა) — მას იმ პერიოდში სხვა ამოცანები ჰქონდა გადასაწყვეტი (ქვეყნის შიგნით მიმდინარე რეფორმების წარმატებით დასრულება, არმიისა და ფლოტის გაძლიერება, ომი ვენეციასთან და ა. შ.).

ამრიგად, ალექსანდრე III-მ ოსმალეთის ყურადღების დასავლეთ საქართველოს საქმეებისგან ჩამოცილება და აღმოსავლეთ საქართველოსთვის მიპყრობა ვერ შეძლო, პირიქით, მეჰმედ ქოფრულუ ფაშამ მას იქეთ წაუყენა სერიოზული პრეტენზიები და მოთხოვნები, რომელთა შესრულებისა და განხორციელების შემთხვევაში იმერეთის სამეფო კარგავდა ძლივს დაბრუნებულ ჰეგემონობას დასავლეთ საქართველოში.

საქმე მეტად სერიოზულ მიმართულებას იღებდა და სახიფათო ხდებოდა იმერეთის მეფისთვის. ამას ისიც დაემატა, რომ მოსკოვიდან ხელცარიელი, მხოლოდ სამომავლო დაპირებებით გამობრუნდა თეიმურაზ I, რომელიც 1658 წლის ივლის-აგვისტოში რუსეთის მეფესა და დიდებულებთან პირადად აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მისთვის სამხედრო ძალით დახმარების აღმოჩენის თაობაზე. საქართველოში იმ მომენტში მეტად ხელსაყრელი ვითარება იყო შექმნილი რუსეთის მხრიდან აქტიური პოლიტიკის გასატა-

---

[210] იხ. ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის..., გვ. 116.

[211] იხ. მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

რებლად. „ქართველობისთვის მებრძოლი დასის აქტიური მოქმედებით — თეიმურაზ კახთა მეფისა და ალექსანდრე იმერთა მეფის მეთაურობით — მოსკოვის სამეფოსადმი სასარგებლო განწყობილება ამ დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო: მოსკოვის ხელმწიფეს ყმობდნენ კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, ყმობასვე ეფიცებოდნენ მას იმერთა მეფის მორჩილი სამეგრელოსა და გურიის მთავრები. ქართლშიც თეიმურაზ-მოსკოვის მომხრეთა ძლიერი დასი სამოქმედოდ მზად იყო... საკმაო იყო „პატრონის“ მხრით ენერგიული მოქმედება“.[212]

მაგრამ მოლაპარაკებათა მსვლელობაში გაირკვა, რომ მოსკოვის ინტერესებში არ შედიოდა თეიმურაზ I-თვის სამხედრო დახმარების გაწევა და ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება. სამართლიანად შენიშნავდა პროფ. ნ. ნაკაშიძე, რომ "грузинский вопрос во внешней политике Ирана играл более значительную роль, чем в политике России 50-х годов XVII века".[213] რუსეთის მმართველმა წრეებმა, რომელთა უმთავრესი საზრუნავი მაშინ დასავლეთის საკითხის მოგვარება იყო, მხცოვან მეფეს „ურჩიეს“, სამშობლოში დაბრუნებულიყო და როგორმე მოეხერხებინა იქ ცხოვრება. როგორც ყოველთვის, არც ამჯერად დაიშურეს გულუხვი დაპირებები ახლო მომავალში ჯარით დახმარების თაობაზე, მაგრამ მათ თეიმურაზ I-ის დამშვიდება არ შეეძლო.[214] ამ უკანასკნელმა კარგად იცოდა, რომ ამ პოლიტიკის მარცხი გულს გაუტეხდა რუსეთის ორიენტაციის მქონე ქართველ მოღვაწეებს და მის მოწინააღმდეგეებს საბაბს მისცემდა საეჭვო გაეხადათ მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, ნიჭი და შორსმჭვრეტელობა.[215] ამიტომაც აღნიშნავდა მოხუცი მეფე გულდაწყვეტით: "А ныне де приезл

---

[212] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 150.

[213] **Н. Накашидзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 269.

[214] იხ. **Ш. Месхия и Я. Цинцадзе**, Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тб., 1958, გვ. 80; ვ. მაჭარაძე, ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებებისა მოსკოვში 1658 წელს, თსუ შრომები, 1965, №113, გვ. 437-455.

[215] იხ. დ. კაჭარავა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის..., გვ. 124.

и челобитье стало ни во что, и достоль де изменники его и горские черкасы нас до основания разорят".[216]

თეიმურაზ I მოსკოვიდან 1658 წლის სექტემბრის ბოლოს გამოემგზავრა; ზამთარი ყაზანში გაატარა, ხოლო 1659 წლის მაისში ყაზანიდან გამოვიდა და 5 ივნისს სარატოვში ჩავიდა.[217]

1659 წლის 16 მაისს ალექსი მიხეილის ძემ როსაბ არეშიძე გამოსათხოვარ მიღებაზე მიიწვია, რომელზეც მას რუსეთის მეფის საპასუხო სიგელი გადაეცა ალექსანდრე III-სადმი. სიგელიდან ირკვეოდა, რომ ელჩობამ შედეგი ვერ გამოიღო და უნაყოფო გამოდგა — რუსეთის ხელისუფლებამ არც იმერეთის მეფის თხოვნა შეიწყნარა თეიმურაზ I-თვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე და არც ელჩი მოავლინა სამეგრელოს სამთავროს დასათვალიერებლად და შესასწავლად — ალექსი მიხეილის ძე ალექსანდრე III-ს ატყობინებდა, რომ ელჩობას სხვა დროს გამოაგზავნიდა, რაც სათხოვარზე დიპლომატიურ ფორმებში უარის თქმას ნიშნავდა; რაც შეეხება ბრძანებას დონელი კაზაკებისადმი, რუსეთის მეფე იძლეოდა დაპირებას, რომ აუცილებლად გააგზავნიდა მას, რათა კაზაკები აღარ დასხმოდნენ თავს სამეგრელოს სამთავროს და აღარ გაეძარცვათ იგი ("А послов мы, великий государь, досмотреть дадиянской земли, которую ты, Александр царь, своим промыслом и службою учинил под нашею, великого государя, высокою рукою в подданстве, пошлем иным временем. А что в том же вашей грамоте написано, чтоб нам, великому государю, нашему царскому величеству, велеть, послать наше государское повеление к Донским казакам, чтоб они на дадиянскую землю войною не приходили и не разоряли, потому что та дадиянская земля учинилась под нашею, государскою, высокою рукою в подданстве, и мы, великий государь, наше царское

---

[216] იხ. გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658 წწ.), საისტორიო მოამბე, 1965, ტ. 19-20, გვ. 467.

[217] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 3, л. 3; გ. პაიჭაძე, რამდენიმე სიახლე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის მეორე ნახევარში, საისტორიო მოამბე, ტ. 27-28, თბ., 1973, გვ. 531.

величество, по твоему прошенью, наше государское повеление к Донским казакам послать велели").[218]

სარატოვში მყოფ თეიმურაზ I-ს იმერეთიდან ალექსანდრე III-ის მიერ გამოგზავნილი ერთ-ერთი დიდებული ეახლა და შვილიშვილის – ლუარსაბ დავითის ძის სიკვდილი შეატყობინა.[219]

თეიმურაზ I-მა ამ სამწუხარო ამბის შეტყობიდან მოკლე ხანში დასახა ახალი გეგმა, რომელიც მოსკოვში მყოფი მისი უმცროსი შვილიშვილის – ერეკლე (რუსული წყაროებით – ნიკოლოზ) დავითის ძის რუსეთის მეფის დახმარებით საქართველოში გამეფებას შეეხებოდა. მან სარატოვშივე დაწერა სიგელი და მოსკოვში ალექსი მიხეილის ძისთვის გადასაცემად მიტროპოლიტ გრიგოლსა და აზნაურ შერმაზანს გაატანა, რასაც აღნიშნული საბუთიდანვე ვგებულობთ. თეიმურაზ I რუსეთის მეფეს ატყობინებდა: "Я... послал к вашему царскому величеству бить челом и милости просить митрополита Григория да боярина своего Шермазана Золтонова сына. А послал их из вашей... вотчины, из города Саратова".[220]

სიგელში, რომელიც ბერძნულ ენაზე იყო დაწერილი, თეიმურაზ I რუსეთის დიდ ხელმწიფეს ატყობინებდა სარატოვამდე მგზავრობის პერიპეტიებს; აცნობებდა, რომ წლის დასაწყისში (1659 წლის 1 თებერვალს) იმერეთში მყოფი მისი შვილიშვილი – ლუარსაბ დავითის ძე გარდაიცვალა, რომელსაც მეპკვიდრედ და თავის სამფლობელოში გასამეფებლად ზრდიდა; ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ მას მემკვიდრე აღარ დარჩა მოსკოვში მცხოვრებ ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძის გარდა; ამიტომ, ერეკლეს საქართველოში გამოგზავნას თხოვდა.

თეიმურაზ I-ის სათხოვარი ამით არ შემოიფარგლებოდა – იგი რუსეთის მეფეს თხოვდა, რომ ერეკლე ბატონიშვილი საქართველოში სწორედ მისი ხელდასხმითა და ბრძანებით გამეფებულიყო; სამაგიეროდ, აღუთქვამდა, რომ ახალი მეფე რუსეთის

---

[218] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 1, л. 10; გ. სახოკია, ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის..., გვ. 316; 322-324.

[219] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 3, л. 3; გ. პაიჭაძე, რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს..., გვ. 531.

[220] ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 3, лл. 7-8; გ. პაიჭაძე, რამდენიმე საბუთი..., გვ. 532-533.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთგული გამტარებელი იქნებოდა. მოვიტანთ ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტს თეიმურაზ I-ის სიგელიდან: "Коего имеешь у себя внука моего – царевича Николая Давыдовича, да пожалуешь его, изволишь прислать к нам, поставив его от себя, великого государя, Иверские земли царем и служити ему тебе, великому государю, где ему ваше царское повеленье будет".[221]

თეიმურაზ I ამითაც არ კმაყოფილდებოდა და რუსეთის ხელმწიფეს ერეკლესთან ერთად საქართველოში თავისი ბოიარების გამოგზავნასაც თხოვდა, რომლებიც უფლისწულს სამეფო ტახტის დაკავებასა და განმტკიცებაში დაეხმარებოდნენ – მისი თქმით, აღნიშნული სათხოვარი საქართველოს მთელ მოსახლეობას ეკუთვნოდა; ატყობინებდა, რომ იგივე თხოვნის შემცველი სიგელით მოსკოვში იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის ელჩიც მოემგზავრებოდა; თავის შესახებ აცნობებდა, რომ მეუღლესთან ერთად მონასტერში აღკვეცა ჰქონდა გადაწყვეტილი, რათა ცოდვები მოენანიათ და საქართველოს ბედნიერებისა და რუსეთის მეფის კეთილდღეობისთვის ელოცათ.[222]

მიტროპოლიტი გრიგოლი და აზნაური შერმაზანი ალექსი მიხეილის ძემ 1659 წლის 18 სექტემბერს მიიღო. ელჩებმა მას თეიმურაზ I-ის ზემოთ განხილული სიგელი გადასცეს.[223]

თეიმურაზ I საკუთარი ელჩების გაგზავნით არ დაკმაყოფილდა და, როგორც ჩანს, ალექსანდრე III-საც მოუწოდა, იგივე სათხოვრით მასაც მიევლინა მოსკოვში ელჩობა და დანაბარები გადასაცემად, ალბათ, ერთ-ერთ მალეშსრბოლს, თუნდაც იგივე იმ იმერელ დიდებულს გაატანა, რომელმაც მას შვილიშვილის სიკვდილი შეატყობინა.

სარატოვში თეიმურაზ I 1659 წლის სექტემბრამდე იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ საქართველოში გამოემგზავრა. რაც შეეხება ალექსანდრე III-ს, მან სიმამრის თხოვნის შეტყობიდან ძალიან მალე აღჭურვა მოსკოვში გასამგზავრებელი ელჩობა მარკოზ თომაევის (თომას ძის) მეთაურობით და გაატანა სიგელი ალექსი

---

[221] ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 3, л.5; გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 532.

[222] იქვე.

[223] ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 2, л. 31.

მიხეილის ძისთვის გადასაცემად. მარკოზ თომაევის ელჩობის საქმეში დაცულია ცნობა, რომ იგი თერგის ციხე-ქალაქში 1659 წლის 5 სექტემბერს ჩავიდა. ქალაქის ვოევოდა მელენტი კვაშნინი რუსეთის მეფეს ატყობინებდა: "В нынешнем, государь, во 167 (1659)-м году, сентябрья в с (5) день приехали в Терской город от Меретинского царя Александра послы Марко Томаев да Калиста Васильев да архимарит Матвей да казначей Александра царя да толмач да три человека конюхов да посольских людей их деветь человек".[224] ამიტომ ვვარაუდობთ, რომ მისია იმერეთიდან დაახლოებით 1659 წლის აგვისტოში გაემგზავრა.[225]

სანამ ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის დიდი ხელმწიფისადმი გაგზავნილ სიგელს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი გარემოების აღნიშვნა: ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ თეიმურაზ I-მა მოსკოვში თავისი ელჩები – მიტროპოლიტი გრიგოლი და აზნაური შერმაზანი მარკოზ თომაევის ელჩობას გააყოლა. ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი თ. ტივაძე წერს: „მარკოზ თომაევი და მისი თანმხლებნი რუსეთიდან მომავალ თეიმურაზ I-ს გზაში შეხვდნენ. კახეთის მეფემ მძიმედ განიცადა ლუარსაბ ბატონიშვილის გარდაცვალების ამბავი, რომელიც სარატოვში შეიტყო. თეიმურაზმა აღარ დააყოვნა და იმერეთის მეფის ელჩებთან ერთად თავისი დესპანებიც გაგზავნა მოსკოვში. მიტროპოლიტი გრიგოლი, აზნაური შერმაზანი და სხვები მარკოზ თომაევთან ერთად წარსდგნენ რუსეთის სამეფო კარზე და ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამოგზავნას შეევედრნენ".[226]

აღნიშნული აზრის გაჩენა, ალბათ, თეიმურაზ I-ის სიგელში არსებულმა ცნობამ განაპირობა, სადაც კახეთის მეფე რუსეთის დიდ ხელმწიფეს ატყობინებდა, იგივე სათხოვრის შემცველი სიგელით იმერეთიდანაც მოდის ელჩიო. მაგრამ აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი: 1) თეიმურაზ I-ის მიერ სარატოვიდან გაგზავნილი ელჩები მოსკოვში 1959 წლის სექტემბერში ჩავიდნენ

---

[224] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 2, л. 45.

[225] იმერეთიდან თერგის ციხე-ქალაქამდე ჩასვლას დაახლოებით ერთი თვე სჭირდებოდა.

[226] თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977, გვ. 85.

და 18 სექტემბერს ალექსი მიხეილის ძეს თავიანთი მეფის სიგელი მიართვეს; 2) იმერეთის მეფის ელჩობა მარკოზ თომაევის მეთაურობით თერგის ციხე-ქალაქში მხოლოდ 1659 წლის 5 სექტემბერს ჩავიდა, 1659-60 წლების ზამთარი სარატოვში გაატარა და მოსკოვისკენ 1660 წლის 7 თებერვალს გაისტუმრეს. სარატოვის ვოევოდა დანიელ ხიტროვოს მიერ დიდი ხელმწიფისადმი გაგზავნილი მოხსენებიდან: "В нынешнем, государь, во 168(1660)-м году, февраля в 3(7) день отпустил к тебе, великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичю – всеа Великия и Малыя и Белыя Росий самодержцу к Москве я, холоп твой, Меритинского царя Александра послов ево Марка Томаева с товарыщи".[227]

ამ გარემოებათა გამო, შეუძლებელი იყო თეიმურაზ I-ს თავისი წარგზავნილები მარკოზ თომაევის ელჩობისთვის გაეყოლებინა. მართალია, შესაძლებელია, 1659 წლის სექტემბერში სარატოვიდან გამოსულ და სამშობლოში მომავალ თეიმურაზს მართლაც შეხვედროდნენ გზაში იმერეთის მეფის ელჩები, მაგრამ ამ დროს მიტროპოლიტი გრიგოლი და აზნაური შერმაზანი უკვე მოსკოვში ჩასულები იქნებოდნენ და რუსეთის მეფისთვის თეიმურაზ I-ის სიგელიც გადაცემული ექნებოდათ.[228]

ჩვენი აზრით, კახეთის მეფემ აღნიშნული ფრაზა თავის წერილში შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ჩართო, რათა რუსეთის მეფისთვის ეჩვენებინა, რომ ალექსანდრე III-ეც ეთანხმებოდა მის აზრს ერეკლე ბატონიშვილის საქართველოს მეფედ დადგინების შესახებ. თეიმურაზ I დარწმუნებული იყო, რომ მისი სიძე და ერთგული თანამებრძოლი ახალ გეგმას გაიზიარებდა და მოსკოვში ელჩობას თავადაც გააგზავნიდა; ამიტომაც იგი არ მოერიდა ამგვარი „ტყუილის" თქმას და წინასწარ, ისე რომ ჯერ ალექსანდრემაც არ იცოდა, ალექსი მიხეილის ძეს აცნობა, იმერეთის მეფის ელჩიც იგივე სათხოვრით მოემგზავრება თქვენთანო.

ამრიგად, ახალი გეგმა თეიმურაზ I-ის მიერ იყო დასახული, რომელიც მისი განხორციელების შემთხვევაში წართმეული სამეფოს

---

[227] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 2, л. 52.

[228] იხ. გ. საითიძე, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წლები),ქართული დიპლომატია (წელიწდეული), 1996, №3, გვ. 256.

დაბრუნებას იმედოვნებდა. თუკი რუსეთის ხელმწიფე მოსკოვში აღზრდილ ბატონიშვილს დახმარებას აღმოუჩენდა და საქართველოში გაამეფებდა, ამას ირანის მხრიდან აუცილებლად საპასუხო რეაქცია მოჰყვებოდა და კონფლიქტი ორ დიდ ქვეყანას შორის გარდუვალი იქნებოდა. მაშასადამე, თეიმურაზ I-ს საქართველოში რუსეთისა და ირანის პოლიტიკური ინტერესების შეჯახება სურდა, რის შემდეგაც მისი მიზნების განხორციელებას რეალური საფუძველი შეექმნებოდა.

თეიმურაზ I ერეკლეზე იმიტომ ამყარებდა იმედებს, რომ კარგად ახსოვდა, თუ რა მძაფრი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია თავის დროზე ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებამ. რუსეთის ხელისუფლება ჯერ კიდევ 40-იანი წლების მიწურულიდან დაჟინებით თხოვდა კახეთის მეფეს შვილიშვილის გაგზავნას. ეს გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: 40-50-იანი წლების მიჯნაზე უაღრესად გამწვავდა რუსეთ-ირანის ურთიერთობა და მათ შორის რამდენიმე სასაზღვრო შეტაკებაც კი მოხდა ჩრდილო კავკასიაში. იმის გამო, რომ თეიმურაზ I თავისი სამეფოდან განდევნილი იყო, რუსეთმა ამიერკავკასიაში პოზიციების გასამყარებლად ახალი გზების ძიება დაიწყო. ირანის საწინააღმდეგო ასეთ დიპლომატიურ იარაღად მოსკოვში ერეკლე უფლისწული მიიჩნიეს.

თეიმურაზ I-მა, რომელიც ამ პოლიტიკური ნაბიჯის მეშვეობით რუსეთისგან სამხედრო დახმარების მიღებას ვარაუდობდა, 1652 წელს შვილიშვილი დიდი ამალითურთ მოსკოვში გაისტუმრა. ირანის მთავრობა შეაშფოთა ცნობამ ერეკლეს რუსეთში გაგზავნის შესახებ. „შაჰ აბას II-მ ქართველი ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრება ჩათვალა როგორც ამიერკავკასიაში მოსკოვის ჯარის გამოჩენის პერსპექტივა, ჯარისა, რომლის წინამძღოლადაც იქნებოდა ბატონიშვილი ერეკლე, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი და მისი პოლიტიკის განმგრძობი.“.[229]

აღნიშნული მიზეზის გამო, შაჰმა გადაწყვიტა გზები შეეკრა და არ დაეშვა ერეკლე დავითის ძის მოსკოვში ჩასვლა. ჩრდილო კავკასიაში უფლისწულის ამალაზე დიდი თავდასხმა მოეწყო, მაგრამ ერეკლემ ამალის გადარჩენილი ნაწილით მაინც ჩააღწია ასტრახანამდე, საიდანაც იგი მოსკოვში გაამგზავრეს.

---

[229] ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 192.

ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გაგზავნის ფაქტმა კულმინაციამდე აიყვანა რუსეთ-ირანს შორის არსებული დაძაბულობა, რაც 50-იანი წლების მთელ მანძილზე გაგრძელდა.[230] ამიტომ ფიქრობდა თეიმურაზ I, რომ რუსეთის მთავრობა დაინტერესებას გამოიჩენდა და ქმედით, რეალურ ნაბიჯებს გადადგამდა ერეკლე დავითის ძის საქართველოში გასამეფებლად.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მაც მიავლინა რუსეთში ელჩობა. მარკოზ თომაევი მხლებლებითურთ მოსკოვში 1660 წლის 24 მარტს ჩავიდა,[231] ხოლო ალექსი მიხეილის ძეს მიღებაზე იმავე წლის 12 აპრილს წარუდგა[232] და თავისი მბრძანებლის სიგელი გადასცა.[233]

ალექსანდრე III რუსეთის მეფეს ატყობინებდა, რომ მან ბოლო წლებში ივერიისა და იმერეთის ქვეყნები მისი ხელმწიფების ქვეშ მოაქცია, მაგრამ შემდეგ დიდი უბედურება დაატყდა თავს: უფლისწული ლუარსაბ დავითის ძე გარდაიცვალა, რომელსაც გასამეფებლად ზრდიდა; ახლა მემკვიდრე აღარავინ დარჩა მოსკოვში მცხოვრები ნიკოლოზ ბატონიშვილის გარდა; ამიტომ თხოვდა, რომ ნიკოლოზ დავითის ძე იმერეთის მეფედ დაედგინა; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთის სამეფოს მუსლიმები დაეპატრონებოდნენ ("Соверши, великий государь, наше прошение, услыши нашу печаль, вели, государь, отпустить, о чем у тебя, великого государя, милости прошу, царевича Николая Давыдовича. Что у меня детей нет, владеть некому, я тебе, великому государю, извещал и бил челом и милости у тебя, великого государя, просил, что в Меретинской земле после меня владеть некому. А здесь бояр своих после меня посадить неково, услышат

---

[230] იხ. თ. ტივაძე, საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII ს-ის 60-იან წლებში, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, წ. II, თბ., 1973, გვ. 31; მისივე, საქართველო და რუსეთ-ირანის..., გვ. 54; მისივე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990, გვ. 122-123.

[231] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1659, д. 2, л. 65.

[232] იქვე, лл. 98-99.

[233] აღნიშნული სიგელი იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1660, д. 1, лл. 1-13; გ. პაიჭაძე, რამდენიმე საბუთი..., გვ. 532-536.

бусурманы и придут войною и завладеют землю нашу, и погубят всю Иверскую и Меретинскую землю, и православных христян всех разорят"); ხოლო თუკი ინებებდა და ბატონიშვილს მეფედ დანიშნავდა, ეს მისთვისვე იქნებოდა ხელსაყრელი, რადგან "царевич Николай Давыдович вскормленик твой и при твоей, великого государя, милости взросл, и твои государевы службы знает, и твой, великого государя, холоп и отпущенник будет, и служить тебе, великому государю, станет во веки, как тебе, великому государю, угодно и по твоему, великого государя, указу утвердит Иверскую и Меретинскую землю";[234] აცნობებდა, რომ მის სათხოვარს ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა იმერეთის სამეფოს მთელი მოსახლეობა; წერილის ბოლოს ატყობინებდა, რომ თეიმურაზ I-ის მოსკოვში ყოფნის დროს მას მრავალრიცხოვანი ჯარით თავს დაესხა 5 თურქი ფაშა, რომელთაც ბევრი ყიზილბაშიც ახლდა თან; მტერს იმერეთის სამეფოს დაპყრობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მან სასტიკად დაამარცხა მომხვდურნი და ერთი კაციც არ გაუშვა ცოცხალი.[235]

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-ის სიგელები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ალექსანდრე რუსეთის მეფეს ერეკლე ბატონიშვილის გამეფებას უშუალოდ თავის სამეფოში სთავაზობდა, ე. ი. იმერეთის თემა წინა პლანზე თავად ალექსანდრე III-მ წამოსწია. ამას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა: 1) მართალია, ალექსანდრეს ჰყავდა ვაჟი – ბაგრატი, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით მისი გამეფება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. წლების მანძილზე გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში ნაცხოვრებ ბაგრატს იქ თავისი მომხრეები ეყოლებოდა, რომელთა გაძლიერება სასურველი არ იყო. ამიტომაც, დადიანის ტყვეობიდან გათავისუფლების მიუხედავად, ალექსანდრე III-ს იმერეთის სამეფო ტახტზე მეუღლის ძმისწულის, კახელი ბაგრატიონების წარმომადგენლის

---

[234] იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1660, д. 1, л. 10; გ. პაიჭაძე, რამდენიმე საბუთი..., გვ. 535.

[235] როგორც ჩანს,აქ ალექსანდრე III მფარველს ბანძის ბრძოლის პერიპეტიებს უნდა ატყობინებდეს, ოღონდ „ოდნავ" გაზვიადებულ ფორმებში.

აყვანა ერჩივნა;[236] 2) იმერეთის სამეფო (თუშ-ფშავ-ხევსურეთთან ერთად) საქართველოს ტერიტორიაზე თეიმურაზ I-ის სამოქმედო პლაცდარმი იყო. თუ რუსეთის ხელმწიფე ერეკლეს იმერეთის მეფედ დანიშნავდა და სამხედრო ძალით შემწეობას აღმოუჩენდა, მას თეიმურაზისა და ალექსანდრეს დახმარებით მტრების განდევნა აღმოსავლეთ საქართველოდანაც შეეძლო. „რუსეთის მეფის კანდიდატი უნდა გამხდარიყო გაერთიანებული საქართველოს მეფე — აი, ალექსანდრე III-ისა და თეიმურაზ I-ის ახალი პოლიტიკური პროგრამის შინაარსი";[237] 3) და რაც მთავარია — ოსმალეთის მხრიდან მზარდი პოლიტიკური დაწოლა და კარს მომდგარი რეალური საფრთხე. მეჰმედ ქოფრულუ ფაშას მიერ „შემოთავაზებული" სამი თანასწორუფლებიანი ერთეულის არსებობის ვარიანტი ალექსანდრე III-თვის მიუღებელი იყო. „ოსმალეთის ამ განზრახვას უნდა გაეძლიერებინა რუსეთთან იმერეთის დაახლოების მისწრაფება, რასთანაც იმერეთის მეფის ძალაუფლების განმტკიცებაც იყო დაკავშირებული".[238]

ალექსანდრე III უფრო შორსაც იხედებოდა — თუკი რუსეთის მეფის ბრძანებით და ხელშეწყობით მოსკოვში აღზრდილი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი — ერეკლე ბატონიშვილი (ოფიციალურად ირანის ვასალი) იმერეთის სამეფოში (ოსმალეთის „ტერიტორიაზე") გამეფდებოდა, ამას რუსეთ-ირან-ოსმალეთის ინტერესების დაპირისპირება უნდა გამოეწვია: ბრწყინვალე პორტა ირანის ხელისუფლებას მისი ყმის ოსმალეთის „კუთვნილი" ქვეყნიდან მოცილებას მოსთხოვდა; რადგან ირანი დაინტერესებული იყო 1639 წლის ზოჰაბის ზავისა და ოსმალეთთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებით,[239] თავის მხრივ, იგივე მოთხოვნას რუსეთის მთავრობას წაუყენებდა.

---

[236] იხ. თ. ტივაძე, იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის..., გვ. 358; მისივე, საქართველო და რუსეთ-ირანის..., გვ. 85.

[237] დ. კაჭარავა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს-ის 50-იან წლებში, მაცნე, 1968, №1, გვ. 125.

[238] ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის..., გვ. 116.

[239] როგორც ცნობილია, 1639 წლის ზოჰაბის ზავის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო ირანს, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთს „ეკუთვნოდა". აგრესორები შეთანხმების ამ მუხლს მტკიცედ იცავდნენ და ცდილობდნენ, არ დაეშვათ მეორე მხარის გავლენის გაძლიერება ხელშეკრულებით მინიჭებულ ტერიტორიებზე. მაგალითისათვის, როცა ირანის ვასალმა, ქართლის შეფე (ვალიმ)

თუკი მოსკოვი თავის კანდიდატის დასაცავად ხმას აღიმაღლებდა, მაშინ ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელი გახდებოდა. მაშასადამე, ალექსანდრე III, ერეკლეს სწორედ იმერეთის მეფედ დადგინებით, სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესების შეჯახებას ისახავდა მიზნად, რასაც, მისი აზრით, ოსმალეთის აგრესიისა და დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევისთვის ფრთები უნდა შეეკვეცა.

ამრიგად, თეიმურაზ I-მა და ალექსანდრე III-მ ყველაფერი გააკეთეს საქართველოში ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ინტერესების ხელოვნური დაპირისპირებისთვის, მაგრამ მათ ერთი (ალბათ, უმთავრესი) ფაქტორი ვერ გაითვალისწინეს — თავად დიდი სახელმწიფოების ერთმანეთთან დამოკიდებულება, რომელთა პოლიტიკა მუდამ ემყარებოდა და ემყარება იმ ძირითად აზრს, რომ ისინი ურთიერთობას არასდროს არ გაამწვავებენ პატარა ქვეყნების გამო, თუ იქ მათი ინტერესები უშუალოდ და, რაც მთავარია, მძლავრად არ შეეჯახება ერთმანეთს.

ქართველმა მეფეებმა დიპლომატიური გათვლები „საკუთარი სარკმლიდან" მოახდინეს და მხედველობიდან გამორჩათ, რომ დიდი ქვეყნები ომს მხოლოდ მაშინ იწყებენ, როცა ამას მათი სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფო ინტერესები ამიერკავკასიაში ისე მძლავრად არ ეჯახებოდა, რომ მათ იქ არსებული ქვეყნების გამო ერთმანეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა გაეჩაღებინათ: ირანსა და ოსმალეთს 1639 წლის ზოჰაბის ზავით უკვე დანაწი-

---

ვახტანგ V შაჰნავაზმა 1661 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე თავისი ვაჟი — არჩილი აიყვანა, ოსმალეთის ხელისუფლებამ აღნიშნული ფაქტი ირანის მხრიდან იმპერიის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნია და კატეგორიულად მოსთხოვა შაჰს (და არა ვახტანგ V-ს) არჩილის უკან გაწვევა. შაჰ-აბას II ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა და მისი ბრძანებით ვახტანგ V-მ არჩილი ქართლში წაიყვანა. ამრიგად, ოსმალეთმა, 1639 წლის ზავის პირობების გამოყენებით, არ დაუშვა ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელება დასავლეთ საქართველოზე — იხ. ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 376; დ. კაჭარავა, ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, წ. I, თბ., 1970, გვ. 130-131.

ლებული და დამტკიცებული ჰქონდათ ის ტერიტორიები, რომელთა დასაპყრობადაც ისინი XVI-XVII სს-ში, თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში, გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ. იმ დროს შაჰი და სულთანი არსებული ვითარებით კმაყოფილდებოდნენ და მათი პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ ამაზე შორს არ მიდიოდა.

რაც შეეხება რუსეთს, მას, როგორც აღვნიშნეთ, XVII ს-ის შუა ხანებში სხვა, უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი (ომი პოლონეთთან მის მიერ საუკუნის დასაწყისში ოკუპირებული რუსული მიწების დასაბრუნებლად, რასაც 1654 წლიდან უკრაინა-ბელორუსიისთვის ბრძოლაც დაემატა; ბრძოლა შვეციასთან ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის; ოსმალეთისა და ყირიმის ხანის განუწყვეტელი შემოსევების მოგერიება, რომლებიც რუსეთის ცენტრალურ და განაპირა რაიონებს ესხმოდნენ თავს და აოხრებდნენ), და, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიაში ფართო დაპყრობით გეგმებს ისახავდა მიზნად, მაშინ აქ მიმდინარე პროცესებში სამხედრო ძალით ჩარევა არ შეეძლო, პირიქით, სახელმწიფო ინტერესები სულ უფრო და უფრო მკაცრად კარნახობდა ირანთან 50-იანი წლების დასაწყისში გამწვავებული ურთიერთობის გაუმჯობესებას და დარღვეული სავაჭრო-დიპლომატიური კავშირების სასწრაფოდ აღდგენას;[240] ხოლო ოსმალეთის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონებისათვის მხოლოდ მას შემდეგ შეძლებდა, რაც უკრაინაში, დონსა და ჩრდილო კავკასიაში ფეხს მოიმაგრებდა, პოზიციებს განიმტკიცებდა და ბრწყინვალე პორტასთან მიმართებაში თავდაცვითიდან შემტევი პოლიტიკის წარმოებაზე გადავიდოდა. სანამ ეს ჟამი არ დადგებოდა, რუსეთი ამიერკავკასიაში დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოების სრულფასოვანი კონკურენტი ვერ გახდებოდა და იძულებული იქნებოდა, მათთვის მუდამ ანგარიში გაეწია.

აღნიშნული მიზეზების გამო, რუსეთმა ვერც ამჯერად გამოიჩინა აქტიურობა, აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „საქართველოს გამაერთიანებლისა და მისი ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ დამმრაზმველის როლში ვერ გამოვიდა“.[241]

---

[240] იხ. თ. ტივაძე, იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის..., გვ. 359.

[241] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 150.

1660 წლის 8 მაისს ალექსი მიხეილის ძემ მიტროპოლიტი გრიგოლი და მარკოზ თომაევი გამოსათხოვარ მიღებაზე მიიწვია, რომელზეც მათ რუსეთის დიდი ხელმწიფის საპასუხო სიგელები გადაეცათ თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-სადმი. ალექსი მიხეილის ძე ქართველ მეფეებს აძცნობდა, რომ შეიწყნარა მათი გულმხურვალე თხოვნა და ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე საქართველოში გამოისტუმრა; მოუწოდებდა, კვლავაც რუსეთის მეფის ერთგულნი ყოფილიყვნენ; სამაგიეროდ, ჰპირდებოდა, რომ წყალობასა და მფარველობას არ მოაკლებდა: "Мы, великий государь, наше царское величество, пожаловали вас, подданных наших – тебя, Александра царя Георгиевича, и грузинсково царя Теймураза Давыдовича, по вашему челобитью грузинского царевича Миколая Давыдовича с матерью ево – с царицею Еленою Левонтьевною, пожалован их нашим государским многим жалованьем, с Москвы отпустили со всякою честью, и в городех бояром нашим и воеводам указали отпускати со всякою ж учтивостью без задержанья, и нашим ратным людем проводить их велели. И вам бы... помня бога и свое верное обещанье, и видя к себе наше царское премногое милость и жалованье, в нашей благочестивой единой истинной православной християнской вере стояти крепко и неподвижно и нам, великому государю, и сыну нашего царского величества, благоверному царевичю и великому князю Алексею Алексеевичю, и нашим государским наследником, и впредь будущим великим государем, царем и великим князем росийским, со всею Меретинскою землею самому повек живота своего служити и добра всякого хотети и быти в подданстве по-прежнему, и грузинскому царевичю Миколаю Давыдовичю приказати, чтоб он, помня бога и свое верное обещанье, и нашу государскую к себе премногую милость и жалованье, потому ж в нашей единой благочестивой истинной православной християнской вере стоял крепко и неподвижно и нам, великому государю, и сыну нашего царского величества, благоверному царевичю и великому

князю Алексею Алексеевичю, и нашим государским наследником и впредь будущим великим государем, царем и великим князем росийским служил и всякого добра хотел и был в подданстве у нас, великих государей, со всем своим владеньем навеки неотступно".[242]

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ძალით საქართველოს საქმეებში ჩარევისგან თავი შეიკავა, მოსკოვმა მაინც სასარგებლოდ სცნო ბატონიშვილის გამოშვება. თუ იგი ალექსანდრეს შემდეგ სამეფო ტახტს დაიკავებდა, ამით რუსეთი არაფერს დაკარგავდა, პირიქით, ერეკლეს სახით იმერეთში ერთგული მოკავშირე ეყოლებოდა.[243]

თეიმურაზ I და ალექსანდრე III თავად უნდა ცდილიყვნენ ერეკლეს საქართველოს რომელიმე კუთხეში გამეფებას. ისინი, ალბათ, ასეც მოიქცეოდნენ და მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ, მაგრამ მათი განზრახვა 1660 წლის 1 მარტს ალექსანდრე III-ის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ჩაშალა,[244] რის შემდეგაც სამეფო ტახტი მისმა ვაჟმა — ბაგრატმა დაიკავა.

ერეკლე ბატონიშვილს იმერეთში უკვე აღარ ჩამოესვლებოდა. მან თუშების დახმარებით კახეთში გამეფება სცადა, მაგრამ ქართლის მეფე ვახტანგ V-თან ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა, თავი კვლავ მოსკოვისთვის შეეფარებინა.

ერთგული თანამებრძოლის — ალექსანდრე III-ის სიკვდილმა „გაუტეხელი თეიმურაზიც გატეხა, სასოწარკვეთილმა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და ბერად აღიკვეცა“,[245] მაგრამ 1660 წლის ზაფხულში იგი ვახტანგ V-მ იმერეთში ლაშქრობის დროს შეიპყრო და ირანის შაჰს გაუგზავნა; ამ უკანასკნელმა მოხუცი მეფე ასტრაბადის ციხეში ჩასვა, სადაც 1663 წელს კიდევაც გარდაიცვალა, ისე, რომ თან ჩაიტანა საფლავში წუხილი განუხორციელებელ ოცნებებსა და საქართველოს მომავალზე.

---

[242] ЦГАДА, ф. 100, оп. 1, г. 1660, д. 2, лл. 17-21.

[243] იხ. დ. კაჭარავა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის..., გვ. 125.

[244] 1660 წლის მაისში, როცა სელჩო პრიკაზის მოხელეებმა რუსეთის დიდი ხელმწიფის საპასუხო სიგელი შეადგინეს, მოსკოვში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ალექსანდრე III უკვე 2 თვის გარდაცვლილი იყო.

[245] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 328.

ლევან II დადიანმა დასავლეთ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება ვერ მოახერხა, რადგან აქ „ამ დროს იგივე სათავადოების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა იყო, რომელმაც მთელი საქართველოს პოლიტიკური დაშლა გამოიწვია. და სანამ ეს სისტემა ბატონობდა, ქვეყნის პოლიტიკურად მტკიცე გაერთიანების ყველა ცდას საბოლოო მარცხი მოელოდა“;[246] სამაგიეროდ, განუწყვეტელი თავდასხმებით იმერეთის სამეფო დაასუსტა, რაც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ოსმალეთის იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. 50-იანი წლების ბოლოს მხოლოდ ალექსანდრე III-ის პირადი გავლენა და ავტორიტეტი არ აძლევდა ქვეყანას შინაარეულობის მორევში გადაშვებისა და შთანთქმის საშუალებას.[247] მისი გარდაცვალებისა და იმერეთის სამეფო ტახტზე სუსტი მმართველის — ბაგრატ IV-ის (1660-1681 წწ.) ასვლის შემდეგ კი მთელ დასავლეთ საქართველოში დაიწყო „ზედიზედ განუწყვეტლივ მოშხდარი არევ-დარევა და აშლილობა..., რომლისგანაც თანდათან სრულიად დაირღვა ხალხის

---

[246] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 273.

[247] ალექსანდრე III-ის პირადი გავლენისა და ავტორიტეტის გარდა იმერეთის სამეფოზე კიდევ ერთი ფაქტორი ახდენდა დადებით გავლენას: მართალია, რუსეთს ალექსანდრესთვის რეალური სამხედრო დახმარება არ აღმოუჩენია და მხოლოდ დაპირებებით კვებავდა, მის მფარველობაში ყოფნას გარკვეული პოზიტიური შედეგები მაინც მოჰქონდა. ამის დასტურია 60-იან წლებში ალექსანდრე III-ის მემკვიდრის, იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის (1660-1681 წწ.) არაერთგზისი თხოვნა რუსეთის ხელმწიფისადმი ახალი სამეფო ბეჭდისა და წყალობის სიგელის გამოგზავნის თაობაზე და მოტივები, რომლებითაც იგი რუსეთის ხელისუფლებას მათი გამოგზავნის აუცილებლობას უსაბუთებდა.

1667 წელს ალექსი მიხეილის ძისადმი მიმართულ სიგელში ბაგრატ IV აღნიშნავდა, რომ 1653 წელს ელჩ ლომკაც ჯაფარიძის ხელით მამამისის — ალექსანდრე III-თვის გამოგზავნილი სამეფო ბეჭედი და წყალობის სიგელი ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ არეულ დროში დაიკარგა — იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 1, г. 1667, д. 3, л. 5 — და თხოვდა: „ბედნიერის ხელმწიფისაგან მამაჩემს რაც გაჩენილი წყალობა ჰქონდა და ჩვენთვისაც წყალობა უბრძანებია და მაგათი დიდის ხელმწიფობის ბეჭედი და წყალობა გვიბოძოს“ (ЦГАДА, ф. 110, оп. 2, г. 1669, л. 12, л. 1).

დაწესებულებათა ძალ-ღონე",[248] დაეცა ეკონომიკა, რასაც შედეგად ოსმალთა ბატონობის გაძლიერება მოჰყვა. ეს გამოიხატა მათ მიერ 1669 წელს ქუთაისის ციხის დაპყრობასა და იქ გარნიზონის ჩაყენებაში.[249] მტერმა ქვეყნის შუაგულში შედარებით მტკიცედ მოიკიდა ფეხი და „თუ ამას შედეგად ოსმალთა ხელისუფლების დამყარება და ქვეყნის გამაჰმადიანება არ მოჰყვა, როგორც ეს სამცხე-საათაბაგოში მოხდა, ამის მიზეზი აგრესორის დასუსტება უფრო იყო („ქოფრულუს პერიოდის" დასრულების შემდეგ ოსმალეთი კვლავ ხანგრძლივმა კრიზისმა მოიცვა — გ. ს.), ვიდრე დასავლეთ საქართველოს.... საზოგადოების თავდაცვისუნარიანობა".[250]

ამრიგად, თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-ის პოლიტიკამ საშინაო და საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო, მარცხი განიცადა, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამორიცხავს საკითხის შესწავლის აუცილებლობას, პირიქით, საჭიროა წარუმატებლობის მიზეზების ახსნა. წარმატებაცა და წარუმატებლობაც ისტორიაა და მკვლევარის მხრიდან მეტად სერიოზულ და ყურადღებიან მიდგომას საჭიროებს.

1669 წელს გაგზავნილ სიგელში იმერეთის მეფე თავის თხოვნას იმეორებდა, რომლის ნამდვილი მიზეზის გასარკვევად რუსეთის საელჩო პრიკაზში დაკითხულ იქნა მისი ელჩი დიმიტრი ეზეკეილევი, რომელმაც განაცხადა: 1653 წელს მფარველობაში აყვანის ნიშნად რუსეთის ხელმწიფემ ალექსანდრე III-ს ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი (რუსეთის სამეფო ნიშანი) ოქროს ბეჭედი გაუგზავნა, რომლითაც შემდგომში ალექსანდრე თავის სიგელებს ამტკიცებდა. როცა მტრები იგებდნენ იმერეთის სამეფოს რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში ყოფნის შესახებ, ალექსანდრეს სიკვდილამდე იმერეთზე თავდასხმას ვერ ბედავდნენ. ამიტომაც ბაგრატ IV ალექსი მიხეილის ძეს თხოვდა, მფარველობის ქვეშ ისიც მიეღო და ისეთივე ბეჭედი გაეგზავნა, რათა სხვა სახელმწიფოთა მეთაურებს იმერეთის მეფის რიდი და შიში ჰქონოდათ (იხ. ЦГАДА, ф. 110, оп. 2, г. 1669, л. 12, лл. 4-5). რასაკვირველია, ეს მსჯელობა გადაჭარბებულია, მაგრამ მასში სიმართლის დიდი მარცვალი უნდა იდოს — გ. ს.).

[248] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, თბ., 1900, გვ. 199.

[249] ქუთაისის ციხიდან ოსმალთა განდევნა მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, მეფე სოლომონ I-ის დროს მოხერხდა.

[250] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 275; იხ. აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 341.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენს ნაშრომში ძირითადი ყურადღება ორ საკითხს დაეთმო: 1) დიდ სახელმწიფოთა (ირანის, თურქეთის, რუსეთის) ურთიერთობას XVI-XVII სს-ში და 2) მასში საქართველოს როლის განსაზღვრას. მრავალრიცხოვან წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რა მიზნებს ისახავდნენ ჩვენი ქვეყნის მეზობელი „გიგანტები" — ირანი, ოსმალეთი და რუსეთი თავიანთი საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს, რა გავლენას ახდენდა თითოეული მათგანის დიპლომატიაზე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და როგორ ცდილობდნენ ისინი არსებული პოლიტიკური სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. სამივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს ძალადობა და დაპყრობითი ომები წარმოადგენდა, რაც ნათლად აისახებოდა კავკასიის ხალხების მიმართ მათ დამოკიდებულებაშიც. ირანიც, ოსმალეთიც და რუსეთიც ცდილობდნენ სტრატეგიულად ამ მეტად მნიშვნელოვან რეგიონში გაბატონებას, მაგრამ მიზნის მისაღწევად ყველას ერთნაირი გზა როდი ჰქონდა არჩეული: ირანი და ოსმალეთი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ებრძოდნენ ერთმანეთს კავკასიაში პირველობის მოსაპოვებლად, რუსეთი კი მოცდისა და ხელსაყრელი სიტუაციის დადგომის ლოდინის პოლიტიკას ატარებდა — იგი ნელ-ნელა, თანდათანობით იკიდებდა ფეხს კავკასიონის ქედს გადმოღმა.

XVI ს-ის შუა ხანებში ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის შემდეგ რუსეთი უშუალოდ დაუმეზობლდა ირან-ოსმალეთის სამფლობელოებს აღნიშნულ რეგიონში. მისმა მოახლოებამ საქართველოს სამეფო-სამთავროების მესვეურებს მაჰმადიანური გარემოცვიდან თავის დაღწევის იმედი ჩაუსახა, რამაც მოსკოვთან კავშირის დამყარებისადმი მათი მისწრაფება გამოიწვია; თავის მხრივ, რუსეთიც დაინტერესებული იყო ამიერკავკასიაში მოკავშირეების გაჩენით, მისი კავკასიური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საქართველოს სამეფო-სამთავროებთან დაკავშირება წარმოადგენდა, რათა პლაცდარმი შეექმნა მომავალი, უფრო ხელსაყრელი პერიოდისათვის, როდესაც უკვე აქტიური, უშუალოდ დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებაზე გადავიდოდა და რეალურ მეტოქეობას გაუწევდა ირანსა და ოსმალეთს.

XVII ს-ში რუსეთის ამიერკავკასიური პოლიტიკის ქვაკუთხედი აქ მოსახლე ხალხებში ირან-ოსმალეთის გავლენის შეძლების-

დაგვარად შესუსტება და საკუთარი პოზიციების განმტკიცება იყო; უფრო შორს მოსკოვის ხელისუფლება არ მიდიოდა, რადგან ამ პერიოდში მას სხვა დიდი, სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანები ჰქონდა გადასაწყვეტი: 1) დასავლეთში რუსული, უკრაინული და ბელორუსული მიწების შემოერთება და ქვეყნის კონსოლიდაცია, რაც პოლონეთის სამეფოსთან აპირისპირებდა; 2) ბრძოლა შვეციის წინააღმდეგ ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის; 3) სახელმწიფოს ცენტრალურ და განაპირა რაიონებზე ოსმალეთისა და მისი ვასალის — ყირიმის ხანის განუწყვეტელი შემოსევების მოგერიება.

გარდა ამისა, რუსეთის ამიერკავკასიურ პოლიტიკას თავისებურ ელფერს აძლევდა მისი მეგობრული ურთიერთობა ირანთან, რაც განპირობებული იყო როგორც ეკონომიკური (საგარეო ვაჭრობას ორივე ქვეყნის ბიუჯეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა), ასევე პოლიტიკური (საერთო მტრის — ოსმალეთის არსებობა) ფაქტორებით. აქედან გამომდინარე, დასახული ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლას რუსეთი მხოლოდ რამდენიმე ძირითადი პრობლემის გადაჭრის, კერძოდ, დასავლეთში განმტკიცების, ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისა და ყირიმის ხანის ფაქტორის გაუვნებელყოფის, გარდა ამისა, ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან უფრო მჭიდრო კავშირის, რეგულარული ჯარების კონტინგენტის გაზრდისა და რუსეთის სამხრეთ რაიონებსა და ჩრდილო კავკასიას შორის მდებარე მიწების კოლონიზაცია-ათვისების შემდეგ შეძლებდა.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტამდე კი, როგორც ვთქვით, რუსეთი ცდილობდა კავკასიის პოლიტიკური ერთეულების, მათ შორის საქართველოს სამეფო-სამთავროების, თავის გავლენის ქვეშ მოქცევით შეექმნა პლაცდარმი მომავალი, უფრო ხელსაყრელი პერიოდისათვის, რასაც ადგილობრივ ხალხებში ირან-ოსმალეთის პოზიციების შესუსტება უნდა უზრუნველეყო.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ XVI ს-ში გადაიდგა, როცა რუსეთისა და კახეთის სამეფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ეს კავშირი სხვადასხვა ინტენსივობით XVII საუკუნეშიც გრძელდებოდა და თანდათანობით, მასში საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებსაც რთავდა, კერძოდ, 50-იანი წლების დამდეგს რუსეთის მფარველობის ქვეშ იმერეთის სამეფოც მოექცა...

1648 წელს როსტომ ქართლის მეფის მიერ განდევნილმა კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა თავი იმერეთს შეაფარა, სადაც მისი სიძე და მოკავშირე – ალექსანდრე III მეფობდა. თეიმურაზ I-მა ჯერ კიდევ 1639 წელს დადო ფიცი რუსეთის დიდი ხელმწიფის ერთგულებაზე. მისი რჩევით, რუსეთს ოსმალეთის ვასალი ალექსანდრე III-ც დაუკავშირდა, რომლის უმთავრეს ამოცანას სამეგრელოს მთავრის – ლევან II დადიანის იმერეთის სამეფოზე გამანადგურებელი ლაშქრობების ალაგმვა წარმოადგენდა. მოსკოვში დიდი ინტერესით შეხვდნენ ალექსანდრე III-ის თხოვნას იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების შესახებ. ამ დაინტერესებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა: 1) 40-იანი წლების ბოლოს რუსეთს გაუმწვავდა ურთიერთობა ოსმალეთთან, რასაც 1651 წელს მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა მოჰყვა; 2) ოსმალეთის იმპერიის შიგნით უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი; 3) თეიმურაზ I-ის კახეთიდან განდევნის შემდეგ იმერეთის სამეფო ამიერკავკასიაში რუსეთის ერთადერთ დასაყრდენად რჩებოდა. ჩამოთვლილ მიზეზთა გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს XVII ს-ში მოსკოვის ხელისუფლების ამიერკავკასიური პოლიტიკის ზოგადი მიმართულება, რომელიც ამ რეგიონში ოსმალეთის პოზიციების შესუსტებას ისახავდა მიზნად.

ოსმალეთის მთავრობა „მშვიდად“ შეხვდა მისი ვასალის – იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლას, რასაც ასევე რამდენიმე მიზეზი განსაზღვრავდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს იმპერიის შიგნით უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი, ამის გამო ბრწყინვალე პორტას დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში უშუალო ჩარევის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამიტომ მან აქ პოლიტიკური დაქსაქსულობის შენარჩუნება დაისახა მიზნად და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მთავრების პარტიკულარიზმის გაღრმავებას, იმერეთის მეფესთან მათ დაპირისპირებას. ოსმალეთის მთავრობამ იცოდა, რომ ალექსანდრე III რუსეთის მეფეს ლევან II დადიანის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოქომაგებას სთხოვდა. თუკი მოსკოვი იმერეთის მეფის თხოვნას დააკმაყოფილებდა, ამით იგი დიდ სარგებელს ნახავდა, რადგან დადიანი დასუსტდებოდა.

გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ოსმალეთის მთავრობა შედარებით მშვიდად შეხვდა იმერეთსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. იგი

არ მიიჩნევდა რუსეთს კავკასიის რეგიონში სახიფათო მეტოქედ, იცნობდა მის რეალურ ძალასა და გავლენას იმ პერიოდის მახლობელ აღმოსავლეთსა და, კერძოდ, ამიერკავკასიაში. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება — ისტორიული პერსპექტივის ფაქტორი. ოსმალეთმა ამ თვალსაზრისით ბევრი რამ დაკარგა, როცა რუსეთს მის „ყმადნაფიც“ ქვეყანასთან კავშირის დამყარების საშუალება მისცა. იმპერიის მესვეურები ცდებოდნენ, როცა რუსეთის მცირეოდენი აქტიურობის გამოვლენასაც კი სერიოზულ რეაგირებას არ უკეთებდნენ. რუსეთმა ოსმალეთის „ტერიტორიაზე“ შეჭრა და მის ვასალურ ქრისტიანულ სამეფოსთან დაკავშირება მოახერხა, რაც მას ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული იმერეთ-რუსეთის 1651 წლის პოლიტიკური აქტი.

1657 წლამდე ალექსანდრე III-ის მთავარი სათხოვარი რუსეთის მეფისადმი კვლავინდებურად ლევან II დადიანის წინააღმდეგ ბრძოლაში დონელი კაზაკებით გამოქომაგება იყო. 1657 წელს კი სამეგრელოს მთავარი გარდაიცვალა. ალექსანდრე III-მ ილაშქრა ოდიშს და იქ თავისთვის სასურველი პიროვნება, ლევან II დადიანის გერი — ვამიყი გაამთავრა. დღის წესრიგიდან მოიხსნა დონელი კაზაკების სამეგრელოში სალაშქროდ გამოგზავნის საჭიროება. მაგრამ ამ დროს იმერეთს ოსმალეთის იმპერიის მხრიდან უდიდესი საშიშროება შეექმნა, მას შემდეგ, რაც 1656 წელს მისი დიდი ვეზირი 75 წლის მეჰმედ ქოფრულუ ფაშა გახდა. ამ უკანასკნელმა რეფორმები გაატარა და ენერგიული ღონისძიებებით ქვეყნის ძველი ძლიერება აღადგინა.

1654 წელს უკრაინის შეერთებით რუსეთი შავ ზღვას მიუახლოვდა, რამაც ოსმალეთის იმპერიაში დიდი შეშფოთება გამოიწვია. მისი მმართველი წრეები შიშობდნენ, რომ ამის შემდეგ რუსეთი გააძლიერებდა დახმარებას დასავლეთ საქართველოსადმი. ამიტომ მეჰმედ ქოფრულუ ფაშამ გადაწყვიტა იქაც განემტკიცებინა ოსმალეთის გავლენა. მან წერილი გაუგზავნა ალექსანდრე III-ს, რომელშიც გაკიცხა იგი დადიანისა და გურიელის სულთანის ნებართვის გარეშე, საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ დანიშვნის გამო. დიდი ვეზირი იმერეთის მეფეს „ურჩევდა“, ამიერიდან მხოლოდ სულთნის უზენაესი ბრძანებების მორჩილი ყოფილიყო.

მეჰმედ ქოფრულუ ფაშას მოთხოვნების შესრულებისა და განხორციელების შემთხვევაში იმერეთის სამეფო კარგავდა ძლივს დაბრუნებულ ჰეგემონობას დასავლეთ საქართველოში.

ამას ისიც დაემატა, რომ მოსკოვიდან ხელცარიელი გამობრუნდა თეიმურაზ I, რომელიც 1658 წლის ივლის-აგვისტოში პირადად აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებას რუსეთის მეფესა და დიდებულებთან მისთვის სამხედრო ძალით დახმარების აღმოჩენის თაობაზე. მაშინ თეიმურაზმა და ალექსანდრემ საქართველოთი რუსეთის დაინტერესების ახალი გეგმა შეიმუშავეს — მათ ალექსი მიხეილის ძეს სთხოვეს, იმერეთის მეფედ დაესვა მასთან 1652 წლიდან მყოფი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე დავითის ძე. თუკი რუსეთის მეფის ბრძანებითა და ხელშეწყობით მოსკოვში აღზრდილი ერეკლე ბატონიშვილი (ოფიციალურად ირანის ვასალი) იმერეთის სამეფოში (ოსმალეთის „ტერიტორიაზე") გამეფდებოდა, ეს რუსეთ-ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ინტერესების დაპირისპირებას გამოიწვევდა და სამ ბუმბერაზს შორის კონფლიქტის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო რუსეთმა ვერც ამჯერად გამოიჩინა აქტიურობა, პირიქით, სახელმწიფო ინტერესები მას სულ უფრო და უფრო მკაცრად კარნახობდა ირანსა და ოსმალეთთან დარღვეული სავაჭრო-დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას. დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა ყოველთვის ემყარებოდა და ემყარება იმ ძირითად აზრს, რომ ისინი ურთიერთობას არასდროს არ გაამწვავებენ პატარა ქვეყნების გამო, თუ იქ მათი ინტერესები უშუალოდ და მძლავრად არ შეეჯახება ერთმანეთს.

ამრიგად, თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-ის ორიენტაცია რუსეთზე უშედეგო გამოდგა, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს საკითხის შესწავლის აუცილებლობას — ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის, მისი დიპლომატიის ისტორია.

ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროს რუსეთთან ურთიერთობის შესწავლას აღნიშნულ პერიოდში, რამეთუ ვთვლით, რომ ამის გაკეთება მომავლის საქმეა, როცა ჯეროვნად დამუშავდება რუსეთის, თურქეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების არქივები და მკვლევართ მასალები ექნებათ საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და, რაც მთავარია, განზოგადებისათვის.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

I. წყაროები

1. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა"), რუსული ტექსტი ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969.
2. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. IV, თბ., 1973.
4. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.
5. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.
6. კაკაბაძე ს., ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925.
7. ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თარგმნა ა. ჭყონიამ, თბ., 1938.
8. მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა, თბ., 1976.
9. ნაიმა მუსტაფა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979.
10. პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658 წწ.), საისტორიო მოამბე, ტ. 19-20, თბ., 1965.
11. პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), საისტორიო მოამბე, ტ. 23-24, თბ., 1970.
12. პაიჭაძე გ., რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVII ს-ის II ნახევარში, საისტორიო მოამბე, ტ. 27-28, თბ., 1973.
13. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970.
14. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. II, თბ., 1959.
15. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

16. ცინცაძე ი., ტოლოჩანოვისა და იეკლეევის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ საკითხისათვის, თსუ-ს შრომები, ტ. 30ბ., თბ., 1947.
17. ЦГАДА, ф. 110. Сношения России с Грузией.
ф. 89. Сношения России с Турцией.
18. Белокуров С., Посольство дьяка Федота Елчипа и св. Павла Захарьева в Дадиянскую землю 1639-1640 гг., Чоидр., вып. II, 1887.
19. Броссе М., Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 года по 1770 год, СПБ, 1861.
20. Полиевктов М., Посольство столпика Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию в 1650-1652 гг., Тифлис, 1926.
21. Полиевктов М., Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640-1643 гг., Тифлис, 1928.
22. Полиевктов М., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640 гг., Тб., 1937.

II. ლიტერატურა

23. ალექსიძე ლ., საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII სს-ში, თბ., 1983.
24. ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990.
25. ასათიანი ნ., მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973.
26. ასათიანი ნ., გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ (რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე), თბ., 1983.
27. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965.
28. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.
29. ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. II, თბ., 1900.
30. გასვიანი გ., დასაველეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX სს.), თბ., 1988.
31. გრიგოლია კ., ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942.
32. კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922.
33. კაჭარავა დ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს-ის 50-იან წლებში, მაცნე, თბ., 1968, №1.

34. კაჭარავა დ., ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1970.
35. მაჭარაძე ვ., ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებებისა მოსკოვში 1658 წელს, თსუ-ს შრომები, 1965, №113.
36. ნაკაშიძე ნ., საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის პერიოდიზაციის საკითხისათვის, მაცნე, თბ., 1964, №2.
37. ნაკაშიძე ნ., საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1970.
38. ნაკაშიძე ნ., საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის I ნახევარში, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1973.
39. ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977.
40. ჟორჟოლიანი გ., საქართველო XVII ს-ის 30-50-იან წლებში, თბ., 1987.
41. რეხვიაშვილი მ., დასავლეთ საქართველო XVII ს-ში, თბ., 1978.
42. როდონაია ს., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის I ნახევარში, თბ., 1961.
43. საითიძე გ., მასალები რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს-ის 50-იანი წლები), მაცნე, თბ., 1992, №4.
44. საითიძე გ., საქართველო და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა, განთიადი, ქუთაისი, 1993, №11-12.
45. საითიძე გ., ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წლები), ქართული დიპლომატია (წელიწდეული), თბ., 1995, №2.
46. საითიძე გ., ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წლები), ქართული დიპლომატია (წელიწდეული), თბ., 1996, №3.
47. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
48. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990.
49. ტივაძე თ., საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII ს-ის 60-იან წლებში, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1973.
50. ტივაძე თ., იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 60-იანი წლები), კრებულში: ივ. ჯავახიშვილი – 100, თბ., 1976.
51. ტივაძე თ., საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977.

52. ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990.
53. ჩოჩიევი ვ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.
54. ჩოჩიევი ვ., იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის მეორე ნახევარში, თსუ-ს შრომები, 1985, №250.
55. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი V, თბ., 1953.
56. ჯიქია ს., ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
57. Белокуров С., Сношения России с Кавказом, Чоидр, вып. I, 1587-1613 гг., М., 1889.
58. Вайнштейн О., Россия и тридцатилетняя война, М., 1947.
59. История дипломатии, т. I, М., 1941.
60. История дипломатии, т. I, М., 1959.
61. Месхия Ш., Цинцадзе Я., Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв., Тб., 1958.
62. Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения в I половине XVII века, Тб., 1968.
63. Новичев А., История Турции, т. I, Л., 1963.
64. Новосельцев А., Русско-иранские политические отношения во второй половине XVI века, сб.: Международные связи России до XVIII века, М., 1961.
65. Новосельцев А., Русско-иранские отношения в первой половине XVII века, сб.: Международные связи России в XVII-XVIII вв., М., 1966.
66. Очерки истории СССР, под. ред. А. Л. Новосельского и Н. В. Устюгова, М., 1955.
67. Смирнов Н., Россия и Турция в XVI-XVII вв., Ученые записки МГУ им. М. В. Ломоносова, вып. 94, М., 1946, т. I-XVI век; т. II-XVII век.
68. Смирнов Н., Политика России на Кавказе в XVI-XIX вв., М., 1958.
69. Соловьев С., История России с древнейших времен, т. VI, М., 1861.
70. Соловьев С., История России в царствование Михаила Федоровича, М., 1859.
71. Фадеев А., Россия и Кавказ в I половине XIX века, М., 1960.
72. Dr. Karl Julius Ploetz, Grosse Weltgeschichte, Darmstadt, 1980.
73. Fischer, Weltgeschichte. Band 15, Der Islam II, Die islamischen Reiche nach dem Fall von Konstantinopel, Frankfurt, 1971.
74. Wolfgang Gust, Das Imperium der Sultane (Eine Geschichte des Osmanischen Reichs), München, 1995.

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობა
და მათი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი
XVI-XVII სს-ში (ზოგადი მიმოხილვა) 12

თავი II. საქართველოს საკითხი
რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში
(XVI ს-ის 90-იანი – XVII ს-ის 60-იანი წლები) 36

თავი III. იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს
შორის ურთიერთობა XVII ს-ის 40-50-იან წლებში
(საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე) 52

§ 1. საქართველოს სამეფო-სამთავროთა
მდგომარეობა XVII ს-ის 30-40-იან წლებში 52

§ 2. იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს
შორის ურთიერთობა XVII ს-ის 40-50-იანი
წლების მიჯნაზე 57

§ 3. იმერეთისა და რუსეთის სამეფოებს
შორის ურთიერთობა XVII ს-ის 50-იან წლებში 73

დასკვნა 114
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია 119

გამომცემლობის რედაქტორი ნანო იორამაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თამარ შირცხელანი
კორექტორი ქეთევან გაჩეჩილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.10.01
საბეჭდი ქაღალდი 60x84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,75
საალრ.-საგამომცემლო თაბახი 6,65

შეკვეთა № 2 ტირაჟი 150

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
380028 თბილისი. ილია ჭავჭავაძის გამზირი 14.

დაიბეჭდა გამომცემლობა „არტანუჯში".
✉ თბილისი. ილია ჭავჭავაძის გამზირი 17ბ. ☎ 25-05-22, 8-99-53-05-22.